საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 24 ივნისი. 2020 წ. №77 (9003) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, რომლისაც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გულის ფიცარზე ალბეჭდილი



ბრძენ მოძღვარზე

რაიც განუყრელ მოგონებად დამრჩა,

7 12

ანუ ვინაც ბევრად უუფრო ქართველი გამხადა!..

ვულოცავთ რეზო ამაშუკელს!

ქართველ პოეტთაგან რეზო ამაშუკელს უწინარესად სიტყვამიზნიანობა გამოარჩევს. მთელი ცხოვრება მოდიოდა და მოიბრძოდა. სამიზნედ მუდამ სამშობლოს ავისმდომნი ჰყავდნენ. მოყვასთ კი ყოველთვის „სიყვარულის ტყვიად“ ქცეულ სიტყვას უძღვნიდა: აქ სიტყვას ტყვიას იმიტომ ვადრით, რომ რეზოს კაზმული სიტყვა პირდაპირ ადამიანის გულში იდებს ბინას, როგორც სიცოცხლის თესლი, რომელიც აუცილებლად ძალუმი სიყვარულის ფერად ყვავილად ამომცენარდება. აქვე უნდა ითქვას, რომ რეზო ამაშუკელის ლექსი არავის ლექსში არ აგერევა. ამ ლექსს თავისი განუმეორებელი ჟღერა, ფერი და, თქვენ წარმოიდგინეთ, გემოც კი თავისებური აქვს. კითხულობ და ყუათიანი ქართული სიტყვა შემოგცინის, შემოგხარის, შემოგციცინებს. უკეთუ ქართველ პოეტთაგან შედგენილ გრძელ მწკრივს წარმოვიდგენთ, რეზო ამაშუკელი თავისი პოეტური სიმაღლისდა მიხედვით მწკრივის სათავეში უნდა დავინახოთ.

დღეს პოეტის დაბადების დღეა. დიახაც, რეზო იმ პოეტთაგანია, რომელთაც მხოლოდ დაბადების თარიღი აქვს.

სიყვარულითა და პატივისცემით

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია



გიორგი გამსახურდია – დონალდ ტუსკს:

რურუასა და მისნაირი ბანდიტების ხელშეწყობით განხორციელდა

2

ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ორგანიზება და სისრულეში მოყვანა



ბორბალი ტყუილი!

3

თავში რაგორ უნდა მოგივიდეს, რომ COVID-19-ით სიკვდილობის გაზრდა ხელისუფლებას და ექიმებს დააბრალო?!

მარნეულელი „ჩობანის“ და ლევან ბერძენიშვილის ინტელექტის შედარებითი დახასიათება

3



როცა იდიოტი ჭკუას გვასწავლის!

115 ხმა 3-ის წინააღმდეგ

საკონსტიტუციო ცვლილებები მეორე მოსმენითაც მიღებულია

საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლითაც იცვლება არჩევნებში მანდატების გადანაწილების წესი. კონსტიტუციური პროექტის გათვალისწინებით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები შერეული სისტემით ჩატარდება – პარლამენტში აირჩევა 120 წევრი პროპორციული და 30 წევრი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით.

21 ივნისს საქართველოს პარლამენტმა 136 ხმით 5-ის წინააღმდეგ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი პირველი მოსმენით მიიღო.

რეზო ამაშუკელის წერილი პატრიარქს

...სისხლხორცო ჩემო
კვლავ დაგიდგა მრუმე ამინდი
თითქოს გუშინ,
წიწამურთან დახვდნენ ილიას!..
– გვყავს ჭყონდიდელი,
დღეს დღეობით,
მაგრამ დავითი???
დავითი არ გვყავს –
– და მამულიც ხელგაწვდილია!
... ვინ ცრემლს აგროვებს,
ვინ მარგალიტს
და ვინ ბრილიანტს!..
– გათენდება და
მადლი მაინც გადმოვა ციდან!
ვდიოთ მაცხოვარს რუდუნებით,
და ორ ილიას!
– ერთს ხატზე წერილს,
მეორეს კი –
ჩვენს ცოცხალ წმინდანს!

რეზო ამაშუკელი

25 დეკემბერი, 2007 წელი.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური იუბილარია...

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს იუბილეს ულოცავს და სამსახურის ხელმძღვანელებსა და პირად შემადგენლობას საქართველოს ერთგული სამსახურისთვის მადლობას უხდის.

„დღეს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შექმნიდან 26 წელი შესრულდა. ამ 26 წლის განმავლობაში სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების საქმეში და მშვიდობიანი, დემოკრატიული განვითარების პროცესში. ვულოცავ მთელ პირად შემადგენლობასა და სამსახურის ხელმძღვანელებს. მინდა, მადლობა გადავუხადო მათ საქართველოს ერთგული სამსახურისთვის“, — ნათქვამია პრემიერ-მინისტრის მილოცვაში.

SIC!

ფრთხილად, ქალბატონო სალომე, ატანბაევი „გულმოწყალებისთვის“ ზის!

ყირგიზეთის ყოფილი პრეზიდენტის ალმაზბეკ ატანბაევისთვის გამოძიებამ 15-წლიანი პატიმრობა მოითხოვა. საქმე კრიმინალური ავტორიტეტის, ჩეჩენი აზიზ ბატუკაევის ციხიდან უკანონო გათავისუფლებას ეხება. ბატუკაევი 2013 წელს ვადამდე გაათავისუფლეს — განუკურნებელი დაავადება აღმოაჩნდა. მაგრამ, როგორც კი გამოვიდა, მაშინვე ყირგიზეთიდან აორთქლდა. გაირკვა, რომ დიაგნოზი „შეცდომით“ დაუსვეს. ა. ატანბაევის გვერდით განსასჯელთა სკამზე სხედან ექიმები, რომლებიც დიაგნოზში „შეცდნენ“ და ყოფილი მაღალჩინოსნები, რომლებმაც პრეზიდენტს კრიმინალური ავტორიტეტის დახსნა შეუცურეს.

ეს ამბავი იმან გამახსენა, რომ საქართველოში უკვე იყო პრეზიდენტის მიერ აშკარა ბანდიტის ვადამდელი, ყველა წესისა და რიგის დარღვევით გათავისუფლების შემთხვევა. მაშინ ამას დიდი ხმაური მოჰყვა, მაგრამ ვერ გავიგეთ, რატომ და რისთვის მოხდა ეს აღმაშფოთებელი შემთხვევა, ვინ მოამზადა დამნაშავის საქმე და წარუდგინა პრეზიდენტს?!

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მაშინ „დაიფიცა“, რომ მსგავს რამეს აღარ იზამდა. ახლა ეს ფიცი თავს ახსენებს ყოველი შეჩიჩხინებისას, რომ შეიწყალოს „პოლიტიკური პატიმარი“, დამნაშავე გიორგი (ჟორიკა) რურუა.

ფიცი იქით იყოს და უფრო მოსარიდებელი და საფრთხილო ყირგიზეთის ყოფილი პრეზიდენტის ალმაზბეკ ატანბაევის განსასჯელის სკამზე ჯდომაა, 22 ივნისს მას 11 წლითა და 2 თვით პატიმრობა მიესაჯა სწორედ კრიმინალური ავტორიტეტისადმი „გულმოწყალებისთვის“...

სანდრო ალექსიძე

პროგრამის ფარგლებში პროდუქტები 50 000-მდე ოჯახს დაურიგდა

თბილისის მერმა კახა კალაძემ მარტოხელა ხანდაზმულებისთვის და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით ისაუბრა.

კალაძის განცხადებით, პროგრამაში ბევრმა ბიზნეს-კომპანიამ და რიგითმა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა, რისთვისაც მათ მადლობას უხდის. კალაძის ინფორმაციით, პანდემიის პერიოდში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 50 000-მდე ოჯახს.

400-მდე დაზარალებული ოჯახი მალე ბინებს მიიღებს!

400-მდე დაზარალებული ოჯახი 12-წლიანი ლოდინის შემდეგ ბინებს მიიღებს. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის მერიასა და დეველოპერულ კომპანია „M²-ს“ შორის გაფორმდა.

დოკუმენტი სამშენებლო კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის“ მიერ დაუსრულებელი მშენებლობების დამთავრების ხელშეწყობას გულისხმობს. მშენებლობა კორექტირებული პროექტების შეთანხმებისა და შესაბამისი სამშენებლო ნებართვების აღებისთანავე დაიწყება და 3 წლის ვადაში დასრულდება.

გზაგამტარის მშენებლობა შეჩერდა...

დედაქალაქის მერი კახა კალაძე აცხადებს, რომ საბიუჯეტო შემოსავლების კლების გამო ერთი პროექტი, რომელიც შეჩერდება, იქნება გზაგამტარის მშენებლობა „ვეფხი და მოყმის“ მიმდებარე ტერიტორიაზე.

„ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროექტი არ განხორციელდება. უბრალოდ, დროში გადაიწევს. სხვა პროექტებთან მიმართებაშიც ეტაპობრივად მოგაწვდით ინფორმაციას“, — განუცხადა კახა კალაძემ ჟურნალისტებს.

ენერგოეფექტურობის მე-5 ყოველწლიური გლობალური კონფერენცია გაიხსნა

კრიზისის საპასუხოდ საქართველომ დააჩქარა ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის მიღების პროცესი, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ენერგოეფექტურობის მე-5 ყოველწლიურ გლობალურ კონფერენციაზე განაცხადა. კონფერენცია სწორედ საქართველოს პრეზიდენტმა გახსნა.

სალომე ზურაბიშვილის თქმით, ბოლო კვირებში საქართველომ წარადგინა ახალი სტანდარტები და რეგულაციები ენერგოეფექტურობისთვის. საქართველოს პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ მთავრობებისთვის ეკონომიკური აღდგენა და მდგრადი ენერგია აღარ უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი; საჭიროა, ფოკუსირება გაკეთდეს ენერგოეფექტურობის ცოდნასა და ტექნოლოგიაზე ნაკლებად მოწინავე ქვეყნებში.

„პორტერი“ ბათუმის პორტში

ბათუმის პორტში აშშ-ის საზღვაო ხომალდი „პორტერი“ შემოვიდა. ინფორმაციას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ავრცელებს.

„სიხარულით მივესალმებით აშშ-ის საზღვაო ხომალდ „პორტერს“ შავ ზღვასა და ბათუმის ულამაზეს პორტში, სადაც უკვე მესამედ შემოდის. ვიზიტის მიზანი საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციებისა და რეგიონული საზღვაო სტაბილურობის გასაძლიერებლად ჩვენს ნატოს წევრ და მოკავშირე ქვეყნებთან ერთად ერთობლივი მზაობისა და საზღვაო შესაძლებლობების განვითარებაა“, — ნათქვამია განცხადებაში.

გიორგი გამსახურდია - დონალდ ტუსკს:

რურუასა და მისნაირი ბანდიტების ხელშეწყობით განხორციელდა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ორგანიზება და სისრულეში მოყვანა



საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილი **გიორგი გამსახურდია**, რომელიც პოლონეთში პოლიციის ატაშეს თანამდებობაზეა, „ევროპის სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე დონალდ ტუსკს სწერს:

„ბატონო დონალდ, საკმარისია გადახედოთ 90-იანი წლების საქართველოს შესახებ დასკვნებს, რომლებიც შემუშავებულია ისეთი წონიანი ორგანიზაციების მიერ, როგორებიცაა UNHRC, USHR და შეგექმნებათ წარმოდგენა, თუ რა მოხდა საქართველოში, რა წვლილი მიუძღვის „მხედრიონსა“ და სხვა პუტჩისტურ ბანდებს საქართველოსა და მისი მოსახლეობის წინაშე. ზუსტად ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და წონიანი ფიგურა გახლავთ გიორგი (ჟორიკა) რურუა, რომელიც შევარდნაძისა და მისი ხუნტის მმართველობის პერიოდში გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით. ის იყო ჩადენილი დანაშაულების როგორც მონაწილე, ასევე შემოქმედი.

საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებში უხვად მოიპოვება მისი „კარიერის“ შესახებ ინფორმაცია, რომელიც, მხოლოდ და მხოლოდ მცირედს მოიცავს მისი ნამოქმედარიდან. ეს სიმწირე მხოლოდ იმის დამსახურებაა, რომ ბედის უკუღმართობით, მისი ძმა, ასევე კრიმინალი ნ.რურუა 2003-2012 წლებში სახელმწიფო თანამდებობებს იკავებდა. მისი ხელშეწყობით განადგურდა არაერთი მტკიცებულება. აქვე მინდა გითხრათ, რომ არსებობს უტყუარი ვარაუდი, რომ რუსული სპეცსამსახურების, რურუასა და მისნაირი ბანდების ხელშეწყობით განხორციელდა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ორგანიზება და სისრულეში მოყვანა.

ბატონო დონალდ, მე, როგორც საქართველოს ელჩმა პოლონეთის რესპუბლიკაში, როგორც პოლონეთის ერთ-ერთმა გულმხურვალე მოყვარულმა და მეგობარმა, ასევე როგორც მამაჩემის შვილმა, რომელმაც ოჯახთან ერთად გადაიტანა ამ ბანდების პარპაში, დევნა და შევიწროება, თავი ვალდებულად ჩავთვალე, მომეწოდებინა თქვენთვის ეს მცირე ინფორმაცია, სამხუხაროდ, თქვენ მიერ შეცდომით „პოლიტიკურ პატიმრად“ მიჩნეული გიორგი რურუასა და მისი საქმიანობის შესახებ“.

მარნეულელი „ჩობანის“ და ლევან ბერძენიშვილის ინტელექტის შედარებითი დახასიათება



საზოგადოება დაიღალა, მაგრამ მაინც თავს იწვალებს ლევან ბერძენიშვილის პროვოკაციული „ლექციებისაგან“, თავად ეს კაციც არ ეშვება საზოგადოებას და არც ჟურნალისტები ეშვებიან მას. გადავწყვიტე, ამდენი ხნის მერე, გამოვეხმიანო ამ ყველაფერზე, მით უფრო, რომ საბაბს ისევ ლ. ბერძენიშვილი იძლევა.

„რა არის თავისუფლება?“ – „პანდემიის“ ჟამს მოცლილი და უაზროდ გამოკეტილი საჯარო ბიბლიოთეკა ეკითხება „მეტრს“ და იწყება, რაც იწყება! ლევან ბერძენიშვილმა, გარდა იმისა, რომ სისულელეები ილაპარაკა მეგრელებზე (რასაც საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა) არაერთი ლაფსუსი დაუშვა ისტორიის, მათ შორის, ფილოსოფიის ისტორიის ცოდნაში. თუმცა ამასაც არა უშავს. ბევრად უარესია, რომ ბერძენიშვილი ქრისტესა და ქრისტეს მოძღვრებას თავის „ლიბერასტურ“ ყაიდაზე გვასაღებს. კერძოდ, მას მიაჩნია, რომ ქრისტიანმა თუ დალოცა და ქრისტესგან სიკეთე უსურვა მუსლიმს, ეს მუსლიმის „შეურაცხყოფაა“ – მარნეულში როგორ გაბედა თურმე ეკლესიამ და ნაკურთხი წყალი აპკურა ქუჩებს. ბერძენიშვილის საუბედუროდ, მარნეულელებს მასზე ბევრად უფრო მაღალი შეგნება აქვთ – ნებისმიერი „ჩობანი“ უფრო განვითარებული და ინტელექტუალია, ვიდრე ეს ჩვენი ლიბერასტების ბაირაღი. **არც ერთ მარნეულელს, რამდენიმე ლიბერასტი „ენჯეოშნიკის“ გარდა, ქრისტიანული რიტუალი არ აღუქვამს შეურაცხყოფად**. მარნეული არის შიიტური ისლამის ცენტრი საქართველოში. მუსლიმები ზოგადად, მაგრამ კიდევ უფრო განსაკუთრებით – შიიტები, გამოკვეთილად დიდ პატივს სცემენ იესოს და მარიამს, როგორც ყურანისეულ წინასწარმეტყველებს. შიიტები ცნობენ წმინდანების კულტს, აქვთ ჩვენი საეკლესიო გალობის მსგავსი სარიტუალო სიმღერები და სამყაროს აღსასრულის დღეს იმამ მაჰდისთან ერთად მოელიან იესოს.

მეტსაც გეტყვით – ისლამის კავკასიური და, კერძოდ, აზერბაიჯანული ვარიანტი, არის განსაკუთრებულად რბილი ქრისტიანობის მიმართ. მე თავად ერთი-ორი აზერბაიჯანელი შემხვედრია, ბაქოელები, რომლებიც იერუსალიმში ჩემთან ერთად ქრისტიანულ ტაძარში შემოსულან და მარიამ ღვთისმშობლის ხატის წინ ულოცია-ათ. ერთმა შუაააზიელმა მუსლიმმა, რომელიც ჩვენს ჯგუფში იყო, შენიშვნაც კი მისცა, ამის შემდეგ რას შვრები, ეს ხომ არამუსლიმანური ლოცვააო...

ეს ყველაფერი ბერძენიშვილისთვის უცხო ხილია, მას არ უსწავლია და არც აგულისყურებს, რომ ჩაღრმავდეს რელიგიის საკითხებში. ეს მისი ნებაა, მაგრამ მაშინ რატომ იქაფებს პირს ასე რელიგიაზე საუბრით? რატომ აღიზიანებს მას განსაკუთრებით მართლმადიდებელი მოძღვრება და ეკლესია? ან წმ. შუშანიკს რას ერჩის, რატომ არაა ეს უდიდესი, ქრისტესთვის შეწირული ქალი „მაგარი“? რით ვერ დაამტკიცა შუშანიკმა თავისი წმინდანობა?.. ახლა არ თქვათ, ბერძენიშვილს ამ ყველაფერს სოროსი ავალებსო... არასერიოზული ბრალდება იქნება. ადამიანი შინაგანად არის განწყობილი ასე ანტიეკლესიურად, მასში ჩანს კომპლექსი, გაბოროტება და ამიტომ იგი უფრო სიბრალულის ღირსია. თუ შველა შეგვიძლია, უნდა ვუშველოთ კიდეც, მაგრამ ჯერჯერობით ამისი პერსპექტივა არ ჩანს.

დავუბრუნდეთ „ლექციას“. ბერძენიშვილი დარწმუნებულია, რომ მარნეულში ნაკურთხი წყლის სხურებით ჩვენმა ეკლესიამ მუსლიმებს უთხრა თურმე – „თქვენი ღმერთი ვერ დაგიცავთ და აჰა, წყალი, ფუი თქვენ!“ აი ასეთი იდიოტია ბერძენიშვილი (როგორც თავად ამბობს, ძველბერძნულად, „პოლიტიკაში არჩართული“). ნაკურთხი წყალი ჰგონია ადამიანების დამცირების იარაღი – მიასხამ და თურმე იგივეა, რომ შეაფურთხო!

ლევან, შე მართლა იდიოტო – შალვა შავგულიძეზე „უფრო მორალურო“ (არა, ამას ხომ მოფიქრება უნდოდა, ჰაა?)! ახლა მრცხვენია, რომ მარნეულელ „ჩობანს“ შეგადარე, სწორედ ესაა ჩემი მხრიდან მარნეულელი მუსლიმების უნებური შეურაცხყოფა – ბოდიში მათთან! მაგრამ, როცა ვაჟას ახსენებ, ჯერ ეგ პირი გამოირეცხე და თან დაფიქრდი – „ალუდა ქეთელაური“ იმაზე კი არ არის დაწერილი, რომ ქრისტიანობა „ცუდი მოძღვრებაა“, არამედ იმაზე, რომ ქრისტიანობა სწორად იქნას გაგებული და არა ისე, როგორც შენ აღიქვამ ნაკურთხი წყლის მისხურებას შეურაცხყოფად. თორემ, შენი ლოგიკით გამოდის, რომ ალუდა საიქიოში მყოფ მუცალს აყენებდა შეურაცხყოფას ქრისტიანული შესაწირის საშუალებით!! პირიქით, ალუდას თავისი ღმერთის ერთადერთობა და ძალა სწამს და არაქრისტიანი მუცალის (სროლისას ალუდა და მუცალი ერთმანეთს „რჯულძაღლს“ ეძახიან) გადარჩენა სწადია საიქიოში!

ესეც არ იყოს, ვაჟა შენსავით არ გაკადნიერებულა, რომ ქრისტიანული მოძღვრების ვითომ რაღაც ნაკლოვან მხარეებზე დაერტყა ლიბერასტური „რეჩები“. ალუდა ქეთელაურის სახით, თავისუფალი და მორწმუნე ადამიანი უპირისპირდება საზარელ, სავსებით არაქრისტიანულ ადათს – გვამისთვის მკლავის მოჭრას და მკვდრის კიდურებით სახლის შესასვლელის მორთვას. მუცალის ვაჟკაცობამ შთააგონა ალუდას ამ წარმართული ადათის (და არა ქრისტიანული მოძღვრების) უვარგისობა. ალუდასთვის მთავარია ადამიანის სული, მისი მდგომარეობა საიქიოში **(რაც უმთავრესი საკითხია ქრისტიანობაში!)** და ამიტომაც სწადია ასე, რომ მუცალის სულს მიუძღვნას საკლავი. მინდიას მიერ მუცალის გვამისთვის მკლავის მოჭრა მას კიდევ უფრო მეტად აფიქრებს და ამყარებს რწმენაში, რომ მუცალის სულს უნდა დაეხმაროს. მაგრამ ამ ყველაფერს, კიდევ ვიმეორებ, არანაირი კავშირი არა აქვს ქრისტიანული რელიგიის და საეკლესიო წესების განხილვასთან. ტყუილად ნუ აწუხებ ვაჟას გენიას, მასთან ვერ მიაგნებ ქრისტიანობის დაკნინებას!..

თუმცა, ისიც კარგია, რომ არისტოტელეს მიერ შთაგონებული ბატონი პოლიტიკური ცხოველი, მაგრამ მაინც იდიოტი ლევანი არაფერს ამბობს იმაზე, რომ ვაჟა-ფშაველა ლგბტ-მოძრაობისა და ცირკთან გაბატონებული ტრანსგენდერების დამცველი იქნებოდა, 21-ე საუკუნეში რომ ეცხოვრა. ამიტომ მეტ კრიტიკას ლევანის მიმართ არ დავწერ.

გულბაათ რცხილაძე



თავში როგორ უნდა მოგივიდეს, რომ COVID-19-ით სიკვდილობის გაზრდა ხელისუფლებას და ექიმებს დააბრალო?!

თავში როგორ უნდა მოგივიდეს, რომ COVID-19-ით სიკვდილობის გაზრდა დააბრალო ხელისუფლებას და ექიმებს, რომლებიც ყველაფერ შესაძლებელს და შეუძლებელს აკეთებენ თითოეული ავადმყოფის გადასარჩენად? – ამის შესახებ ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის ხელმძღვანელი თენგიზ ცერცვაძე განცხადებაში წერს, რომელიც სოციალურ ქსელში ცენტრის გვერდზე ვრცელდება.

თენგიზ ცერცვაძის შეფასებით, ვინმემ მართლა რომ მოინდომოს გარდაცვლილთა რაოდენობის საშუალო ევროპულ დონემდე გაზრდა, ამისთვის ტარიფით – 10 ათასი ლარი ერთ მიცვალებულზე, რამდენიმე ათეული მილიონი ლარი დასჭირდება.

„ა.წ. 20 ივნისის „მთავარი არხის“ საინფორმაციო გადაცემა „მთავარში“ გავიდა სიუჟეტი, რომლის ავტორებიც სრული სერიოზულობით ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები და ექიმები COVID-19-ით გამოწვეული სიკვდილობის სტატისტიკის გაზრდის მიზნით (რაც მათ თითქოს არჩევნების გადასადებად სჭირდებათ), მიდიან სხვადასხვა დაავადებით ახლად გარდაცვლილთა ოჯახებში და სთავაზობენ მათ, რომ სერიოზული თანხის (10 ათასი ლარი) სანაცვლოდ თანხმობა განაცხადონ იმაზე, რომ მათი ოჯახის წევრის გარდაცვალების მიზეზად COVID-19 დასახელდეს?!

წლების მანძილზე სხვადასხვა ტელევიზიებისგან, მათ შორის იმავე „მთავარი არხისგან“, უამრავი ტყუილ-მართალი მომისმენია, მაგრამ ვფიქრობ, ამ განცხადებამ ყველა ზღვარს გადააჭარბა. როგორ უნდა მოგივიდეს თავში, რომ COVID-19-ით სიკვდილობის გაზრდის მცდელობა (და ისიც ამ გზით) დააბრალო ხელისუფლებას და ექიმებს, რომლებიც ყველაფერ შესაძლებელს და შეუძლებელს აკეთებენ თითოეული ავადმყოფის გადასარჩენად და ქვეყანას, რომელსაც მთელ ევროპაში ერთ მილიონ მოსახლეზე ყველაზე ცოტა გარდაცვლილი ჰყავს, თან იმდენად ცოტა, ვინმემ მართლა რომ მოინდომოს ამ გზით გარდაცვლილთა რაოდენობის საშუალო ევროპულ დონემდე გაზრდა, ამისთვის „მთავარი არხის“ ტარიფით – 10 ათასი ლარი ერთ მიცვალებულზე, რამდენიმე ათეული მილიონი ლარი დასჭირდება. ესეც რომ არ იყოს, გაუგებარია, რაში აწყობს ხელისუფლებას არჩევნების გადადება და ისიც ასეთი გზით, მაშინ, როცა ბოლო პერიოდში ყველაზე მაღალი რეიტინგი სწორედ ახლა აქვს, რაშიც თავისი წვლილი COVID-19-ის პანდემიასთან წარმატებულმა ბრძოლამაც შეიტანა.

მახსენდება კონცეფცია, რომელსაც ჰიტლერს და გებელსს მიაწერენ – „თუ იტყვი დიდ ტყუილს და ხშირად გაიმეორებ, ბოლოს და ბოლოს, ხალხი მას დაიჯერებს“, მაგრამ ვფიქრობ, თვით ჰიტლერის და გებელსის ფანტაზია ასე შორს ვერ წავიდოდა.

ვინც ამ სიუჟეტს უყურა, ყველა ნახავდა, თუ რა ტრაგიკომიკურად გამოიყურებოდა მისი ყველა მონაწილე, „ექსპერტების“ ჩათვლით, რომლებმაც, რა თქმა უნდა, იცოდნენ თუ რამხელა ტყუილს ამბობდნენ. იმ პოლიტიკოსებისაც არ მესმის, რომლებიც მთელ იმედს იმაზე ამყარებენ, რომ ხელისუფლებას COVID-19-ით სიკვდილობის ხელოვნურად გაზრდაში ამხელენ.

მე მესმის, რომ „მთავარი არხი“ ხელმძღვანელობდა პრინციპით „მიზანი ამართლებს საშუალებებს“, მაგრამ მინდა შევახსენო მათ, რომ ამ შემთხვევაში „საშუალებების“ შერჩევა მაგრად შეეშალათ, რადგან ასეთი ტყუილის შემდეგ მათ, ალბათ სიმართლესაც კი არავინ დაუჯერებს. დაბოლოს, მთელ ამ სახალისო ამბავში ერთი ძალიან სერიოზული დანაშაული იკვეთება – ყალბი მტკიცებულებების შექმნა (მხედველობაში მაქვს რესპონდენტებისგან სასურველი ინფორმაციის მოპოვება), მაგრამ ამის გარკვევა და შეფასება ჩვენს კომპეტენციას სცილდება“, – აცხადებს ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის ხელმძღვანელი თენგიზ ცერცვაძე.

ამდენი სიცრუე თქვენც დაგაზარალებთ, მინისტერ კარპენტერ!

ვფიქრობ, საქართველოშიც ვხედავთ იმავე დონის ღრმა პოლარიზაციას, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაშია, – ამის შესახებ დემოკრატი საპრეზიდენტო კანდიდატის ჯო ბაიდენის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთმა მრჩეველმა და ბაიდენის ცენტრის დირექტორმა მაიკლ კარპენტერმა „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან საუბრისას განაცხადა. მისივე თქმით, ოპოზიციის მოთხოვნა გიორგი რურუას გათავისუფლებასთან დაკავშირებით, სამართლიანია და ის საპატიმროდან უნდა გათავისუფლდეს.

„მმართველმა „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება გადაწყვიტა, რომელიც შერეული საარჩევნო სისტემის, ოპოზიციური პარტიებისთვის უფრო სამართლიანი სისტემის ქონის საშუალებას იძლევა. ამ ცვლილებების მიღება ახლა გარკვეულ პირობებს უკავშირდება, რომლებიც ჩემი აზრით, საფუძვლიანია. მათ შორისაა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი რურუას გათავისუფლება. მე ვფიქრობ, ეს საფუძვლიანი მოთხოვნაა და ის უნდა გაათავისუფლონ.

თუ ეს მოხდა – და მე ამის იმედი მაქვს – ვფიქრობ, ცვლილებებს საზოგადოებაში ფართო მხარდაჭერა აქვს და მათი მიღების შემთხვევაში ოქტომბრის არჩევნები კონკურენტულ გარემოში გაიმართება, რაც ყველას სურვილია.

„EURACTIV“: დასავლური დემოკრატია კვლავ წინ მიიწევს - უბრალოდ, შეხედეთ საქართველოს!

„დასავლური დემოკრატია კვლავ წინ მიიწევს — უბრალოდ, შეხედეთ საქართველოს“, — ამ სათაურით აქვეყნებს გამოცემა „EURACTIV დიდი ბრიტანეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრის, კონსერვატორი პარლამენტარის ენდრიუ როსინდელის სტატიას.

როსინდელის თქმით, „საქართველო არის პირველი კანდიდატი, ეს იყო პირველი ევროპული ქვეყანა, რომელმაც ხელი მოაწერა სავაჭრო ხელშეკრულებას დიდ ბრიტანეთთან ბრექსიტის შემდეგ“.

სტატიაში საუბარია საარჩევნო რეფორმაზე, „რომ ამ რეფორმას მიესალმებიან ევროკავშირის, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები“:

„საქართველო არის პირველი კანდიდატი: ეს იყო პირველი ევროპული ქვეყანა, რომელმაც ხელი მოაწერა სავაჭრო ხელშეკრულებას დიდ ბრიტანეთთან ბრექსიტის შემდეგ, ხოლო ახლახან, ქვეყნის ელჩმა სოფი ქაცარავამ განაცხადა, რომ „საქართველოში ბრექსიტს ვხედავთ, როგორც გაერთიანებული სამეფოს შესაძლებლობას, დაადასტუროს თავისი ვალდებულება, როგორც დასავლეთის საზოგადოების წამყვანმა წევრმა და გააღრმაოს სავაჭრო, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები მთელ მსოფლიოში. ბრექსიტის შემდგომი უახლესი სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს შორის და რომელიც მოიცავს ახალ სავაჭრო გარიგებას, მთავარი მაგალითია. „ქართული ოცნების“ მთავრობამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები და მოდერნიზაცია განახორციელა — მსოფლიო ბანკი საქართველოს მე-7 ქვეყნად განიხილავს „ბიზნესის კეთების გამარტივების“ მხრივ. პირველად წელს საქართველო შეუერთდა ნატოს კიბერუსაფრთხოების პლატფორმას, რომელიც ცნობილია როგორც MISP. კიდევ, ნატოს არაწევრი მხოლოდ ერთი ქვეყანა, ფინეთი, მიიღეს MISP-ში. ასევე, დიდი პროგრესი აღინიშნა დემოკრატიული რეფორმების სფეროში, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ევროკავშირის, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები მიესალმნენ ბოლოდროინდელ საარჩევნო რეფორმას, რომელიც გაფორმდა 8 მარტს, როგორც მთავარი წინგადადგმული ნაბიჯი დემოკრატიის განსამტკიცებლად და თბილისის ნატოსა და დასავლეთთან დასაახლოვებლად. სამწუხაროდ, საერთაშორისო მასშტაბით მხარდაჭერილი საარჩევნო რეფორმის განხორციელებად ამჟამად არ არის აქტუალური“.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ოპოზიცია, „რომელმაც ხელი მოაწერა 8 მარტის ხელშეკრულებას, კვლავ მოითხოვს მათი ზოგიერთი წევრის ციხიდან განთავისუფლებას, რის გარეშეც ისინი მხარს არ დაუჭერენ შეთანხმებას მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის ორი წევრი შეიწყალეს და გაათავისუფლეს, მესამე კი კვლავ პატიმრობაში რჩება“:

ენდრიუ როსინდელის მტკიცებით, „ყოველ ჰონგ კონგზე, გლობალურ მედიაში ასახული ყველა სირთულით, მოდის საქართველო, სადაც ნელი ნაბიჯებით წინსვლასა და ლიბერალური დემოკრატიის გამყარებას, თბილისში არსებული დასავლური საელჩოების გარდა, ხშირად მოწმეც არ ჰყავს. ენდრიუ როსინდელი ბრიტანეთის პარლამენტის კონსერვატიული დეპუტატი და საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრია“:

„დღესდღეობით, ძალიან პოპულარულია ლიბერალური დემოკრატიის უკუსვლასთან დაკავშირებით გულისწყვეტა როგორც პოლიტიკაში, ისე მედიაში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ რეგიონში უკუსვლა შეიმჩნევა, ეს პროცესი არავითარ შემთხვევაში არ არის უნივერსალური. დემოკრატია ბევრ ქვეყანასა და რეგიონში რჩება მყარი და უდავოდ, აგრძელებს გაფართოებას. რადგანაც დიდი ბრიტანეთი განიხილავს საკუთარ როლს მსოფლიოში ბრექსიტის შემდეგ. საუბარია იმაზე, თუ როგორ გამოიყენონ უკეთესად სავაჭრო გარიგებები, საგარეო დახმარების გრანტები, სამხედრო ალიანსები — და სწორიცაა, რადგან ამ ფაქტორებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბრიტანეთის მომავალი კეთილდღეობისთვის. გასათვალისწინებელია ის, თუ როგორ უნდა წარმოვაჩინოთ ჩვენი ფასეულობები და შესაძლებლობები. ბრიტანეთი საპარლამენტო დემოკრატიის სამშობლოა: ჩვენი დემოკრატიის შემადგენლობაში შემავალი ფასეულობები — სიტყვისა და შეკრების თავისუფლება, კანონის უზენაესობა — იმ არსებითი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, რომ ხალხს უნდა ჰქონდეს ძალაუფლება საკუთარ ბედსა და იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მათ ცხოვრებას მართავს. მრავალი ბრიტანული ინსტიტუცია — მსოფლიო სამსახურიდან დაწყებული, ბრიტანეთის საბჭოთი და საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტით დამთავრებული — ამჟამად ნათლად ან მალულად წარმოაჩენს ამ ღირებულებას მთელ მსოფლიოში. დიახ, ჩვენ მეტიც შეგვიძლია. ჩვენმა მთავრობამ შიშის გარეშე უნდა გააკეთოს ყველაფერი, რაც მის ძალებს შეესაბამება, რათა აღუდგეს მათ, ვინც ამ ყველაზე ფუნდამენტური ფასეულობების გზიდან უხვევს. აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, კანადისა და ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრების ბოლოდროინდელი განცხადება, ჰონგ კონგში ჩინეთის ბოლო ქმედებების დაგმობასთან დაკავშირებით, მეტად საიმედო დასაწყისია. ამავდროულად, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს და დაეხმაროს იმ ქვეყნებს, რომლებიც მიისწრაფვიან თავისუფლებისა და დემოკრატიის გამყარებისკენ და ეს რეგიონები პრიორიტეტი გახდეს გაერთიანებული სამეფოს ვაჭრობის, დახმარებისა და დიპლომატიური ჩართულობის მხრივ“.

„აქცენტი“

გრანტიჭამიებს სალაფავი არ მოაკლდეთ და...

გახმაურებულ მკვლელობათა თემას ისე აიტაცებენ ხოლმე ეს ჩვენი საინფორმაციო (ხშირ შემთხვევაში — სადეზინფორმაციო) საშუალებები, გეგონება, მოსახლეობას პრობლემები აკლდეს.

ბუნებრივია, თვით ფაქტის გადმოცემა მასმედიის წარმომადგენელთა უშუალო მოვალეობაა, მაგრამ გააჩნია, როგორი ანალიზით შეფუთავენ სათქმელს. აი, აქ კი ჩვენი კოლეგები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, კარგა გვარიანად მოიკოჭლებენ.

თანამედროვე კალმოსანთა გადამკიდე, როგორ არ გავიხსენოთ თუნდაც ახლო წარსულში მომხდარი რეზონანსული შემთხვევები, როცა ჟურნალისტთა ძველი გვარდია თითოეულ სიტყვას, რომ იტყვიან, თემიდის სასწორზე წონიდა და საზოგადოებას პუბლიცისტიკაში გადაზრდილ კრიმინალურ ქრონიკას სთავაზობდა. საილუსტრაციოდ, თუნდაც, „კაკაბეთის ზარების“, პოპულარულ ტელეპროგრამა „ოქროპირისთვის“ მომზადებული სიუჟეტებისა და მიხეილ მიქაძის ავტორობით დასტამბული საგაზეთო წერილების დასახელება კმარა.

თქვენ გგონიათ, მაშინ არ ხდებოდა ლაფსუსები? რამდენიც გნებავთ, მაგრამ, აწმყოსგან განსხვავებით, უდიდესი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით მომზადებული მასალები სჭარბობდა, სადაც გამოკვეთილი იყო როგორც რედაქციის, ისე დაცვისა და ბრალდების მხარეთა პოზიციები.

ამ ფონზე სარალიძის, მაჩალიკაშვილისა და სულ რამდენიმე დღის წინათ გარდაცვლილი შაქარაშვილის საქმეთა გაშუქებისას, უკვე მერამდენედ წავაწყდით ზერელობას, დილეტანტობასა და დანაშაულებრივ სულსწრაფობას, როცა სენსაციურობას გამოკიდებული **ჭორ**ნალისტები ნაადრევი დასკვნებით ცდილობენ მედიაბაზარზე სარეიტინგო ქულების ჩაწერას.

კაცმა რომ თქვას, რაღა გვიჭირდა, მხოლოდ ასე რომ იშიფრებოდეს ჩვენს ვაიკოლეგათა უკეთურობა. გაცილებით საგანგაშოა **ჟოპ**ოზიციასთან წილნაყარ არა (უფრო სწორად — ანტი) სამთავრობო ორგანიზაციათა როლი აღნიშნულ მანკიერ პროცესში, რაც ისევ და ისევ ქართულ ჟურნალისტიკას უტეხს სახელს.

სამწუხაროდ, გლობალიზაციის ჭაობში ჩვენი სამშობლოც იძირება, მასთან გამკლავებას კი მხოლოდ ერთეულები თულა ახერხებენ — მოგეხსენებათ, ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს, გრანტიჭამიები კი, ოღონდ სალაფავი არ მოაკლდეთ და ყველას დაკრულზე იცეკვებენ.

გია პლატონიშვილი

არასრულწლოვნის გაუპატიურებაში ბრალდებულს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

სენაკის **რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გაუპატიურებაში ბრალდებული გ.გ. დამნაშავედ ცნო, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს გენერალური პროკურატურა ავრცელებს.**

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურდა, რომ 2019 წლის 22 ნოემბერს ქალაქ სენაკში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, გ.გ.-მ მოსთხოვა არასრულწლოვან ს.გ.-ს დაემყარებინა მასთან სქესობრივი კავშირი. უარის მიღების შემდეგ გ.გ.-მ არასრულწლოვნის ნების საწინააღმდეგოდ, ძალის გამოყენებით დაამყარა მასთან სექსუალური კავშირი.

სამართალდამცველებმა გ.გ. 2019 წლის 23 ნოემბერს დაიკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გაუპატიურება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ჩვილის ყიდვა-გაყიდვის ბრალდებით სამი პირი დააკავეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩვილის ყიდვა-გაყიდვის ბრალდებით სამი პირი დააკავეს.

გამოძიებით დგინდება, რომ დუშეთში მცხოვრებ წყვილს, 2020 წლის 18 ივნისს ვაჟი შეეძინათ. დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით, მათ განიზრახეს ბავშვის გაყიდვა. მშობლები დაუკავშირდნენ პირს, რომელსაც შეუთანხმდნენ, რომ 5000 აშშ დოლარის სანაცვლოდ შვილს მიყიდდნენ, რაზეც მან თანხმობა განუცხადა. რის შემდეგაც, აღნიშნული პირი სამოქალაქო რეესტრში ახალშობილის მამად დარეგისტრირდა და აიღო დაბადების მოწმობა. შეთანხმებისამებრ, 5 000 აშშ დოლარი კი ახალშობილის მშობლებს გადასცა. რა დროსაც მოხდა მათი დაკავება.

გამოძიება არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების ფაქტზე მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ორიდან ხუთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, ყველა ქვეყანას აქვს თავისი სუსტი წერტილები და ეს სისუსტეები წინა პლანზე მაშინ გამოდის, როცა ხალხი ემოციებით ხელმძღვანელობს. ემოციის ფონზე ყველა სისუსტე შიშვლდება და ემოციის კალაპოტში მოქცევის ერთადერთი გზა არის ლოგიკა, რაციონალურობა, რაც პრობლემურია ქართული რეალობისთვის.

for.ge **რამაზ საყვარელიძეს** ესაუბრა.

ვინც გაუგებრად ლაპარაკობს, ის უფრო ჭკვიანია?!

— ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ წინა პლანზე მოდის გამართული და ლოგიკური მსჯელობის პრობლემა, რაზეც მას მუდმივად აკრიტიკებენ, მაგრამ აქ საზოგადოების ბრალეულობა რამდენად არის, როცა არ ვითხოვთ ხელისუფლებისგან და ოპოზიციისგან კონკრეტიკას?

რამაზ საყვარელიძე: აუცილებელია, რომ ყველამ ყველასგან მოვითხოვოთ გამართული, ლოგიკური მსჯელობა. მხოლოდ ემოციებზე გადართვა ცუდ დღეში ჩაგვაგდებს. ყველა ქვეყანას და ერს აქვს თავისი სუსტი წერტილები, ეს სისუსტეები წინა პლანზე მაშინ მოდის, როცა ემოციებით ხელმძღვანელობს ხალხი. ემოციის ფონზე ყველა სისუსტე შიშვლდება. ამიტომ, ნუ მივცემთ ემოციებს საშუალებას, რომ გვმართონ. შეძლებისდაგვარად, ყოველთვის და ყველგან ვიყოთ რაც შეიძლება ლოგიკურები. ემოციის კალაპოტში მოქცევის ერთადერთი გზა არის ლოგიკა და რაციონალურობა. რაციონალურობაზე უარის თქმა კრიტიკულ ვითარებამდე მიგვიყვანს — იმასთან, რასთანაც დღეს არის საქართველო.

ემოციურ ტალღაზე სისულელეების კეთების გამოცდილება დიდი გვაქვს. თქვენ საზოგადოების ბრალეულობა ახსენეთ, 4 წელიწადში ერთხელ საზოგადოება წყვეტს ვინ იქნება ხელისუფლებაში. თუ საზოგადოება იმის მიხედვით ირჩევს, ვინ უფრო მომხიბვლელია, ვინ უფრო ქარიზმულია, ან ვინ უფრო კარგ რამეს ჰპირდება და აღარ კითხულობს იმას, ეს დანაპირები როგორ შესრულდება, ანუ ლოგიკურ და თანამიმდევრულ პასუხს აღარ ითხოვს, მერე უკვე, რა თქმა უნდა, საზოგადოების ბრალი ხდება ის, რომ ლოგიკურ და თანამიმდევრულ ნაბიჯებსაც აღარ დგამს ის პოლიტიკოსი, რომელიც აირჩია.

— ეს მარტო ქართული პრობლემაა?

— ყველა ქვეყანაში დემოკრატიას პოპულიზმი ახლავს. სწორედ დემოკრატიამ გააჩინა ისეთი საქმიანობა, როგორიცაა პიარკონსულტირება, ან პოლიტიკური კონსულტირება. კონსულტანტები პოლიტიკოსებს ასწავლიან, როგორ მოახერხონ ადამიანებთან საუბარი ისე, რომ ადამიანები არ დაფიქრდნენ მათ ნათქვამზე. ეს არაა მარტო ქართული რეალობა. ჩვენ, ქართველებს არ მოგვწონს ის, რაც ხდება ამერიკაში, ჯორჯ ფლოიდის ისტორიას ვგულისხმობ — ფერადკანიანების ფეხზე კოცნის რიტუალს. ასეთი უცნაურობები ჯდება მათ ემოციებში, რაც არ მოგვწონს, მაგრამ მისი კოპირება ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

— ემოციების ტალღა განუზომლად მაღალია, მაგრამ რა იწვევს მის ასე მასობრივად გავრცელებას?

— ერთ-ერთი თემა, რაც ამჟამად გავრცელებულია, ეს არის გიორგი გაბუნიას მკვლელობის საქმე. ანტინაცურ საზოგადოებაში ერთ-ერთ ვერსიად განიხილება, რომ ეს მკვლელობა თვითონ ნაცების დაგეგმილია, რომ ამით გამოიწვიონ ხალხის უკმაყოფილება. იხსენებენ მერაბიშვილის ფრაზას - „ორი გვამი მინდა“. მერაბიშვილი ორ გვამს იმ მოტივით ითხოვდა, რომ ხალხს ექნებოდა რეაქცია. ემოციის გამოწვევა ვიღაცისთვის შეიძლება მომგებიანი იყოს, რადგან ემოციის დროს ადამიანები თავის თავს აღარ აკონტროლებენ. მით უმეტეს, თუ ემოციის პირობებში ხალხის დიდი მასაა, ეს ხალხი ბრბოდ გადაიქცევა და არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ლიდერი დაუძახებს, შემთხვევითმაც რომ დაუძახოს, იმ მიმართულებით წავა და წალეკავს ყველაფერს.

ხალხის ამ მდგომარეობამდე მიყვანა საკმაოდ მომგებიანია პოლიტიკოსისთვის. სწორედ ამას ვაკვირდებით აშშ-ში. ამერიკელი მოსახლეობის დიდი ნაწილი იმ მდგომარეობამდეა მიყვანილი, რომ ისინი თავის პიროვნულ პოზიციაზე აღარ ფიქრდებიან. რადგან დაიწყო ეს კამპანია, უკვე ბოლომდე მისდევენ.

არა მარტო ფეხის კოცნა, არამედ რექტორი, რომელმაც ფერადკანიანებს უპირატესობა არ მისცა, გაანთავისუფლეს. ასევე, ლექტორი, რომელმაც თქვა, რომ ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება არისო, ისიც გაანთავისულეს. ანუ, განწყობილების ასეთი ტალღა მოდის და ეს ვის აწყობს? რა თქმა უნდა, დემოკრატებს და გააღვივებენ კიდეც ამ ტალღას და გააძლიერებენ ადამიანთა უგუნურობას. ადამიანი ან გონიერია, ან უგუნური. ნებისმიერ გენიოსს შეიძლება შეუქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ის უგუნური გახდეს.

— ახლოვდება არჩევნები, ვხედავთ, რომ არც ერთი მხარე არ არის დაინტერესებული იმით, რომ ამომრჩეველთან წარდგეს კონკრეტული გეგმით, როგორიც არის განათლების, ჯანდაცვის, სოციალური პროგრამა, იგივე დასაქმების პროგრამა. მხოლოდ ზერელე მსჯელობაა. როგორ ფიქრობთ, ეს მხოლოდ პარტიების ბრალია, თუ ამომრჩევლისაც, რომელიც არ ითხოვს საარჩევნო პროგრამას? შემდეგ კი, როდესაც პარტია მოდის ხელისუფლებაში, ჩნდება უკმაყოფილება, რომ არ ასრულებს დანაპირებს? არადა, სისტემატურად ვისმენთ სურვილების ჩამონათვალს და არა გეგმას...

— აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ ამომრჩევლიც გაზარმაცებულია, ისევე როგორც ყველა ხელისუფალი. წინასაარჩევნოდ პარტიებს საკმაოდ დიდი სამზადისი აქვთ საიმისოდ, რომ შეხვდნენ ამომრჩეველს, რაც ძირითადად იმით გამოიხატება, როგორ წარუდგინონ ხალხს თავისი თავი ისე, რომ ხალხი აღფრთოვანებული დარჩეს. ამის მომზადებაზე მილიონობით ფული იხარჯება და ჩართულია უამრავი პროფესიის ადამიანი, ფსიქოლოგებიდან დაწყებული, დიზაინერებით დამთავრებული და ეს კამპანია რამდენიმე ხანი გრძელდება. მაგრამ ამ დროს მოსახლეობა ემზადება პოლიტიკოსებთან შესახვედრად? — არა!

გასაგებია, რომ პოლიტიკოსი ემზადება. მოსახლეობას თუ აინტერესებს შედეგი, წესით, ისიც ხომ უნდა მოემზადოს პოლიტიკოსთან შესახვედრად, რომ ვინც თავმოწონებისთვის არის მოსული, მოითხოვოს მისგან კონკრეტიკა. მაგრამ არსად მსოფლიოში ეს არ კეთდება. ამიტომ ხალხი ერთნაირად მასად არის მიღებული. განსხვავება არის უნივერსიტეტებში, იქ უფრო ინტელექტუალური ხალხია და ისინი სხვანაირად ითხოვენ, მაგრამ საუნივერსიტეტო გარემოცვასთანაც ურთიერთობის ფორმები არის მოძებნილი. თან ინტელიგენცია ყოველთვის, ყველა ქვეყანაში მცირეა. მაგრამ, აი, ამ მცირე ინტელიგენციასაც არ იყენებენ.

ერთი ანალოგია მახსენდება მხოლოდ: ძველ ეგვიპტეში ქურუმები წარმოადგენდნენ იმდროინდელ ინტელექტუალურ კასტას. ქურუმები აძლევდნენ ძალაუფლებას ფარაონს. თუ შეიძლება ითქვას, ქურუმებს უნდა დაემტკიცებინათ ფარაონი. რა თქმა უნდა, დემოკრატია არ იყო, მონები იყო უამრავი, მაგრამ ასეთი ინტელექტუალური ფენის არსებობა უზრუნველყოფდა იმას, რომ აზრიანი იყო ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულება. ამ ფორმით ეგვიპტურმა ცივილიზაციამ 4 ათასი წელიწადი იარსება, ანუ ორჯერ უფრო მეტ ხანს, ვიდრე ქრისტიანულმა ევროპამ.

ეგვიპტეში დაბრუნება სასურველი არ არის, მაგრამ ის, რომ დემოკრატიის პირობებში არამარტო ხელისუფალი უნდა ემზადებოდეს ხალხთან მისასვლელად, ხალხიც უნდა ემზადებოდეს ხელისუფლების მომავალ კანდიდატებთან საუბარზე, ეს დიდი აღმოჩენა არ უნდა იყოს. ერთი ემზადება, მეორე სრულიად მოუმზადებელია და ამ მოუმზადებელი მასის იქით წაყვანა, საითაც უნდათ, დიდი პრობლემა აღარ არის იმისთვის, ვინც კარგად არის მომზადებული.

— კიდევ ერთი პრობლემა — ეს არის ცილისწამება. საქართველოს შემთხვევაში ვაკვირდებით, რომ ნებადართულია ადამიანს დასდო ბრალი, მერე უკვე მას უწევს თავის მართლება, მაგრამ შენ არ გიწევს იმის მტკიცება — სწორი იყავი თუ არა. ეს რისი პრობლემაა?

— სხვათა შორის, „ვარდების რევოლუციამდე“ დიდი ჭიდაობა იყო პრესის კანონზე. მე ვმონაწილეობდი ამ ჭიდაობაში. შემდეგ იყო რევოლუცია და მერე „თავისუფლების ინსტიტუტმა“, რომლის აქტიური წევრები დღეს პოლიტიკაშიც არიან, ვგულისხმობ გიგა ბოკერიას, დადეს დოკუმენტი — „ინფორმაციის თავისუფლების აქტი“. დაახლოებით 2 ფურცელი იყო, სადაც მოხსნილი იყო ყოველგვარი სირთულეები. ფაქტობრივად დეკლარაცია იყო, რომ ინფორმაციის გავრცელება უნდა იყოს „თავისუფალი“. გამავრცელებლის პასუხისმგებლობაზე ლაპარაკიც არ იყო.

იგივე, ცრუ ბრალდებაზე დაკისრებული პასუხისმგებლობა, ამოღებული იყო დოკუმენტიდან. მაშინ ეს გაფორმებული იყო როგორც ევროპისკენ და სიტყვის თავისუფლებისკენ სწრაფვის ტენდენცია. მაშინ ვკამათობდით მე, ბოკერია და რამიშვილი, მაგრამ მერე უცბათ ამან მიიღო ის სახე, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ მოწყობაში ჩართული პრესა, ცრუ ბრალდებებს ისროდა თუ არა, არავინ არ იცოდა. აი, იქიდან დაკანონდა, რომ პრესას შეუძლია ადამიანს დასდოს ბრალი. რაც მახსენდება, სწორედ ცრუ ბრალდების გამო ვალერი ასათიანმა „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მოიგო პროცესი.

— ქართულ პოლიტიკურ სპექტრს და პარტიის წევრების ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, უმრავლესობა ბიზნესიდან მოდის. ბატონო რამაზ, რა ინტერესის გამო მოდიან პოლიტიკაში, ეს არის პოლიტიკის კეთება, თუ ბიზნესინტერესების ლობირება, უხეშად რომ ვთქვათ ფულის კეთება?

— ეს პრობლემა ყველა პოლიტიკას უდგას. ყველა პოლიტიკა დგას ამ პრობლემის წინაშე. დემოკრატიის მექანიზმი გულისხმობს ნებისმიერი ადამიანის თავისუფალ მიღწევას პოლიტიკურ მწვერვალებამდე, მაგრამ ვინ, რისთვის მიდის ამ მწვერვალამდე, ეგ უკვე სხვა საკითხია. ამიტომაც არის, რომ დასავლეთის ქვეყნებში პოლიტიკოსების პროფესიული რეიტინგი საკმაოდ დაბალია, ისევე როგორც ადვოკატის. შემთხვევითი არ არის, რომ ერთიც და მეორეც ფულის გამო ყველაფერზეა წამსვლელი.

ამ მხრივ არც საქართველო არ უნდა იყოს გამონაკლისი. მაგრამ მაინც გამონაკლისად ვთვლი იმას, რომ ივანიშვილი, რომელიც ძალიან მდიდარი ადამიანია, მოვიდა ხელისუფლებაში. მისი მოტივი არ იყო ფინანსები, თუმცა ოპოზიცია ცდილობს გააფორმოს ისე, რომ საქართველოდან მილიარდების წასაღებად მოვიდა. ეს არ არის დამაჯერებელი. საქართველო არაა ის ქვეყანა, საიდანაც მილიარდებს წაიღებ, არ დევს ეს მილიარდები საქართველოში. პირიქით, ივანიშვილი მილიარდებს დებს საქართველოში და ამის მაგალითია დენდროლოგიური პარკი.

აი, ოპოზიცია რისთვის მოდის ხელისუფლებაში, ეს არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი. იმიტომ, რომ ეს ოპოზიცია უკვე იყო ხელისუფლებაში. როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ, მათ რიგებში მდიდარი არავინ იყო, მაგრამ ხელისუფლებიდან წასვლის მიუხედავად, ინახავენ თავის მომხრეებს და ლობისტებს, ანუ ფინანსები აქვთ. საიდან დაუგროვდათ ეს ფინანსები? ეს მოხდა ხელისუფლებაში ყოფნის მერე!..

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

„ნაცმოძრაობა“ ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს არჩევნები მშვიდობიანი არ იყოს

საკონსტიტუციო პროექტს მხარს ვუჭერთ უპირობოდ, ნებისმიერი დათქმის გარეშე — ამის შესახებ ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ წევრმა, ლევან გოგიჩაიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, სადაც საკონსტიტუციო ცვლილებებს მეორე მოსმენით გუშინ კენჭი უყარეს.

მიგვაჩნია, რომ არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებას ალტერნატივა არ აქვს. ვხედავთ ძალიან შემაშფოთებელ ტენდენციას. ყველაფერს გააკეთებს „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი პროვოკაციული სულისკვეთებიდან და სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარე, რომ ეს არჩევნები მშვიდობიანი არ იყოს. ამას ისინი აკეთებენ თქვენი უსუსურობის, თქვენი უპასუხისმგებლობის და თქვენი არათანმიმდევრული პოლიტიკიდან გამომდინარე. ჩვენი ფრაქცია ვალდებული ვართ, იმ პროცესში მივიღოთ მონაწილეობა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობიან მომავალს.

ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია!

ჯანმოს კოვიდ-19-ზე რეაგირების ტექნიკურმა ხელმძღვანელმა და ახალი დაავადებების განყოფილების უფროსმა, ამერიკელმა ეპიდემიოლოგ-ინფექციონისტმა **მარია ვან კერხოვმა** გაეროში გამართულ მედიაბრიფინგზე განაცხადა:

„ჩვენი მონაცემებით, ძველებურად, **იშვიათად შეხვდებით ადამიანს უსიმპტომო ავადმყოფობით, რომელმაც იგი სხვას გადასდო. ეს ძალიან იშვიათია**. ჩვენ გვაქვს მთელი რიგი იმ ქვეყნების ანგარიში, რომლებიც ძალიან დეტალურად ადევნებდნენ თვალს უსიმპტომო ვირუსმატარებლების კონტაქტებს და **მეორად გადაცემას ვერ ნახულობენ. ძალიან იშვიათად!**

ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ სიმპტომებიან შემთხვევებზე. ჩვენ რომ მართლაც გვედევნებინა მათთვის თვალი, მათი კონტაქტებისთვის გვედევნებინა და ამ კონტაქტების იზოლირება მოგვეხდინა, მაშინ მკვეთრად შევამცირებდით აფეთქებას (კოვიდ-19-ის). საჭიროა დამატებითი კვლევები, მაგრამ **ამჟამად ჯანმო თვლის, რომ უსიმპტომოების მხრიდან გავრცელება არ არის კორონავირუსის გადაცემის ძირითადი გზა**.

ამიტომ, სახელმწიფოების **მთავრობებმა ფოკუსირება უნდა მოახდინონ სიმპტომების მქონე ავადმყოფების გამოვლენა-იზოლირებაზე და მათი კონტაქტების დადგენაზე“**.

ზუსტად ასე მოიქცნენ ჩვენი მედმუშაკები პროფესორების **თენგიზ ცერცვაძის, ამირან გამყრელიძის** და **პაატა იმნაძის** ხელმძღვანელობით. მათ არ დაიწყეს უსიმპტომო ვირუსმატარებლების ძებნა მასობრივი ტესტირების შემოღებით (ახლა თუ არ მიბაძეს სხვებს და „უპრაგონო“ ტესტირებას თუ არ მიყვეს ხელი!), რამაც გამოიღო ის საუკეთესო შედეგი, რომლითაც დღეს ყველანი ვამაყობთ და, რისთვისაც ყველას, ამ ბატონებს კი პირველ რიგში, დიდი მადლობა ეკუთვნით თითოეული ჩვენგანისგან!

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით მათ მიერ შემოღებულ (გარედან რეკომენდაციით, ცხადია!) სხვა ზომებზე, რადგანაც თითქმის ყველა უსარგებლო და ზიანის მომტანია. ჯანმოსგან განსხვავებულ მოსაზრებებს, უცხოელი სპეციალისტისა იქნება ის, თუ — შინაურის, ისინი არ ითვალისწინებენ. მხედველობაში მაქვს: **კარანტინი** თავისი კომენდანტის საათით, სახლში **გამოკეტვა-იზოლაცია,** უზარმაზარი **ჯარიმები** წესების დარღვევისთვის, **ტოტალური დეზინფექცია** ყველგან და ყველაფრის, **პირბადეების** და **ხელთათმანების** სავალდებულო ტარება და **მოუზომავი ტელეგანცხადებებით** ხალხის დაზაფვრა. მესმის, რომ წეს-კანონებს ჩინოვნიკები ადგენენ, მაგრამ, ძირითადად, მხოლოდ ამ სამეულის რეკომენდაციების შემდეგ. აბსოლუტურად გაუმართლებელია და მოსახლეობის დამამცირებელია ის, რომ, ფაქტობრივად, **არც ერთ შეზღუდვას დასაბუთებული და ადეკვატური ახსნა-განმარტება არ მოჰყოლია!** იცით, რატომ? ახსნა არა აქვთ და იმიტომ. გონივრული ახსნა, საერთოდ, არ არსებობს და იმიტომ!

ერთი სიტყვით, ჯანმომ მაგრად ჩაისვარა, სამაგიეროდ, თავისი „რჩევა-დარიგებებით“ ეკონომიკური კრიზისები ყველგან გააღრმავა, სახელმწიფოებს — ზოგს მილიონობით და ზოგსაც მილიარდობით დოლარი წყალში ჩააყრევინა, გაბრიყვებული ხალხი კი პანიკაში ჩააგდო! **გლობალისტების მითითებებს ჯანმო, ჯერ-ჯერობით, ფრიადზე ასრულებს!**

ახლა ანტისხეულების ტესტის შესახებ. ეს ტესტები რომ ტარდებოდეს, მას სულ სხვა ფასი ექნებოდა. ამით გავიგებდით, თუ რამდენმა გადაიტანა დაავადება უსიმპტომოდ ფეხზე ან სახლის პირობებში, როგორც უბრალო გაციება; ანტისხეულების რაოდენობით (ანტისხეულების გამომუშავებას ორგანიზმი ინფიცირებიდან 1-3 კვირის შემდეგ იწყებს) ისიც დადგინდებოდა, თუ ამ კონტინგენტიდან რამდენმა ადამიანმა გამოიმუშავა შედარებით მყარი იმუნიტეტი. მაგრამ, ასეთი ტესტი გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე პი-სი-არ ტესტი და, რაც მთავარია, ასეთი სტატისტიკური მონაცემები, როცა სულ მეტი და მეტი პროცენტი აღმოჩნდებოდა დაავადებაგადატანილი, რაც ხალხის დამშვიდებას გამოიწვევდა, სრულებით არ აძლევს ხელს იმათ, ვისაც მთელი იმედები დაშინებული ხალხის იძულებით აცრაზე აქვთ დამყარებული! **ვაქცინაციის გზით მათ ძალიან დიდი ფულის შოვნასთან ერთად სხვა, კიდევ უფრო დიდი მიზნის აღსრულების საშუალება მიეცემათ — თითოეული ადამიანის გაკონტროლების და არასასურველი პირების, ეთნიკური ჯგუფების, მთელი ერების „გამოხშირვის“, მსოფლიო მოსახლეობის ერთ მილიარდამდე დაყვანის! როგორ? როგორ და, — მავნე ნივთიერებებით ისედაც გადავსებული ვაქცინების კიდევ უფრო „გამდიდრებით“ — ნანოჩიპის დამატებით! სწორედ ნანოჩიპიზაციით და 5G რადიოტალღების დასხივებით შესაძლებელი გახდება მოსახლეობის არა მარტო კონტროლი და მისი რაოდენობის რეგულირება, არამედ,** საკუთარ ჭკუაზე ტარებაც!

მსოფლიო მოსახლეობის „ჯანმრთელობაზე“ მაფიქრალ ადამიანებს კარგად ესმით, რომ პანიკის დასათესად კორონავირუსის მხოლოდ მაღალი კონტაგიოზურობა (გადამდებიანობა, გავრცელება) და დაავადებულების რაოდენობის ზრდა საკმარისი არ არის ამისათვის

აუცილებელია გარდაცვლილთა რაოდენობის სისტემატური, ყოველდღიური მატებაც. სხვაგვარად ხალხის დაშინება, თანაც, მსოფლიო მასშტაბით, გამორიცხულია! ნაკლებად ვირულენტური (დასნებოვნების უნარის მქონე) ამ ახალი ვირუსის შემთხვევაში კი ამის მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ ტოტალური ჰიპერდიაგნოსტიკით არის შესაძლებელი. სწორედ ამ მოსაზრებით, გარდაცვალების მიზეზად კოვიდ-19-ის დიაგნოზი არა მხოლოდ საეჭვო შემთხვევებში ისმება, არამედ — აშკარად გამოხატული სხვა პათოლოგიის დროსაც, განსაკუთრებით კი, ასაკოვან ავადმყოფებში. ამის თაობაზე სპეციალური მითითებაც კი აქვთ ექიმებს მიღებული შტატებში და ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოშიც. ამიტომაც გაქრა, პრაქტიკულად, ჩვეულებრივი გრიპით, მიკრობული ან სოკოვანი პნევმონიით და სხვა მიზეზებით გარდაცვლილთა კატეგორია. როცა ვიცით, რომ ჰოსპიტალში მოთავსებულ თითოეულ კორონავირუსით ინფიცირებულ ადამიანზე საავადმყოფო 13 000(!) დოლარს იღებს სახელმწიფოსგან (და ექიმიც — შესაბამის წახალისებას), ხოლო იმათზე კი, ვინც ხელოვნურ აპარატულ სუნთქვაზე იქნება გადაყვანილი — $39 000-ს, ჰიპერდიაგნოსტიკა სულაც აღარ არის გასაკვირი!

ჯანმომ 30 იანვარს არარსებული მსოფლიო პანდემია გამოაცხადა (მაშინ, როცა, თითქმის არსად, ეპიდემიაც კი არ ყოფილა გამოცხადებული!) და ისეთი ეპიდემიოლოგიური ზომების დაცვის და განხორციელების რეკომენდაციები (უფრო ზუსტად, მითითებები!) გასცა, რომ შეშინებულმა სამედიცინო სამსახურის მესვეურებმა ზოგიერთ სახელმწიფოში კიდევ უფრო გაამკაცრეს ისინი და კიდევ უფრო მწარე ღიმილის მომგვრელი გახადეს ბევრი მათგანი.

ამჟამად, დადგენილად ითვლება, რომ დაავადება გადაეცემა მხოლოდ წვეთოვანი გზით, ანუ დახველება-დაცემინების, სიმღერის, სიცილის და, ნაკლებად, ჩვეულებრივი ლაპარაკის დროს დაინფიცირებული პირის მიერ გამოყოფილი ვირუსის გადაცემით ახლო, გვერდით მყოფ ადამიანზე, და ისიც, ძირითადად, დახურულ, ნაკლებად განიავებულ გარემოში რაღაც განსაზღვრული დროის განმავლობაში ყოფნის შემთხვევაში (ამ სივრცეში — ოთახში, დარბაზში, ღამის კლუბში ერთჯერადი შესვლა-გამოსვლით დაინფიცირება აღწერილი არ არის). ეს აიხსნება იმით, რომ ჯანმრთელი ადამიანის დაინფიცირებისთვის საჭიროა ვირუსის რაღაც კონცენტრაციით, ჯერჯერობით დაუდგენელი რაოდენობით ჩასუნთქვა. ფაქტია, რომ ღია სივრცეში დაინფიცირების შემთხვევები მხოლოდ სტადიონზე აღინიშნა, სადაც მაყურებლები მჭიდრო კონტაქტში არიან ერთმანეთთან ორი საათის მანძილზე. კორონავირუსით დაინფიცირებული სომხეთის პრეზიდენტი **ფაშინიანი** კი იმაში დაარწმუნეს მრჩეველმა „სპეციალისტებმა“, რომ მას წყალი (ბოთლით თუ ჭიქით) მიართვა პირმა, რომელსაც ხელთათმანები არ ეცვა. ვირუსის ამ გზით გადაცემა რომ არ შეიძლებოდა მომხდარიყო, ეს არავინ აუხსნა პრემიერს.

მართალია, წვეთოვანი გზით გამოყოფილი ვირუსი, პრაქტიკულად, ყველგან შეიძლება ინახოს: მაგიდაზე, ტელეფონზე, კომპიუტერზე, კარის სახელურზე, ტუალეტში, ქუჩაში და ა. შ., ანუ რომელ ზედაპირთანაც კი ვირუსების გამომყოფ ადამიანს უშუალო კონტაქტი ექნება დახველება-დაცემინებით, ან ვირუსებით დაბინძურებული ხელის შეხებით (ზოგიერთი, ცხვირ-პირზე იფარებს ხელებს დაცემინებისას), მაგრამ ამას ინფექციის გავრცელებისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, და აი, რატომ: **დადასტურებულია, რომ ნებისმიერ ზედაპირზე ნანახი არც ერთი(!) ვირუსი სიცოცხლისუნარიანი აღარ არის და მათი გამრავლება ლაბორატორიულ, ანუ იდეალურ პირობებშიც კი არ ხერხდება, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ დაინფიცირების უნარიც დაკარგული აქვთ! მიუხედავად ამისა, ოთხ თვეზე მეტია, მთელ მსოფლიოში არნახული ზომები ტარდება ამ მკვდარი, უკვე უვნებელი ვირუსების წინააღმდეგ!** დეზინფექცია ხდება, პრაქტიკულად, ყველაფრის, იმ ადგილებისაც კი, რომლებსაც ავადმყოფის ვერავითარი დახველება-დაცემინება ვერ მისწვდება. ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნიან, თითქოს, ჰაერი ცოცხალი ვირუსებით იყოს გადავსებული: ცხვირ-პირიდან დახველება-დაცემინებით ამოტყორცნილი ვირუსები ჰაერში გამრავლებულ-მიმოფანტული და ყველა კუთხე-კუნჭულს მოდებული და, თან, ადგილიდან ადგილზე ხტომის შემძლე! პირდაპირ გაოცებული ვარ ჩვენი ექიმების — ინფექციონისტების, ეპიდემიოლოგების პასიური პოზიციით — ყველას კარგად მოეხსენება, რომ ვირუსი მხოლოდ ცოცხალ უჯრედში მრავლდება, რომ ინფიცირებული ადამიანის მიერ გამოყოფილი ვირუსები ძალიან სწრაფად იღუპებიან ჰაერზე, რომ ადამიანის სხეულის გარეთ მხოლოდ მკვდარი, უვნებელი ვირუსებია, რომ, ამიტომ სრული უაზრობაა (რბილად რომ ვთქვათ!) განურჩევლად ყველაფრის და ყველა ადგილის დეზინფექცია და, მიუხედავად ამისა, მაინც ხმას თითქმის არავინ იღებს, არც ისინი, ვისაც ეს სამსახურებრივად ევალება!

დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი ადამიანი, მათ შორის, ზოგიერთი ექიმიც იტყვის: დეზინფექციით რა შავდება, კორონავირუსი თუ არ არის, სხვა ათასი მიკრობი და ბაქტერია ხომ არის ამ ჩვენ დაბინძურებულ გარემოშიო!

საქმეც ის არის, რომ შავდება და, ძალიანაც! ჯერ ერთი, ბიუჯეტის ფლანგვაა, ისედაც ეკონომიკურად დაზარალებულ ქვეყანაში; მეორე, გამორიცხულია, რომ გამოყენებული ქიმიური ხსნარები სრულიად უვნებელი იყოს ადამიანისთვის; მესამე, ასეთი ტოტალური დეზინფექციაც ფსიქოეფექტის, დაშინების საშუალებაა და, ბოლოს, ყველაზე მთავარი — როდესაც მთელი ქალაქების (ქუჩების, ტროტუარების, ვიტრინების, შენობების — შიგნიდან თუ გარედან, მაგიდების, მერხების, ფანჯრების, სხვადასხვა ინვენტარის და ა.შ.) დეზინფიცირება ხდება, ბევრი ბაქტერია, რა თქმა უნდა იღუპება, მაგრამ აუცილებლად გადარჩება მათი ნაწილი, რომლებიც რეზისტენტული, გამძლენი გახდებიან ამ ხსნარების მიმართ. სწორედ ამაშია საშიშროება — როგორც ანტიბიოტიკების მიმართ გამოიმუშავებენ გამძლეობას ბაქტერიები და ამით დიდი პრობლემების წინაშე ვდგებით ხშირად, ისევე გამოიმუშავებენ ისინი რეზისტენტობას დეზინფექტანტების მიმართაც და, „შემდეგ, **როცა რომელიმე ლურჯმწვანე ჩირქმბადი ჩხირი მოხვდება სამედიცინო კლინიკაში, მას უკვე ვეღარავითარი სანიტარიული მეთოდებით იქიდან ვეღარ ამოვძირკვავთ“,** — აცხადებს აკადემიკოსი **ვიტალი ზვერევი**. და ეს არ არის რაღაც ახალი აღმოჩენა. სწორედ ამ მიზეზით, ანუ რეზისტენტული ფორმების არსებობით არის განპირობებული ის საყოველთაოდ გავრცელებული ფაქტი, რომ **ყველაზე ძნელად სამკურნალო და ლეტალური არის კლინიკებში გავრცელებული შიდა ინფექციები — პნევმონიით გარდაცვლილების 90% სწორედ შიდა ინფექციით გამოწვეულ ე.წ. ნოზოკომიალურ პნევმონიებზე მოდის!**

ბუნებაში ყველაფერს ორი მხარე აქვს და თითოეულ გადადგმულ ნაბიჯს კარგად დაფიქრება სჭირდება. კორონავირუსთან ბრძოლის თვალსაზრისით უსარგებლო დეზინფექცია კი ოთხი თვეა, გაუთავებლად ტარდება. ზოგი იტყვის: ეს ხომ მარტო ჩვენთან არ ხდება, ასე ხომ მთელი მსოფლიო იქცევაო. მეც მანდა ვარ, და ამაზე მხოლოდ ყველაზე გავრცელებული მაგალითებით ვუპასუხებ: მთელ მსოფლიოს პირბადეებით აუკრეს პირი. რისთვის? რა თქმა უნდა, ინფექციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ხომ? კი მაგრამ, როგორ? აკი პირბადე ვირუსებს ვერ აკავებს, მხოლოდ დახველება-დაცემინების დროს გამოტყორცნილი მსხვილი შხეფების შეკავება შეუძლიაო? განა ეს ცოტააო, იტყვის მავანი. მაინც რამდენად აკავებს, შეიძლება ამის გაგება? თურმე შეიძლება. ზემოთ უკვე ციტირებული **ლეონარდ კოლდუელი** ამბობს: **„სიბრიყვეა პირბადის ტარება, იგი აძნელებს სუნთქვას და ჟანგბადის მიწოდებას. ლაბორატორიული ცდებით გაირკვა — როდესაც ბაქტერიების დასათეს საკვებ ნიადაგზე პირბადით და პირბადის გარეშე დახველეს, განსხვავება იყო ერთ(!) პროცენტში“**. ამერიკაში, საკუთარ მანქანაშიც კი იკეთებდნენ მძღოლები ნიღბებს, რამაც ზოგიერთი მათგანი გონების დაკარგვამდე და სერიოზულ ავარიებამდე მიიყვანა — მიზეზი იყო ის, რომ ისინი უკანვე ჩაისუნთქავდნენ ამოსუნთქულ ჰაერს და ამის გამო მუდმივად განიცდიდნენ ჟანგბადის უკმარისობას **(თბილისშიც შემინიშნავს ასეთი პირბადიანი მძღოლები, რაც კატეგორიულად დაუშვებელია, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის დროს!)**.

იაკობ ლეჟავა,
15 ივნისი, 2020

(დასასრული
შემდეგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №76

ბრძენ მოძღვარზე რაიც განუყრელ მოგონებად დამრჩა,

ანუ ვინაც ბევრად უუფრო ქართველი გამხადა!..

„მცხეთის ქალაქს მირონი დუღს“, მზის
და ვაზის მირონი,
ბებერ ქვებში ღაღადებენ
საქმენი საგმირონი,
იღაღადეთ, ფუძის ქვანო,
ქვანო საგუმბათონო,
მცხეთას ხომ არ მიბრძანდებით,
კონსტანტინე ბატონო?!“

შოთა ნიშნიანიძე



აღარც მახსოვს, ჯერ კიდევ როდის დამიწყო ერთმა ჩემმა ფრიად წიგნიერმა ძმისწულმა ჩიჩინი, მარტო მე ნუკი მიყვები, ადექი და დაწერე, რაც რამ მოსაგონებელი გაქვს კონსტანტინეზეო, გამსახურდიაზე...

ჰოდა, მეც ავდექი ჩავხედე ჩემს იმდროინდელ ჩანაწერებს და დავწერე პირუთვნელად, ბევრიც გზადაგზა წამომაგონდა.

პირველი ჩვენი გაცნობა დაუსწრებლად მოხდა. ადამიანის ნააზრევი ხომ იგივე ის ადამიანია. მეც კონსტანტინე გამსახურდიას ამ ნააზრევს 1956 წლის ცხელ ზაფხულში ჩავუჯექი ზემო ხანდაკად სახელდებულ სოფელში სტუდენტურ არდადეგებზე. სულ ჩავაბულბულე ხელფანქრიანმა მთელი მრავალტომეული და ეს ქართული სიტყვის ჭეშმარიტი ხუროთმოძღვარი თვალწინ დავიყენე, სამუდამო მეგზურ-ეტიკად გავიხადე და იმისგან ნაჩვენებ გზას გავუყევი, რომელ გზაზეც ერთხელაც საყვარელ ადამიანსა და მწერალს ცოცხლად შევხვდი...

„საქართველოს რესპუბლიკაში“, ერთ დროს გაზეთ „კომუნისტში“, ჯერ კიდევ 1957 წელს დავიწყე ნახევარი შტატით მუშაობა. მაშინ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი. ცხონებულმა გიორგი მერკვილაძემ, რომელიც ჩემი პროფესორი იყო, გაზეთ „კომუნისტის“ იმჟამინდელ რედაქტორს, თვალსაჩინო ისტორიკოსს, სულგანათლებულ პროკოფი რატიანს ურჩია გაზეთში ჩემი გათანამშრომლება. პროკოფი რატიანსაც არ დაუუარებია. ასე აღმოვჩნდი ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში ლიტერატურულ მუშაკად, სხვათა შორის, ტარიელ ჭანტურიასთან ერთად, რომელმაც მერე, უკვე რედაქციიდან წასულმა, თავისი სრულიად ახალი სიტყვა თქვა ქართული პოეზიის არცთუ იოლ სარბიელზე... როგორც იტყვიან, ტარიელს შარი დასტურ ხეირად ექცა, რამეთუ ერთადერთ დიდ ქართულ პარტიულ გაზეთში, ისიც მაშინ, ლექსის საწერად არცვინ არ მოაცლიდა...

ლექციების შემდეგ ერთ ჩემს თანაკურსელ გოგოს უნივერსიტეტის ჭიშკართან მანქანიანი მეგობარი ელოდებოდა. წამოდი, სახლამდე მიგიყვანთ, ჯერ მე მიმიყვანეთ „სახელგამშიო“. უარს რატომ ვეტყოდი. გადავიარეთ ამჟამინდელი გალაკტიონის ხიდი (მაშინ სტალინის ხიდი იყო) და „სახელგამის“ გარეთ, სვეტთან კონსტანტინე გამსახურდია იდგა. გადავედი, უკანა კარი გავაღე და, მძღოლთან შეუთანხმებლად, ვთხოვე, მოგრძანდით, კონსტანტინე ბატონო, სადაც გნებავთ, იქ წაგიყვანთ-მეთქი. უარზე არ დამდგარა. ჩაჯდომისას წელში მოიღუნა და ცილინდრი მოიხადა, სხვაგვარად არ გამოვიდოდა. დიდი ჭკვიანი ხალხიაო ეს გერმანელები, ხომ შეიძლება, მანქანაში კანცლერი ან პრეზიდენტი ვინმე იჯდესო, ხომ შერცხვი, წელში მოხრილმა თავსაბურავი თუ არ მოიხადეო და ისე არ მიემშვიდობე. ეს ყველაფერი ამ მანქანის შემქმნელმა გერმანელმა ინჟინერმა გაითვალისწინაო და გადაგვარჩინაო მოსალოდნელ სირცხვილს.

მე „ემადინით“ ჯერ კიდევ ომამდე ვიმგზავრეო ბერლინში, გერმანელებმა თავიანთი საქმე ფრიადზე იციანო, ბეჯითი ხალხია. ჩემი კოლხური კოშკი მაგათ ამიშენესო, ტყვეებმა!..

რახან კოლხური კოშკი მოიტანა სიტყვამ, ანა კალანდაძე წამომაგონდა. იგი როგორც გამსახურდიების ნათელ-მირონი, იმათი ხშირი სტუმარი იყო, ანას მონათლული ჰყავდა დიდი პაპის მოსახელე კონსტანტინე (კოკო). ბუნებრივია, პირველი შვილიშვილი გულისგულში დაჰ ყავდა ჩათბუნებული დიდ პაპას, რომელიც იმხანად გახარებული იყო, გიორგი ნატროშვილმაო ჟურნალ „დროშაში“ დაბეჭდაო კოკოს რამდენიმე იგავ-არაკიო. ღმერთი, რჯული, მე კალმით არ ჩავრეულვარ, ბავშვს ჩუმად დაეწერაო. მე მხოლოდ რედაქციაში მივყევიო... როგორც კოკოს ნათლია ანა წერს, კოლხურ კოშკში მისულს უეჭველად უნდა გენახათ შვლის ნუკრები, მავთულბადეს მომდგარნი, საოცარი ცნობისმოყვარეობით რომ შემოგაფეთებდნენ „მშვენიერ გიშრისფერ თვალებს“, თითქოს... თალაგვა კოლონკელიძის საჩიხიდან შემთხვევით

კოლხური კოშკი

აქ შემოხიზნულნი. უნდა გენახათ, მისი იადონები, რომლებიც თურმე მხოლოდ მზის სხივებზე გალობდნენ თავდავიწყებით. ბატონი კონსტანტინე თავადაც მშვენივრად მღეროდა, ჰქონდა ჩინებული სმენა და სასიამოვნო ხმაო. არაერთხელ მომისმენიაო, წერს ანა, მის მიერ დაბალი ხმით წაღიღინებული – **„ეს ჩვენი მეფე ერეკლე ერთი პატარა კახია“**, **„ამ ჩვენს მეფე ერეკლესა ირმის ძუძუ უწოვია“**... ძალიან უყვარდა **„გინდ მეძინოს“** (ხშირად მოუთხოვია მისი შესრულება სუფრაზე). მისი სიცოცხლის ყოველი დაძაბული წუთი, განაგრძობს ანა, მაღალი შთაგონებით იყოო მირონცხებული, რადგანაც **„ამ სოფლად მოსვლას რა ფასი აქვს, თუ იგი ისეთივე დატოვე კაცმა, როგორიც შენამდე ყოფილაო“**, ხშირად ამბობდა თურმე კონსტანტინე ბატონი...

ერთხელ სტუმრობისას ვკითხე, კონსტანტინე ბატონო, ნეტავი „ბელადის“ მეორე წიგნს როდის ვიხილავთ-მეთქი. იმხანად პირველი წიგნი უკვე გამოცემული იყო. მეორე კი არაო, ბრძანა კონსტანტინე ბატონმა, ბერიას პირით შემომითვალა, დროზე თუ გავიგებდი, პირველი წიგნიც არ უნდა გამოსულიყოო. იმ წლებში სტალინმა თავისი ჭაბუკობის დროინდელი ქართული ლექსების არსენი ტარკოვსკის ჩინებული რუსული თარგმანიც აკრძალა. როგორც ამბობდნენ, იმ ლექსების რუსული ბწკარედი შალვა ნუცუბიძის მიერ ყოფილა შესრულებული... ერთი სიტყვით, თავის ქებას თვითონვე აშკარად ერიდებოდა. ისიც ეთქვა, რაც ლეონიძემ დაწერაო, საკმარისზე მეტიაო. არ დაგავიწყდეს, ბულგაკოვის „ბათუმის“ დადგმაც არ მოუწონაო მერე თეატრს.

ცნობილი ამბავია, რომ ალექსეი ტოლსტოის პეტრე პირველზე რომანის წერა რომ დაუწყია, სტალინთან მისულაო რჩევის საკითხავად, რა ვქნა, არ ვიცი, როგორ გადავჭრა პეტრეს წარმომავლობის, წარმოშობის საკითხი. სტალინი არა მარტო თავის, არამედ საერთოდ, ფრთხილად ეკიდებოდაო ქართულობის ამბავსო. აქ წარმოშობა არაფერ შუაშიაო, უთქვამს ბელადს ალექსეი ტოლსტოისთვის, მთავარი ის არის, რომ პეტრე მთელი თავისი არცთუ ხანგრძლივი ცხოვრება რუსეთის გასაევროპელებლად რუდუნებდაო, ჯერ ფანჯარა გაჭრა ევროპისკენ, თუმცაღა კარის გაჭრა მთლად ვეღარ მოასწროო. ასე რომ, პეტრე დიდი აღმაშენებელი რუსი მეფეაო, რა ვუყოთ, თუ რომელსამე ბაგრატიონის გვარის ჩამომავალს ჩამოჰგავსო. ბუნებამ, როგორაც მბრძანებელმა, ბევრი ამნაირი ოინი იცისო. ისიც ცნობილიაო, განაგრძო მერე კონსტანტინემ, ერთხელ მოსკოვიდან დაბრუნებულმა შალვა დადიანმა მიამბოო. სტალინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით შუააზიელ მქარგავებს იუბილარისთვის ძვირფასად ნახელკეთილარი ხალიჩა მიურთმევიათ, ოც მქარგავს ემუშავა თურმე სამი წელიწადიო. სტალინს ის ხალიჩა სახელმწიფოსთვის გადაეცაო და სასოფლო-სამეურნეო პავილიონში გამოეფინათო. ალექსეი ტოლსტოის, როგორც ხალიჩების კოლექციონერსა და ტრფიალს, ის ხალიჩა ძალიან მოსწონებია და უთხოვია, მომყიდეთო, ვიცი, მილიონები ღირს და ახლავე გადავიხდიო. ის ერთ-ერთი მდიდარი მწერალი იყო, მაგრამ სტალინის საჩუქარს ვინ გიჟი მიჰყიდიდაო. უკვე მერე, მწერლებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე, სტალინს უკითხავს, რა გინდათ, რას ითხოვთ სახელმწიფოსაგანო, ალექსეი ტოლსტოის გაუბედავს და უთქვამს, გამოფენაზე რომ ხალიჩაა, იმის ყიდვა მინდა, მაგრამ არ მომყიდესო. ბელადს გასცინებია, მოყიდვით არა, მაგრამ რახან ეგრე ძალიან გული შეგვარდნიაო, სახელმწიფო სულაც გაჩუქებსო არა როგორც მარტო სიმდიდრის მოყვარულსა და დამგროვებელს, არამედ, როგორც კომუნისტების სამსახურში ჩამდგარ წითელ გრაფსა და კარგ მწერალსო... ერთი სიტყვით, მწერლის შრომის დაფასება იცოდაო ბელადმა, თუმცა, ხანისად ცოტა იუმორგარეული ღიმილითო...

რაც შეეხება სხვებთან შედარებით თავმდაბლობას, იგი ამ მხრივ, ყველასთვის მისაბაძი მაგალითი იყოო. როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, მეტადრე ეროვნულ საკითხებში იჩენდაო დიდ სიფრთხილეს. ეს ეროვნული ამბავი კი ძალიან კარგად ესმოდაო. ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდამ, დღემოუჭმელმა, ისეთი ნაშრომი დაწერა ეროვნულ საკითხზე, რომ სწორედ მაშინ მიიქცია გამორჩეულად თვითონ ლენინის ყურადღებაო, რომელსაც თითქმის ამ თვალსაზრისით მერე მეც მივწერეო უსტარი, მაგრამ, სამწუხაროდ, პასუხი არ მოუწერიაო...

სტალინის თავმდაბლობაზე როცა ვლაპარაკობთ, არ უნდა ვიგულმავიწყოთ, რა მკაცრი წერილი გაუგზავნაო გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელის“ დირექტორ ჩაგინს თავისი ქართული ლექსების რუსულად გამოცემის აკრძალვის თაობაზეო. ანდა ვასილის სიცელქისა და, ცოტა არ იყოს, გვარიანად გათავხედებისა გამო დამრიგებელს როგორი სასტიკი თხოვნის უსტარი მისწერა, ჩემს შვილს სანიმუშოდ მკაცრად მოექეცითო. მოკლედ პირად ცხოვრებაში ძალზე მოკრძალებული ყოფილა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან და მუდამ ქართული სიდარბაისლე გამოარჩევდაო...

ეგების ყური გაქვსო მოკრული, მაგრამ, მაინც გეტყვი, იცოდეო. 39 წელს მაგ არაკაც ხრუშჩოვს წერილი გაუგზავნია ბელადისთვის, დაბადების 60 წელი მიულოცავს და შეუთავაზებია, დეკემბერს სახელი გადავარქვათო და სტალინურ თვედ სახელვყოთო. ახლა არ იკითხავ ბელადს რა წაუწერია იმ წერილზე? ეს არა მარტო ბრიყვული და სულელური, არამედ მავნებლური იდეაიო. კაცთმოთნეობისა და ფარისევლობის კლასიკური ნიმუშიო! მერე გამოდის ეს მართლა ბრიყვი ქართველთმოძულე და თავისივე და თავისნაირების მიერვე შექმნილ კულტზე უსირცხვილოდ ლაპარაკობსო...

ახლახან ერთი კარგი ამბავი გავიგეო, მოაყოლა ზემო ნათქვამს კონსტანტინემ: სტალინს შალვა ნუცუბიძე ციხიდან გამოუყვანინებიაო „ვეფხისტყაოსნის“ თავისი რუსული თარგმანითურთო, და როგორც პროფესორ ალექსანდრე ბარამიძესთან გა-

იხ. 8 გვ.

ბრძენ მოძღვარზე რაიც განუყრელ მოგონებად დამრჩა,

ანუ ვინაც ბევრად უფრო ქართველი გამხადა!..

(მეშვიდე გვერდიდან) უმხელიაო შალვას, ერთი სტროფი თვითონ ბელადს უთარგმნიაო. შალვას თარგმანი ყველა თარგმანისგან კი იმით განსხვავდებაო, რომ შიგ უფრო მეტი ქართული სული ტრიალებსო. რაც შეეხება თვითონ შალვას, მოსკოვი-თბილისის მატარებლიდან რომ გადმოსულა, შუბლწინწამოწეული არ-თმევდა თურმე ხელს ყველას და ეუბნებოდა, ახლა უკვე ჩემი მტრები მიფრთხილდნენ, ამ შუბლზე თვითონ სოსომ მაკოცაო და ვინმეს არ დავეჯახოო. კონსტანტინე ამას ისეთი სიამაყით ამბობდა, თითქოს ბელადს იმისთვის ეკოცნოს შუბლზე.

არ შემიძლია, აქვე არ აღვნიშნო ერთი უცნაური რამ. როცა კი შალვა ნუცუბიძეს დავლაპარაკებივარ, ის რედაქციასთან ახლოს ცხოვრობდა და საღამო ხანს, სეირნობისას, შემოივლიდა ხოლმე რედაქციაში (იმისი რამდენიმე ნაშრომიც მაქვს დიონისე აეროპაგელზე სამახსოვრო წარწერით მოძღვნილი), ყოველთვის უჩვეულო სიმხურვალეს ვგრძნობდი, დაახლოებით ისეთს, სიგრილეში თბილი ნიავის სუნთქვის სახით რომ იგრძნობ. ასეთი რამ დამემართა შოლოხოვთან და ტუპოლევთან შეხვედრისას. არ ვიცი, ეს რის ნიშანია, იქნება სულაც ადამიანური „გრავიტაციისა“, მსოფლიო მიზიდულობის მსგავსი, რაც მერე დიდხანს მდევდა შეუცნობლად. ამ მხრივ ბატონ კონსტანტინეზე აღარაფერს ვამბობ. ეს თავისთავად იგულისხმება. ვინც თუნდაც ერთხელ მაინც მდგარა იმის პირისპირ, ვიცი, უსიკვდილოდ დამეთანხმება...

1958 წლის შემოდგომაზე ტაშკენტში აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა კონფერენცია გაიმართა, რომელსაც ჩვენი მწერლების დელეგაციაც ესწრებოდა ირაკლი აბაშიძის თავკაცობით. როგორც გაზეთის კორესპონდენტი, მეც ამ დელეგაციას გავყევი.

ტაშკენტში პირველი ღამის სასტუმროში გათევა თვითონ ირაკლი აბაშიძესთან ერთად ერთ ნომერში მომიხდა. ირაკლიმ შემატყო, რომ თავს მოუსვენრად ვგრძნობდი და შემაგულიანა, დაიძინე, ნუ გერიდება, გიჭო, მე, აბაშიძე ვარ, ირაკლი, ბაგრატიონი კი არა ვარ, ერეკლე მეორეო.

ტაშკენტიდან ბევრი კარგი მასალა გადმოვეცით მე და ჩემმა თანაამხანაგმა ბაკურ ბახტურიძემ, რომელმაც პირველმა შემატყობინა, ახალი რედაქტორი გვყავს დავით მჭედლიშვილიო. კონფერენციაზე ბევრის გამოსვლა დამამახსოვრდა, მაგრამ განსაკუთრებით ნაზიმ ჰიქმეთისა და რასულ გამზათოვის გამოსვლებს ხვდა დიდი ტაში. ჰიქმეთმა სწორედ მაშინ, იმ კონფერენციაზე წაიკითხა ის ლექსი, რომლის სიტყვებიც მერე მთელმა მსოფლიომ აიტაცა: **მე თუ არ დავიწვი, შენ თუ არ დაიწვი, ამქვეყნად ბნელს ვინ გაანათებსო.** რასულმა კი ჩვეული ხუმარსიტყვით მიმართა დარბაზს. ამ დიდ კონფერენციაზე სუყველაზე პატარა ხალხის წარმომადგენელი მე ვარო. არ ვიცი, დაღესტანი გაგიგიათ თუ არაო; რასაკვირველია, ალბათ, არც მამაჩემის, დაღესტნის სახალხო პოეტის გამზათ ცადასის სახელი გსმენიათო. მამაჩემი იმიტომ ვახსენე, რადგან როგორც პატარა ხალხის ავარიელთა წარმომადგენელი, სადაც კი ხალხმრავალ შეკრებაზე მოხვდებოდა, ყოველთვის ერთ ჩვენებურ სიმრძნეს იშველიებდა, მთავარია, ხალხი თუ ადამიანი გასაღები იყვეს, მნიშვნელობა არა აქვს გასაღები დიდია თუ პატარაო, ვინაიდან **ყოვლის უფრორე პატარა გასაღებს ყოვლის უფრორე დიდი ზანდუკის გაღება ძალუძსო**. ამ ბრძნულ სიტყვებს, ცხადია, ტაშთან ერთად ზღვა ღიმილი და სიამოვნების სიცილი მოჰყვა.

მერე, დარბაზში ჩამოსულ რასულს ირაკლი აბაშიძემ, გიორგი ლეონიძემ, დემნა შენგელაიამ, სიმონ ჩიქოვანმა გამოსვლა მოუწონეს. და რასულმაც არ დააყოვნა, ჩვენ, ჩემო ძვირფასო ქართველებო, ავარიელთ პოეზიის ფასი თქვენზე არანაკლებ ვიცით და ლამაზ ქალებსა და დიდ პოეტებს სწორედ ამიტომ ვიტაცებდითო. ასე რომ, დავით გურამიშვილის გატაცებას ჩვენს წინაპრებს ყაჩაღობად ნუ ჩაუთვლითო.

როგორც უკვე ვთქვი, თბილისში დაბრუნებულთ გაზეთის ახალი რედაქტორი დაგვხვდა, დავით მჭედლიშვილი, რომელმაც ჩვენი ტაშკენტური მუშაობა კარგად შეგვიფასა და ნახევარი შტატი გამიმთლიანა. მალევე ჯერ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგედ დავინიშნე, მერე 1965 წლის იანვრიდან უკვე რედაქტორის მოადგილე გავხდი (მაშინ, არა სისხლიანი გენერალი, თუმცა იმავე გვარის რუსი მეორე მდივანი იყო საქართველოში). სხვათა შორის, იმავე მიურობზე „ნიანგის“ რედაქტორის მოადგილედ დაამტკიცეს უთუოდ უნიჭიერესი იუმორისტი გიზო ნიშნიანიძე, თვითონ „ნიანგის“ მთავარი რედაქტორი კი იმხანად ნამდვილად „სიცილის დემონი“ – ნოდარი იყო, დუმბაძე, იგივ ჯვეზე დუმბავა, რომლის „მე, ბებიამ, ილიკომ და ილარიონმა“ არა ოდენ სიცილით მუცელი დაჭერინეს ხელით, არამედ გულიანი სიცილის ცრემლიც ადინეს და თანაც არა მარტო ჩვენებურ წამკითხველს... ისინი, მგონი, დღესაც გარს უვლიან დედამიწას.

ერთხელ, იმუამად „საუნჯეში“ „გარგანტუასა და პანტაგრუელის“ პირველი წიგნი რომ დაიბეჭდა, 1981 წელს, ნოდარმა, უკვე მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, ტელეფონით დამირეკა და თავისებური ჯვეზე დუმბავური ხუმარსიტყვით მითხრა, შენ ხო იცი, ძამა, ეგ რაბლე, ფრანსუა, იყო ბაბუაჩემის დიდი ბებიის ფრანგი ბაბუაო. უყურე მაგას, რა კარგი ქართული სცოდნიაო... რაც ჩემთვის უდავოდ დიდ შემაგულიანებელ ბიძგად იქცა დანარჩენ ოთხ წიგნზე მუშაობისას...

ბიუროს იმ სხდომაზევე ვასილ მჟავანაძემ გაიხსენა, რომ 1961 წელს გაზეთის სახელითა და თვითონ იმისივე, ვასილ მჟავანაძის თანხმობით, საქართველოში მოვიწვიეთ მიხეილ შოლოხოვი, რომელსაც ჟურნალისტ ოთარ არობელიძესთან ერთად სტანიცა ვეშენსკაიაში ვესტუმრეთ და დავპატიჟეთ როგორც ფრიად სასურველი სტუმარი, რომელსაც როსტოვის პარტიულმა ხელმძღვანელობამ გზაში აცნობა მაშინ უკვე ბევრისთვის ავადსახსენებელი ნიკიტა ხრუშჩოვისთვის მესამე გზის გმირობის მინიჭების თაობაზე, და სთხოვა, დავალებაა, რომ დეპეშით მიულოცოთო. რაო?! – შეიცხადა შოლოხოვმა, მაგ სამგზის ბრიყვს ვარსკვლავები ჭკუას ვერ მოუმატებსო. მწერლის ეს სიტყვები როგორც რომ როსტოველთათვის, ისე ჩვენთვის, თანმხლებთათვის, მოულოდნელიც იყო და გაბედულების მხრივ, როგორც ჩემი თაობის ხალხი ვიტყოდით, ნამდვილ გმირობასთან ჭრის, ახლა ამბობენ, ტოლფასიაო...

ბატონი კონსტანტინე გამსახურდია და გურამ გოგიაშვილი (1966 წ.) (გოგი გოგოხიას ფოტო)

ჩამოსვლის პირველ საღამოს ძვირფასი სტუმრის მისაღებად დავით მჭედლიშვილის ოჯახში იყო სუფრა გაშლილი. აეროპორტიდან პირდაპირ დავითის ბინისკენ წავედით. გზაში მეორე დღეზეც ჩამოვარდა ლაპარაკი. ხვალ, ალბათ, კარგი იქნება, რუსთავს თუ ვეწვევით როგორც ინტერნაციონალურ ქალაქსო, უთხრა სტუმარს ჩვენი ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა კოვანოვმა. შოლოხოვმა ჯერ ვითომ ვერ გაიგონა, ყური მოუყრუა, მერე ეგრევე მიახალა, მე აქ საქართველოში ჩამოვედი და არა ინტერნაციონალურ ქვეყანაშიო. მე თუ მკითხავთ, აქ რუსი მეორე მდივანი სულაც საჭირო არა მგონიაო. მერე ამ მძიმე საუბარში თვითონ მჟავანაძე ჩაერია და ვითარება ერთგვარად განიმუხტა.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ მეორე დღეს რუსთაველის თეატრში კონსტანტინე გამსახურდიას საღამო იმართებოდა და გადაწყდა, რომ შოლოხოვიც მისულიყო მისალოცად. მაგრამ სწორედ კოვანოვის მითითებით სტუმარი არ დაასწრეს გამსახურდიას საღამოს, ეგ ქართველი ნაციონალისტია და ვაითუ, სტუმარი შეგვირაცხყოსო. ეს ამბავი კონსტანტინემ უკვე მერე შეიტყო და დიდად ნაწყენი მაინცდამაინც არ დარჩენილა. ეტყობა, მაგ რუსმა მდივანმა იგრძნოო, რომ მთლად სანდო მასპინძელი არ ვიყავი, სტუმარიც გადაარჩინა ჩემი მხრიდან ეკლიან სიტყვას და მეც კარგ ქართველად გამომიყვანაო.

ისე, უხორცოსებრ ფრიად გაბედული ვინმე ჩანს ეგ კაზაკი შოლოხოვი, რომელმაც უთუოდ კარგი წიგნი დაწერაო „წყნარი დონის“ სახით და აკი ნობელის პრემიაც მისცესო, თუმცა ამ წიგნის დაწერაზე ათასი რამ ჭორი დადიოდაო! როცა მთელი იმოდენა დარბაზი მუნჯად იჯდაო და ერთ კომუნისტსაც კრინტი არ დაუძრავსო, მაგან პირდაპირ ტრიბუნიდან უთხრაო მამაძაღლ ხრუშჩოვს, კულტი რომ გახდეო, ჯერ პიროვნება უნდა იყვეო, სტალინი პიროვნება იყოო, თანაც დიდი პიროვნებაო. გორკის კულტიც იმიტომ გვაქვს, ისიც დიდი პიროვნება იყოო, რომელსაც შინაც ვაღიარებდითო და გარეთაც აღიარებდნენო. მჩორენაჭამ ხრუშჩოვს რატომღაც ხმა არ ამოუღიაო და შოლოხოვის ნათქვამი არც გაუტრიზავებიაო. კონსტანტინეს საერთოდ მოსწონდა ის ადამიანი, ვინც სიმართლეს გაბედულად და ხმამაღლა ამბობდა. ამ ქვეყანას ყოველთვის ბოროტი მლიქვნელები ღუპავდნენო, თავს რომ მიამიტებად ასაღებდნენო, მწარედ დააყოლებდა ხოლმე...

ერთი სიტყვით, ცოტა შორიდან კი დავიწყე, მაგრამ წინასწარ არც მიფიქრია, თავისთავად მოხდა.

სწორედ ჩემი რედაქტორის მოადგილეობის დროიდან ვხვდებოდი კონსტანტინე გამსახურდიას არცთუ იშვიათად. მართალია, კონსტანტინე იმხანად განაწყენებული იყო დავით მჭედლიშვილზე, რომელმაც ზემოდან მითითებით ვლადიმერ თორდუას ფელეტონი – „სარეველა“ დაბეჭდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დისიდენტურ საქმიანობაზე, მაგრამ რედაქციას მაინც პატივსა სცემდა.

ცნობილია, რომ მან წერილიც მისწერა დავითს, სადაც აღშფოთებული სწერდა, უნამუსო კორესპონდენტს ვლ. თორდუას თქვენის ინსპირაციით დააწერინეთო ყოვლად უხამსი ინსინუაცია ჩემი ვაჟის მიმართ, თითქოს ის ისეთი ხულიგანი ყოფილიყოს, რომ ჩემს მკითხველებს ქუჩაში დაეტაკებოდა და ჩემს წიგნს გააგდებინებდაო ხელიდან. სინამდვილეში კი ეს ათი წელია, ჩემი ვაჟი გახლავთ ყველა ჩემი წიგნის პირველი რედაქტორი და კორექტორი, ამასთან ერთად იგი თარგმნისო ინგლისისა და ამერიკის პროგრესულ პოეტებს. ბოლოს საქმე ისე წავიდა, ჩემი ერთადერთი ვაჟი დაღუპვის კართან წარდგა, ამის შედეგი რა იქნებოდა, მე, ლოგინად ჩავარდნილმა, ფიცი დავდე: როგორც კი წამოვდგებოდი, ამ საქმის ინსპირატორი და შემსრულებელი უნდა დამეხოცაო და, ცხადია, ამის შემდეგ მეც არ ვიცოცხლებდი. ჩემი ამბავი რომ გაიგეს, გრიბოედოვის ქუჩაზე მოზღვავდაო ხალხი, იმავე საღამოს ათი ყმაწვილი მოვიდაო ჩემთან და განმიცხადეს: ამ საქმის მომწყობებს დავხოცავთო და გაზეთის რედაქციას დავარბევთო. მერე ის იყო შეევედრე, მაგას ნუ იზამთ-მეთქი და, ბოლოს, დააყოლებდა ხოლმე, მთავრობები და პარტიები იცვლებიანო, ხოლო ერი უკვდავია, ვითარცა ღირებულებათა შემქმნელი და მატარებელი სუბსტანციაო... განსაკუთრებით ვერ იტანდა ხრუშჩოვის მმართველობას. ძალიან მგზნებარე ბრიყვია ეგ მამაძაღლი, ნამდვილად დაანგრევს ქვეყანასო... მაგის აცაბაცა მმართველობის წლები ცხადყოფენ, რომ რუსებმა საერთოდ არ იციანო ქვეყნის მართვა, ამიტომაც იყო, რომ ხან გერმანელები მოჭყავდათო, ხანაც – შვედები, მოდით, გვიმეფეთო... გერმანელებს და შვედებს მიჩვეულთ კი ქართველები ვეღარ აიტანესო და დახოცესო... მართალი გითხრათ, ძალიან მიკვირდა ამ მხცოვანი კაცის ესოდენი სითამამე და გაბედულება.

იმხანად თუ რამ დიდი მოვლენა ხდებოდა ქვეყანაში, გაზეთი ცნობილ და გამოჩენილ ადამიანთა გამოხმაურებებს აქვეყნებდა, რომლებიც იწონებდნენ ამ მოვლენებს – კოსმოსში გაფრენა იქნებოდა თუ ჩაის ან ყურძნის, ან საერთოდ მოსავლის გეგმის გადაჭარბებით შესრულება. ამ მხრივ, კონსტანტინე გამსახურდია, ბუნებრივია, ერთ-ერთი ყოვლის უფრორე სასურველი რესპონდენტი იყო, მე საგანგებოდ დამნიშნა, როგორც რომ თავად იტყოდა, თავის საგანგებო მაცნე-წარმომადგენლად.

ზაფხულში, როცა ოჯახით ლიძავაში იყო, ზამთრობით კი – ფასანაურში, გაზეთის ფურცლებზე მე ვაქვეყნებდი კონსტანტინეს გამოხმაურებებს, თბილისში რომ ბრუნდებოდა, ის გამოხმაურებებიანი გაზეთის ნომრები ერთად ამქონდა კოლხურ კოშკში. მობრძანდი, მობრძანდიო, ყმაწვილო, იტყოდა კონსტანტინე ბატონი და, მირანდა, გოლუაფირო, ჩემი პროტაგონისტი გურამი გვეწვიაო, გასძახებდა ძვირფას მეუღლეს, და დიდ ოთახში გრძელი მაგიდაც უმალ გაშლილი იყო. ღვინო აუცილებლად ყოველთვის წითელი იდგა ყელყარყარა სურით, თან თამადობდა, თანაც გაზეთს ათვალიერებდა, ნაწერს მიწონებდა, მართლა ჩემი დაწერილი მგონიაო, მაგულიანებდა. ერთხელ ლიძავაშიც ვეწვიე, იქ ჩავუტანე „თავისი“ გამოხმაურებები, ეს სურათიც მაშინ არის გადაღებული 1967 წელს „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტის ვლადიმერ გინზბურგის მიერ. ერთ ზამთარს ფასანაურში ჩემს ახლობელ პროფესორ გიორგი ინასარიძის მეზობლად ისვენებდა, ცნობილ უროლოგთან, იქ ვესტუმრე და ძალიან გაიხარა, „ლანდებთან ლაციცზე“ ვმუშაობო, გამენდო.

თბილისში, სუფრასთან მარტო რომ არ ვყოფილიყავი, ზვიადს უხმობდა ხოლმე, მოდი, გიჭო, სტუმარი მიდღეგრძელეო. ზვიადი რატომღაც ფანჯარასთან ფარდას

გულის ფიცარზე აღბეჭდილი

მამა-შვილი (1960 წ.)

იყო ამოფარებული და იღიმოდა, მოსვლით არ მოდიოდა. ისე, ვატყობდი ჩემ მიმართ კეთილგანწყობას, უკვე მერე, პრეზიდენტი რომ გახდა, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთი დახურეს ან გადააკეთეს, უფრო სწორად, მიმართულება შეაცვლევინეს, თავის წარმომადგენელ ისტორიკოს ლოვარდ ტუხაშვილისთვის ეთქვა, მანდ ჟურნალ „საზრისის“ (ყოფილი „პარტიული სიტყვა“) რედაქტორი მამაჩემის მეგობარია და ხელი არ ახლოთო, რაც ჩემთვის ფრიად სასიამოვნო იყო.

ერთხელ სწორედ იმ დროს შემომიღო ოთახის კარი და თავის ამოჩემებულ სავარძელში ჩაჯდა, როცა მთავრობის ტელეფონმა დარეკა.

– ვასოს გაუმარჯოს! როგორ ბრძანდები, ვასილ პავლოვიჩ, – კონსტანტინემ ყურები ცქვიტა. – რაღაც დამივიწყე, რაც დიდი კაცი გახდი, პატარა კაცები აღარ გახსოვართ.

კონსტანტინე ბატონი სავარძლიდან წამოდგა და გაოცებულმა ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო, წინ და უკან დადიოდა.

– გამოგზავნე, კაცო, გამოგზავნე, ვასილ პავლოვიჩ, და აუცილებლად წავიკითხავ, – მემუარული წიგნი გამოსცა, სადაც ჩემზეც წერდა და წაკითხვასა და აზრის გამოთქმას მთხოვდა.

– როგორც ვიცი, ასაკით ბევრად პატარა ხარ და როგორ თამამად და შინაურულად ელაპარაკეო ასაკითაც უფროსს და თანაც რესპუბლიკის პირველ ხელმძღვანელსო, – გაკვირვებული იყო კონსტანტინე ბატონი.

მე სიცილი ამივარდა, რამაც კიდევ უფრორე გამიღიზიანა სტუმარი და უკვე ვეღარ დავუმალე, არა, ეგ მუავანაძე არ ყოფილა, კიკნაძე იყო თეატრალური ინსტიტუტიდან, ეგეც ვასილ პავლოვიჩია-მეთქი.

– მეც არ ვიფიქრე?!.. უჰ, შენ რა გითხარიო, – შვებით ამოისუნთქა კონსტანტინე ბატონმა და თვითონაც სიცილი დაიწყო. – ნამდვილად კარგი თეატრმცოდნეები არიანო ეგ კიკნაძე და გურაბანიძე, ერთიც არის, მგონი, ჯანელიძე, ვაჟა-ფშაველას ღრმად მცოდნე რომ არის, პროფესორი გრიგოლ კიკნაძე, იმის სიძეო... როგორც ვიცი, თეატრსა და კინოში კონსტანტინე ძალიან იშვიათად დადიოდა, არა მაქვსო დასაკარგი დრო. მაგრამ, ჩანს, თეატრალურ და კინოკრიტიკას თვალ-ყურს ადევნებდა. ისე, ამ მხრივ, გაუჟეჟილს გატეხილი სჯობს, ცოტა კონსერვატორი კი იყო... რასაკვირველია, ხალხის ცნობიერებაში შემორჩენილ გამორჩეულ ტრადიციათა სიცოცხლის დაცვის მიზნით. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ფილმი „დიდოსტატი“ მაინცდამაინც არ მოსწონდა. უმშვენიერესი ლალი ბადურაშვილის შორენა კი ესულგულებოდა. ლალიმ კარგად გააცოცხლაო ჩემი გმირი. ვახტანგ ტაბლიაშვილის „ქეთო და კოტეს“ ნახვა არ მწყინდებაო...

იქნებ ოდესმე ვინმე ნიჭიერმა ოპერა შექმნას, კინოს ბევრად აჯობებსო...

ჩემდა უნებურად წამომაგონდა ქვემოთ მოთხრობილი ამბავიც და არ ვიცი, უნდა დამეწერა თუ არა, მაგრამ მაინც დაწერა ვამჯობინე...

რედაქციაში ჩემთან სტუმრობისას კონსტანტინე მუდამ გულხალვათად იყო. რაც სათქმელი ჰქონდა, დაუფარავად ყვებოდა... „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობიდან (ასეთი რუსული გამომცემლობა იყო) ორი წლის ჰონორარი მქონდაო ასაღები. დირექტორი, ვინმე გრიგორიანი, ყოველთვის მიგვიანებდაო ჰონორარს და

– მაშ, მოსკოვს აბა, ინგლისურ ან გერმანულწარწერიანმა თვითმფრინავმა გადაუფრინოსო, რუსი ზარბაზანს ესვრის თუ არა-მეთქი.

– ამას უყურეთ ერთი, კარგი, კიდევ რა არ მოგდის თვალშიო?

– კიდევ ის არ მომდისო თვალში, რომ ქართველობასთან ერთად ორივენი მეგრელებიც ვართ, ზრდილობას სხვებს ვასწავლით და წლოვანებით უფროსი კაცი რომ შემოვედიო, მაგიდის ქიმზე ჩამომჯდარი არ უნდა შემხვედროდი-მეთქი.

– კარგი, კარგი, ნამეტანს ნუ იზამო, – თქვა და მაგიდიდან ჩამოხტა. წამიერად ნაკვეთებად დაშლილ სახეს ისევ წამიერადვე მოუყარაო თავი და ზარი დარეკა, მდივანს უხმოო, – სასწრაფოდ გრიგორიანი დამაკავშირეთო. – ამის თქმა და გრიგორიანის ხმის გაგონება ერთი იყო. – ახლავე კონვერტში ჩადეთ ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას კუთვნილი ჰონორარი და თქვენი ხელით შინ მიართვითო.

სხვათა შორის, რუსულ-ქართულად ელაპარაკა. გულში გავიფიქრე, ეტყობა, ჩემს დასანახად-მეთქი. მოკლედ, ეს ჩვენი შეხვედრა ასე მშვიდობიანად დამთავრდაო, არ გამკვირვებია, მაგრამ მესიამოვნა, რომ კარებამდის მიმაცილაო. როგორც მერე შევიტყვე, პირველი მდივნის გრძელი კაბინეტის კარზე რუსული წარწერის დაბლა ქართული – **ლ.პ. ბერია**-ც გაჩნდაო. ესეც ფრიად მესიამოვნა, არ დავმალავო.

მაშინაც ბევრს ეგონაო და არც ახლა არიანო ისინი ცოტანიო, ვინც ფიქრობდა და ფიქრობს, რომ ბერია კეთილმოწყალე თვალით მიყურებდაო. იმ დროს ის საქართველოს ჩეკას უფროსის მოადგილე იყოო. ერთხელაც მსტოვრობა დამაბრალესო გერმანიის სასარგებლოდ და სოლოვკაში გადამასოფლესო. 1926 წელია, ძირითადად თევზითა და ზღვისავე კეთილსაჭმელფრინველით ვიკვებებოდითო. 1928 წლის დეკემბერშიღა გავთავისუფლდიო, ნასამართლობა კი მხოლოდ 1958 წელს მომიხსნესო. იქიდან დაბრუნებულს იქაური ძველი გაქექილი ფარაჯა გამომყვა და იმით დავდიოდიო ცოტა ხანს. ეჰ, ჯერ ისევ სულ ახალგაზრდა ვიყავიო, ქრისტეს ასაკისა, როგორც ძველად იტყოდნენო, სარტყლისშემომრტყმელი ყმაწვილკაციო. ჩეკადან შემომითვალეს, ჩანს, ისევ სოლოვკა გენატრებაო და იქ გაგზავნა ჩვენთვის ადვილი საქმეაო. ეს ამბავი „ლანდებთან ლაციცში“ დავწერე, მაგრამ არ დაბეჭდილაო...

კარგა ხნის შემდგომ „ლანდების“ ბოლო ნაწილი, თვითონ ზვიადს გადაუცია 1991 წელს სოსო სიგუასთვის და დაბეჭდვაც უთხოვია, როგორც „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორისთვის. სოსომ „ლანდების“ ეს ნაწილი რამდენიმე ნომერში გამოაქვეყნა..

მერე, მე უკვე სოლოვკიდან დაბრუნებული ვიყავიო, უფროსად სასტიკ, უუადადუუ, ანგარიშიანად ბეზღვადასმენების ჟამს შეეწირნენო ჯავახიშვილი და ტაბიძე ტიციანიო. მაგათი საფლავებიც არავინ იცის, დაკარგულიაო. მე თუ მკითხავს ვინმეო, როგორც მიხეილის, ისე ტიციანის საფლავს შესაძლებელს ვხედავო, ოღონდ ცარიელს, უცხედროს, ანუ კენოტაფს, თუნდაც მთაწმინდაზეო. ისე, კენოტაფი მიღებული რამ არისო ზოგიერთ ცივილიზებულ ქვეყანაში საფლავდაკარგულ ღირსეულ მამულიშვილთა ხსოვნის პატივსაცემადო.

– არა, მე ნაციონალისტი არა ვარო, როგორ გეკადრებათო, – ამოთქვა ერთხელ ჩაფიქრებულმა – ზამთარი

ბატონი კონსტანტინე გამსახურდია, თამარი და ზვიადი

ერთხელაც ამ საკითხზე თვითონ ლავრენტი ბერიასთან მივედიო, დიდხანს არ უცდევინებია. შევედი, მაგიდის ქიმზე იჯდა და ფეხის ქნევით მომემშვიდობაო, რა იყო კონსტანტინე, სულ უკმაყოფილო როგორ ხარო, რა არის ისეთი, რაც მაინცდამაინც არ მოგწონსო.

– არ მიწყინო, ამხანაგო ლავრენტი,– ჩავუკომუნისტურე, ჩაღიმებაზე შევატყვე, მიმიხვდა ეშმაკურ ქარაგმას, რას გამოაპარებდიო, ნადირის ყნოსვა და გეში ჰქონდაო, – ძალიანაც არ მომწონსო, რომ საქართველოს პირველი კაცის კაბინეტს რუსულად აწერია-მეთქი Л.П. Берия.

– ვაი, ვაი, ნამდვილი ასოკირკიტა ხარ, რა მნიშვნელობა აქვს, რუსულად ეწერება თუ ქართულადო?

– პუშკინის, გოგოლისა და ტოლსტოის ერს პატივს ვინ არა სცემსო, მაგრამ ყინჩი არც არავინ არ მომწონსო გინდა რუსი იყვეს, გინდა ქართველიო. რა ვქნა, პირში თქმა ვიციო და ამას მიწუნებენ ხშირად, ჩემს ნაციონალისტობასაც ამით ხსნიანო. განა მოსაწონიაო, რასაც ჩვენი გაზეთები წერენ – „გრიბოედოვი ჩვენი სიძეა“, „გორკიმ ახსენა საქართველო“, „მაიაკოვსკი დაიბადა ბაღდათში“. ვიცით, გავიგეთ, სირცხვილია ასეთი სურვილიზმი! საქართველო და კოლხიდა გორკის კი არა, ჰომეროსს, გოეთეს, კანტს და ევრიპიდეს აქვს ნახსენებიო, მაგრამ რა მოხდა? მე ვამტკიცებ: მომავალი თაობები შეაჩვენებენ იმათ, ვისაც ქართული მწერლობა და ქართველი ხალხი ინტელექტისმიერი ვასალობისკენ მიჰყავსო. ხომ არის ეს

იყო თოვლიანი, თბილად ეცვა, ბუხრის ქუდი ეხურა (ისე, ბარემ აქვე ვიტყვი, ნამდვილად დიდი პეწენიკი ბრძანდებოდა კონსტანტინე ბატონი. მუდამ კოპწიად გამოიყურებოდა ზამთარ-ზაფხულ. სილამაზის სალონიდან მოვდივარო, იტყოდა. ცოტა თავი მოვიწესრიგეო. თმა შევისწორე, ფრჩხილებსაც მივხედეო. ჩვენს ქართველ კაცებსო, მეტადრე ახალგაზრდებსო, რატომღაც ეუხერხულებათ, ის კი არა, ერცხვინებათო პედიკიური და მანიკიურიო. არადა, უკეთუ ქალებმა იციანო თავის მოვლა, კაცები რით ჩამოვრჩებითო. ამ მხრივ, ქალია თუ კაცი, რა ბედენაააო! სიკოხტავე ყველას უნდაო).

– ბუშინი, გოგოლისა და ტოლსტოის ერს პატივს ვინ არა სცემსო, მაგრამ ყინჩი არც არავინ არ მომწონსო გინდა რუსი იყვეს, გინდა ქართველიო. რა ვქნა, პირში თქმა ვიციო და ამას მიწუნებენ ხშირად, ჩემს ნაციონალისტობასაც ამით ხსნიანო. განა მოსაწონიაო, რასაც ჩვენი გაზეთები წერენ – „გრიბოედოვი ჩვენი სიძეა“, „გორკიმ ახსენა საქართველო“, „მაიაკოვსკი დაიბადა ბაღდათში“. ვიცით, გავიგეთ, სირცხვილია ასეთი სურვილიზმი! საქართველო და კოლხიდა გორკის კი არა, ჰომეროსს, გოეთეს, კანტს და ევრიპიდეს აქვს ნახსენებიო, მაგრამ რა მოხდა? მე ვამტკიცებ: მომავალი თაობები შეაჩვენებენ იმათ, ვისაც ქართული მწერლობა და ქართველი ხალხი ინტელექტისმიერი ვასალობისკენ მიჰყავსო. ხომ არის ეს

უდიდესი „პოდხალიმობის“ ნიშანიო, როცა გაზეთების მჯღაბნელები წერენ: „გორკი და საქართველო“, „გრიბოედოვი და საქართველო“, „მაიაკოვსკი და საქართველო“, ნუთუ ისე უნდა დავბრმავდეთო, რომ საქართველო და ეს მწერლები, და არც არავითარი მწერლები ამქვეყნად, საქართველოს თანატოლნი არ არიანო! ჰკითხეთ ამ მატრაბაზებს, რამ დააბრმავათ? თვალში ხომ არ ეცოტავებათო საქართველო, შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, სულხან-საბა, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გალაკტიონ ტაბიძე და არაერთი თანამედროვე. ასეთი სურვილიზმის სამწუხარო შედეგიაო, რომ არც ვახტანგ გორგასალს, არც დიდ ვაჟას, არც გურამიშვილს, არც ჩვენს დიდ მეფეებს, რომელთაც ტფილისი და საქართველო დაიცვესო, ტფილისში ძეგლი არა აქვთ და სანაპიროზე გამოჭიმესო რუსული იმპერიალიზმის ფუნქციონერის გრიბოედოვის ძეგლიო, ერთი საწყალი პიესის ავტორის ძეგლიო (საგულისხმოა, ამ მწერალს თვით რუსები არაფრად არ აგდებდნენო)...ამ დროს კი თვითონ შუმი ნაციონალისტი რუსები გენერალ პეტრე ბაგრატიონის საფლავს ანგრევენო ბოროდინოს ველზე, სადაც გენერალი პეტრე (Бог рат и он) ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრაო... თანაც ეს ნაციონალისტი რუსები პეტრეს ვითომ რუს ქართველად მიიჩნევდნენო. სხვა სახელოვან ქართველთა ძეგლებზე რომ აღარა ვთქვათ რაო. ის კი არა, პეტრე ბაგრატიონი მეორე მსოფლიო ომშიც მონაწილეობდაო, სტალინის მიერ შერქმეული სახელწოდებით ახლა უკვე როგორაც, რომ „ოპერაცია ბაგრატიონიო“.

რახან ძეგლებზე ჩამოვარდაო სიტყვა, აქვე ვიტყვი, რომ მე და ამაშუკელმა პირველად და ერთდროულად მივიღეთო რუსთაველის პრემია. რატომ ჩემი ნახელკეთილარი არ არის-მეთქი, ხშირად მითქვამს მაგის „ქართველის დედაზე“, სოლოლაკის ქედი რომ გაუკვარცხლბეკებია და იქიდან დაჰყურებს ჩვენს ბებერ ახალგაზრდა დედაქალაქს. მერაბ ბერძენიშვილის „ალგეთის ლეკვთა“ მოსახილველად კი არაერთხელ ჩავსულვარო მარნეულს...

რუსი ხალხისადმი პატივისცემაში მე არავის დავუთმობო პირველობას. ცნობილია, მილიონები კითხულობენო ჩემს რომანებს რუსეთში, გარდა ამისა, არც მე დავრჩენილვარო იმათ ვალში. უგულითადესი წერილები ვუძღვენიო უდიდეს რუს მწერლებს – ლ. ტოლსტოის, ფ. დოსტოევსკის, ნ. გოგოლს, მაგრამ ასეთი პატივისცემა ერთიაო და მონური მლიქვნელობაო – მეორე.

– მაშინ ჯაფარიძეზე ვცხოვრობდითო გამსახურდიები, – განაგრძობდა ფიქრიან ლაპარაკს კონსტანტინე ბატონი, – კორიდორის ბოლოში უშიშროების ვინმე პოლკოვნიკი კალინინი ცხოვრობდაო, ალექსეი ნიკოლაევიჩი, მგონი, არ ვიცი, იქნებ სულაც ჩემზე იყოო მოჩენილი. ქართული არა მარტო არ იცოდაო, არც ესმოდაო ინჩიბინჩი. ერთხელ ყარაიიდან დავბრუნდიო კარგი ნანადირევით, დამინახა კალინინმა და მომემშვიდობა – „ზდრავსტვუიტე კონსტანტინ სემიონოვიჩ, ვიჟუ, ხოროშო პროშლა ვაშა ოხოტაო“. „სპასიბო, ალექსეი ნიკალაევიჩ, ზა ვნიმანიე, ძაღლი მიაკვდა მამაშენს საფლავში და შენს აქ გამომგზავნს-მეთქი, – მივაყოლე ბოლოში ქართულადო იმის იმედით, რომ ვერ გაიგებდაო, რა ვუთხარი. მაშინაც ვიძახდი და ახლაც ვამბობ, რომ რომელ ქვეყანაშიც გამოგაგზავნეს, ცოტა მაინც უნდა გესმოდესო იმ ქვეყნის ხალხის ენა. არადა, ყველა „ჩემი“ კალინინის დღეში აღმოჩნდებაო. იმან კი კმაყოფილმა მომაძახა, სპასიბო, კონსტანტინ სემიონოვიჩ, სპასიბო ზა დობრიე პოჟელანიაო. თუ კაცი ხარ, მითხარიო ერთი, განა ეს ჩემი მხრიდან ნაციონალიზმიაო? – მკითხა ფიქრიანად. – თუ დამაწერინეს, ამას ყველაფერს „ლანდებთან ლაციცში“ დავწერო.

ამ შემთხვევის შემდეგ მეგობრებმა მირჩიეს, და მეც გადავწყვიტე, რომ მცირე ხნით მაინც გავცლოდიო დედაქალაქს. ავდექიო ერთ კვირა დილით, წავიყვანეო ცოლ-შვილი, მთე-

იხ. 10 გვ.

ბრძენ მოძღვარზე რაიც განუყრელ მოგონებად დამრჩა,

ანუ ვინაც ბევრად უფრო ქართველი გამხადა!..

(მეცხრე გვერდიდან)

ლი ოჯახი, ანუ ფანია, როგორაც ძველად მეგრელები ოჯახს ეძახდნენო, და წავედითო ძველ აბაშაში, მსოფლიოში ერთ-ერთი პატარა მდინარის აბაშის პირასო, ჩემს მამაპაპეულ ოდაბადეს შევეხიზნეთო... სხვათა შორის, წესად მქონდაო, გავლისას თუ გამოვლისას აუცილებლად უნდა შემევლოო სვეტიცხოველში. ეს წესი არც ამჯერად დამირღვევიაო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სხვა დროსთან შედარებით ახლა მევრად დიდხანს შევჩერდიო ტაძრის იმ მხარეს, სადაც არსაკიძის მარჯვენაა გამოსახული. ამ მზერა-ცქერაში მარჯვენამ თითქოს ჩემში გადმოინაცვლაო და რაღაც ნაპერწკალმა გამითბოო გულის კუნჭული. მგონი, იმ დღიდან ამეკვიატაო არსაკიძის გედი და მოსვენება დამაკარგვინაო, უსახელობის სივრციდან გამოყვანას მთხოვდაო. ეს გულთან ჭიდილი რამდენიმე წელიწადს გაგრძელდაო, და ვითარცა მდედრი გრძნობსო მუცლადღებას, მეც ისე ვგრძნობდი, რომ არსაკიძით ვიყავიო „გონებამძიმე“ თუ „გონებაქმნილიო“. და აკი მალე ჩავუჯექი კიდევაცო და 1939 წელს „ვშობეო“ „დიდოსტატი არსაკიძე“ (ჩემი აზრით, ჭეშმარიტად კაზმული სიტყვით შეთხზული უჩვეულო ლიტერატურული სიმფონიაა, სიმფონიური პოემა).

„დიდოსტატმა“ იმთავითვე მიიქცია მკითხველის ყურადღება. როგორც ბატონი კონსტანტინე იგონებდა „დიდოსტატის“ ერთ-ერთი პირველი გამოცემა სიმონ ჯანაშიას წაუღია მოსკოვს და ბერიას ხელით გადაუციათ სტალინისთვის, რომელსაც თურმე იმღამესვე წაუკითხავს იგი და ბერიასთვისვე უთქვამს, გამსახურდია უთუოდ კარგი მწერალი ყოფილაო. მაგრამ სტალინური პრემია რატომღაც არა და არ გაუმეტებიათ. არც პირველი წარდგენისას და არც მეორეხელ... იმხანად ჟურნალ „ნოვი მირ“-ში დაიბეჭდა ვიქტორ შკლოვსკის კრიტიკული წერილი „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნის გამო. შკლოვსკის აზრით, გამსახურდიას ეს ისტორიული რომანი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის და, კერძოდ, თვითონ დავით აღმაშენებლის აპოლოგიაა. ბატონ კონსტანტინეს ამ ამბავთან დაკავშირებით იმჟამინდელი მთავრობა ჩაურევია საქმეში (ჩარკვიანიც და ბაქრაძეც) და „ნოვი მირში“-ვე უპასუხებია შკლოვსკისთვის.

ასე იყო თუ ისეო, ამბობდა კონსტანტინე ბატონი, ჩემი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაშვება არ უნდოდათო – ქართულ სივრცეში დამტოვესო, რაიც ჩემთვის მაინცდამაინც ძალიან გულსატკენი არ იყოო. თითქოსდა ყოველთვივე ამას ასანაზღაურებლად მანქანა გამომიყვესო, ახალთახალი „ვილისი“ და ფართობიო, სადაც კოლხური კოშკი ავაშენეო...

აბაშაში ოჯახით გადაცხოვრებული შემოდგომამდე დავრჩიო, ამასობაში ის ჩემი მოჩენილი რუსი მეზობელი ისევ მოსკოვს გადაეყვანათო. ამით, მართალია, სამგლეთი არ ამოვარდნილაო, მაგრამ მაინც იმედიანად დავბრუნდითო დედაქალაქში. ქვეყანაზე უკვე ომის საშინელი სუნი იდგაო...

„ლაციცის“ ბეჭდვა „მნათობმა“ დაიწყო, მგონი, გრიგოლ აბაშიძის რედაქტორობის დროს, მაგრამ, როგორც მახსოვს, ბეჭდვა მალევე შეწყდა...

იმ დღეებში ხშირად დადიოდა რედაქციაში, მესამე სართულზე ჩადიოდა საასოთამწყობოში, სადაც „ლანდებთან ლაციცი“ იწყობოდა. იქვე ვერის ბაზარში მძღოლს აგზავნიდა და ორ-სამ საზამთროს ატანინებდა, მუშებისთვის ხან შოკოლადიც მოჰქონდა, ვინ მოჭორა გამსახურდიას ხელმოჭერილობაო, ხშირად ამბობდა ასოთამწყობი ფილიპე იმნაიშვილი, რომელიც ცოლთან ერთად იმხანად გამომცემლობაში მუშაობდა.

დავითს აუცილებლად შეახვედრეთო, მჭედლიშვილს, – გაიხუმრებდა ხოლმე საზამთროზე. ჩემთვის დიდად სასიხარულოდ და სასიამოვნოდ ერთხელაც, როგორც იქნა, დაზავდნენ კონსტანტინე და დავითი. ჩემს ოთახში შერიგდნენ. დავითმა ბოდიში მოუხადა, ხომ იცი, როგორც რედაქტორი, ყოველთვის ჩემს თავს არ ვეკუთვნიო. კონსტანტინემ, შემინდვიაო, მაგრამ იცოდეთ, სულაც იმიტომ არაო, რომ ჩემი შვილიაო, ზვიადს ისედაც ყველა და ყველაფერი მეტი ეკუთვნისო. თუ საიმისო პირობები შეიქმნაო, ზვიადი იქნებ საქართველოს პრეზიდენტადაც მოევლინოსო, იწინასწარმეტყველასავით.

ისიც მახსოვს, ჩემი სამთავრობო ტელეფონით რამდენჯერმე ელაპარაკა ნიკო მუსხელიშვილს, აკადემიის პრეზიდენტს და უსაყვედურა, როდემდე უნდა აწვალოთ პავლე ინგოროყვა და აკაკი გაწერელია, რატომ აკადემიაში არ ირჩევთო. თქვენ იმდენს მიზამთო, პროტესტის ნიშნად აკადემიას დამატოვებინებთო. არ ვიცი, ბატონი ნიკო რას ეუბნებოდა, მაგრამ კონსტანტინე მაშინვე გადაურეკავდა ხოლმე პავლესა და აკაკის, მგონი, თქვენს აკადემიკოსობის საქმეს მალე ეშველებაო. ჩანდა, რომ თავისი დიდი სახალხო სახელის იმედი ჰქონდა და ეამაყებოდა კიდეც.

სხვათა შორის, ერთხელ პავლე ინგოროყვა სწორედ მაშინ მოვიდა, კონსტანტინე თავის ამოჩემებულ სავარძელში რომ იჯდა. დიდი სითბოთი მიემშვიდობნენ ერთმანეთს, პავლეს თავისი დიდი, უკვე გვარიანად გაქექილი, მუდამ ძველი წიგნებისგან „მუცელქმნილი“ პორტფელი იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი, „სახელგამიდან“ თავისი მესამე თუ მეოთხე ტომის კორექტურა წამოეღო. ცოტა ხანს ჯერ მერჩულეზე ჩამოაგდეს ლაპარაკი, მერე პავლეს მიერ მიკვლეულ ძველი ქართული საეკლესიო საგალობლების სანოტო ნიშნებზე გადავიდნენ, ახსენეს ირაკლი ანდრონიკოვის წერილიც, რომელიც ამ სანოტო ნიშნებს ეძღვნებოდა და საკავშირო პრესაში დაიბეჭდა. ერთი სიტყვით, ეს საქმე ძალიან გახმაურდა. კონსტანტინემ მიახარასავით, აი, ნახავ, მალე აკადემიაში არჩევნები იქნებაო და შენ და გაწერელიას აგირჩევენ, მუსხელიშვილს ველაპარაკეო. არ დაიჯერო, არ დაიჯეროო, პავლემ უიმედოდ ჩაიქნია ხელი.



ლიძავა, 1969 წ. გურამ გოგიაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, თამარი, ქალბატონი მირანდა და ლიძაველი გოგონა. (ვლადიმერ გინზბურგის ფოტო)

ამ დროს საქალაქთაშორისომ დარეკა. რიგა მქონდა შეკვეთილი. დიდად სახელგანთქმულმა ლატვიელმა პოეტმა ედუარდას მეჟელაიტისმა იმ დღეებში ლენინური პრემია მიიღო, თან უნდა მიმელოცა გაზეთის სახელით და თანაც ინტერვიუ მეთხოვა. ტელეფონის ნომერი არ ვიცოდი და ტელეფონისტ ქალს დახმარება ვთხოვე რიგაში პოეტის ტელეფონის ნომრის ძებნაში. არ იციან, ვერ მივაგენიო, ტელეფონისტმა ქალმა.

როგორ-მეთქი, Он очень известный поэт. Ищите через союза писателей. Вот у меня два грузина здесь, их вся Грузия знает, как и Межелайтиса вся Латвия.

– არა, არაო, პავლემ, Я знаменитый, но не известный-о.

– ნუ იტყუები, კაცოო, – ღიმილიანმა კონსტანტინემ, – შენ თვალსაჩინოც ხარ, გამოჩენილიცო და ცნობილიც, რუსთაველისა არ იყოს, შენი საქმის გამორჩეულად მქნელი ხარო, – გულწრფელად გაამხნევა.

აქ, ალბათ, უპრიანი იქნება, თუ რამდენიმე მცირე ეპიზოდურ ამბავსაც გავიხსენებ. მგონი, პატარა შტრიხიც არ უნდა დაიკარგოს, რაც დიდ მოძღვართან არის დაკავშირებული. ხან პატარა ამბავშიც უფრო კარგად ჩანს ადამიანის სიდიდე... იმასაც უთუოდ გარკვეული მნიშვნელობა აქვს, ვისი მეგობარია მწერალი, რას იცავს, რა აწუხებს.

მწერალთა კავშირში გიორგი შატბერაშვილის სამართლიანად გახმაურებული „მკვდრის მზის“ განხილვა მოეწყო. მომხსენებელმა ბესო ჟღენტმა თუ არ მოიწონა, ბოლო-ბოლო, თითქოს არც დაიწუნა მოთხრობა, ისე, კომპოზიციურად ვერ არის შეკრულიო, მოთხრობის ბოლოში გასული მკითხველი დაბნეულია, თავისი წილი საჯილდაო ქვა ვერც მწერალმა ასწია და იმ ქვას ვერც მკითხველმა გაუტარა ქვეშ ქარიო. ერთი სიტყვით, ბესომ ჩვეულ ხერხს მიმართა და ყველაფერთან ერთად არაფერი თქვა.

კონსტანტინემ, ეტყობა, ვეღარ მოითმინა და აიჭრა ტრიბუნაზე. ბესო, ნუ მიწყენო, მაგრამ გიორგის ეს ნამდვილად კლასიკური ნაწარმოები, როგორც ჩანს, ზერელედ, ნაჩქარევად წაგიკითხავსო, ის საჯილდაო ქვა შენ ვერ აგიწევიაო როგორც კრიტიკოსს და ამ მხრივ, შენს სისუსტეს მწერალსა და მკითხველს აბრალებო. ბესომ შეპასუხება დააპირა, წამოდგა კიდეც, მაგრამ მალევე ისევ სახეაჭარხლებული დაჯდა, თუმცა სიწითლე არც ისე აკლდა.

საერთოდ, გიორგი შატბერაშვილი კონსტანტინეს თავის უმრწემეს მეგობრად მიაჩნდა და შატბერაშვილების სტუმარიც იყო რამდენჯერმე სოფელ თვალადში (კავთისხევში). ჯერ კიდევ ცოცხალ თითო-ოროლა მიმხცოვანებულ თვალადელს კარგად ახსოვს თვალადში ძვირფასი სტუმრის ჩასვლა. სხვათა შორის, კონსტანტინემ გიორგის საფლავზეც წარმოთქვა სიტყვა. გიორგის მეუღლეს ქალბატონ ნათელას მერეც ხშირად ურეკავდა. მართლაც რაინდული მეგობრობა იცოდა ბოლომდე. თავის უმრწემეს მეგობრებად მიაჩნდნენ იოსებ ნონეშვილი და შოთა ნიშნიანიძე, რომელთაც წრფელი სიყვარულით ექცეოდა.

კონსტანტინე ბატონი ყველასგან გამოარჩევდა რევაზ ინანიშვილის პროზას. ეგ ყმაწვილი პირდაპირ ხატავსო სათქმელს, ნამდვილად სიტყვით ფერმწერიაო (მე და რეზო ერთი ხანი გამომცემლობა „სამშობლოს“ მეოთხე სართულზე ვიყავით. ის „დილას“ რედაქტორი იყო, მე უკვე „საზრისისა“ და ხშირად გვიხდებოდა ერთად ყოფნა). ბუნებრივია, რეზოს ძალიან ეამაყებოდა ბრძენი მოძღვრის ასეთი მაღალი შეფასება. მით უმეტეს, რომ კონსტანტინეს ყასიდად ვერავინ ვერაფერს ვერ ათქმევინებდა.

რეზოზე ადრე „დილას“ რედაქტორობდა ცნობილი „დაბალი ღობის“ ავტორის ალექსანდრე მრევლიშვილის ქალიშვილი, უსათნოესი მაყვალა მრევლიშვილი, როგორც რომ მოზრდილთა, ისე პატარების უსაყვარლესი პოეტი, რომლის ფრანგულიდან გადმოქართულებული „ტილ ულენშპიგელი“ იმ დროს საყოველთაო საკითხავი გახდა. კონსტანტინე ბატონმა დიდად შეაქო ქალბატონ მაყვალას საბავშვო პოეზია. ჩემს ოჯახში პატარებს სულ „კიკლი, კიკლი კიბესა“ და „ეს საწყალი კურდღელი“ აკერიათო პირზე. რაც შეეხება „ულენშპიგელს“, მაყვალამ ნამდვილად დიდი ქართული საქმე ყუათიანად მოახელკეთილაო.

მე და მამამისი ალექსანდრე მეგობრები არა ვყოფილვართო, მაგრამ რამდენჯერმე შინაურულად შევხვედრივართო და ათას რამეზე გვისაუბრიაო.

„დილაზე“ ჩამოვარდნილმა სიტყვამ ერთი რამ სახალისო ამბავი წამომაგონა. კონსტანტინე ბატონის ერთ-ერთი სტუმრობის დროს ბატონ კონსტანტინეს მძღოლმა მკითხა, გურამ ბატონო, რამდენი ხანია, სულ მინდა, რომ შეგეკითხო და ვერ მოვახერხეო. აგერ, ახლა მკითხე-მეთქი, ვუთხარი. გოგია რომ არის კუკურაშვილი „დილაში“ თქვენი რა არის ის პოეტიო. არა, გოგია კი არა, კუკურაშვილი, პირიქით, კუკურია გოგიაშვილი-მეთქი (კუკური მეტეორსავით გადაქროლილი პოეტის შალვა კარმელის უმცროსი ძმა იყო), მივუგე და მეც და ბატონ კონსტანტინესაც მართლა გულიანად გაგვეცინა... ღმერთმა აგაშენათო, კონსტანტინე ბატონმა (ეს „აგაშენოთ“ ორსავე გვეკუთვნოდა, მეც და მძღოლსაც), რაღაც უგუნებოდ ვიყავი და ამ გულიანმა სიცილმა ცოტა მომაქეიფიანაო...

იყო ერთი ასეთი შემთხვევაც. მწერალთა კავშირში საერთო კრებაა. მწერლები იწონებენ პარტიის ერთ-ერთი პლენუმის დადგენილებას მეცხოველეობის დარგის შემდგომი განვითარების თაობაზე. ტრიბუნაზეა მხცოვანი მწერალი, 90-ს გადაცილებული სანდრო შანშიაშვილი. ეგ დადგენილება სწორედ ჩვენზეაო, მწვადი რომ გვიყვარს, მეცხოველეობასაც უნდა მივხედოთო, განსაკუთრებით კი მეღორეობასო. ზოგიერთი ჩვენი მწერალი ისე იქცევა, კირკეს ჯოხი რომ მომცა, სუყველას ღორებად ვაქცევდი და მწერალთა მხრიდან გეგმაც შესრულდებოდაო.

– სანდრო, შენა, კაცო, ხრუშჩოვის მოგზავნილი ხო არა ხარ?! – კახური კილოთი შეუძახა კარლო კალაძემ, – მაინცდამაინც ქართველი მწერლების ხარჯზე გინდა გეგმის შესრულებაო?!

– ეგრეა, ეგრეო! მართალი ხარ, კარლოო! – დაუდასტურა კონსტანტინემ, – კახელებს განსაკუთრებით უყვართო ღორის მწვადი!.. მით უმეტესო, სანდროს...

მგონი, მაშინ თქვა ცხონებულმა ნოდარ დუმბაძემ თავისი ცნობილი ფრაზა: მწერალი უკვდავია, პატივცემულ სანდროს პირდაპირი მნიშვნელობით ესმისო... – რასაც

დარბაზში გულიანი სიცილი და ტაში მოჰყვა.

ცოტა უფრო ადრე გამოქვეყნდა იოსებ სტალინის დიდი შრომა ენის, უფრო სწორად, ენათმეცნიერების საკითხებზე, რაც, ფაქტობრივად, ნიკო მართან კამათი იყო (დაიბეჭდა გაზეთ „პრავდაში“). ამ ნაშრომს საქართველოშიც გამოეხმაურნენ. მალე ამ საკითხს საგანგებო პლენუმი მიეძღვნა. რესპუბლიკის ხელმძღვანელმა კანდიდ ჩარკვიანმა ქართული სალიტერატურო ენიდან გადახვევის ნიმუშად თავის მოხსენებაში ვაჟა-ფშაველა და კონსტანტინე გამსახურდია დაასახელა. რასაკვირველია, კონსტანტინე განაწყენებული იყო და არც მალავდა, ყველგან დაუფარავად ერთსა და იმავეს ლაპარაკობდა. ბელადს რა, ვაჟა-ფშაველასი ეშინია თუ კონსტანტინე გამსახურდიასი, თავად დაგვასახელებდაო თუ უნდოდა, ეს ჩვენი კანდიდი ჯერ იყო და, ვოლტერის კანდიდისა არ იყოს, ყველაფერს უქებდა და ადიდებდაო, მაგრამ ამანაც ვერ უშველაო. რომ გაათავისუფლეს, ახლაღა გაურიაო თავის ნათქვამს, ისიც ფრთხილად, მცირეოდენი პილპილი. მაგას ეგონა, ბელადს მხარს თუ ავუბამ, კეთილი თვალით გადმომხედავსო. ისე, სტალინზე აუგს ვერ ბედავდა, ბერიას კი ხშირად ატარებდა ბერაში, არც თვითონ ბერიას მოსდიოდა კანდიდი დიდად თვალში... ისე, მჟავანაძესთან შედარებით, ქვეყანასა და ხალხზე ზრუნვისთვის დროის ხელსაყრელად გამოყენების თვალსაზრისით, ჩარკვიანი ბევრი რამით ვერ მოვაო მჟავანაძესთან, რომელიც საქართველოს სუყოველ პირველ კაცს აშკარად ტოლს უდებდაო...

ერთადერთი, ვინც იმ პლენუმზე კონსტანტინეს გამოეექომაგა და დაიცვა, იმხანად ახალგაზრდა, დიდომგამოვლილი რევაზ ჯაფარიძე იყო, უკვე ფრიად გახმაურებული რომანის „ჯარისკაცის ქვრივის“ ავტორი, რომელსაც თავისი ხმამაღალი მწერლური სიტყვა ეთქმოდა. სხვათა შორის, რევაზ ჯაფარიძე მაშინაც ერთადერთი და პირველი იყო, როცა მერე მწერალთა კავშირის ერთ-ერთ ყრილობაზე გრიგოლ რობაქიძის აღდგენა მოითხოვა. თავს ძალით ნუ ვიღარიბებთო. ისეთი მწერლის დაკარგვა, როგორიც გრიგოლ რობაქიძეა, ჩვენგან დროის წინაშე ნამდვილად დანაშაულიაო. რა ვუყოთ, სხვა იდეოლოგიის შემოქმედი კი იყო, მაგრამ თავის ქართულ სულს მუდმივად ყველგან, ყველანაირ ვითარებაში ინარჩუნებდაო.

კონსტანტინე გამსახურდია პირველი წამოდგა და ჩვეული სიმამაცით მხარი აუბა რევაზ ჯაფარიძეს. საერთოდ ცნობილია, რომ აკრძალული ხილი ბევრად გემრიელიაო, მიეცით ქართველ მკითხველს საშუალება, თავად შეაფასოსო რობაქიძე, როგორც შემოქმედი და მწერალიო... გვინდა-არ გვინდა „გველის პერანგი“ კლასიკააო... ყრილობას მთელი მთავრობა ესწრებოდა. ყველას ეგონა, შეიქმნებოდა ერთი აურზაური, აიშლებოდა ბარიშანი, მაგრამ პირიქით, ვასილ მჟავანაძემ ჯაფარიძეს და გამსახურდიას სიტყვა მოუწონა.

საერთოდ, კონსტანტინე ბატონი დიდად აფასებდა რევაზ ჯაფარიძეს და, ქართული მწერლობის ებგურიაო, დამცველი, ამბობდა მასზე.

კონსტანტინეს თავისი დამოკიდებულება ჰქონდა ენის მიმართ, იგი ერთადერთი იქნებ არა, მაგრამ აშკარად იშვიათი შემოქმედია, რომელიც თავისი სტილით უმალ იცნობა. ჩვენი წინაპარი ქართული ენის პატივისცემა და დღევანდელობის სამსახურში ჩაყენება იგივეა, რაიც თვითონ ჩვენი სულგანათლებული წინაპრების პატივისცემა და გვერდში დაყენებაო. მწერალს უწინარესად ენის მიხედვით აფასებდა. გალაკტიონის „ნიკორწმინდის“ მერე ირაკლიმ შექმნა მეორე შედევრი, როცა პალესტინაში თვითონ რუსთაველს ათქმევინაო ქართული ენის ქება.

გიორგი ლეონიძის პოეზიას, ცხადია, აფასებდა, მაგრამ „ნატვრის ხე“ პირდაპირ ქართული ენის ძეგლად მიაჩნდა. იმხანად კონსტანტინე ლორთქიფანიძე მეორე რომანს – „ნატვრის თვალს“ წერდა. თუ სახელის გადარქმევაზე მიდგაო საქმე, ჩემმა სეხნიამ, უთუოდ კარგმა სტილისტმა, აუცილებლად უნდა გადაარქვასო თავის რომანს სახელი, თორემ „ნატვრის ხე“ დაჩაგრავსო, მეგობრული სიწრფელით ამბობდა. კონსტანტინე ლორთქიფანიძე კი პირიქით, ითხოვდა, რომ ლეონიძეს გადაერქმია თავისი წიგნისთვის სახელი...

ერთხელ ლეონიძე და გრიშაშვილიც გავაშველე, უფრო სწორად, დავაზავე; ი. გრიშაშვილმა იმ დღეებში გამოაქვეყნა თუმანიანის „გიქორი“ თუ რომელიღაც საბავშვო პოემა. ლეონიძე და გრიშაშვილი მწერალთა კავშირის ბაღში შეხვდნენ ერთმანეთს. ლეონიძე გაეხუმრა, შენა, სოსო, ქართულზე კარგად, მგონი, სომხური გცოდნიაო. შენს ადგილას ავდგებოდი და სულაც სომხურად ვწერდიო. გრიშაშვილმა ცეცხლი წაიკიდა, აინთო. მე რომ არ ჩავრეულიყავი, დიდი ჩხუბი მოხდებოდაო...

მახსოვს, ენათმეცნიერებაზე ზემოთ ხსენებული იოსებ სტალინის ამავე ნაშრომის გამო სხდომა გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. კონსტანტინემ ჯერ კიდევ წინადღეს გამაფრთხილა, დაესწარიო. ასე იცოდა, როცა სადმე დიდ თათბირებსა თუ შეკრებებს ესწრებოდა. უნდოდა, რომ მეც დავსწრებოდი და გაზეთში გამეშუქებინა.

უბესოჟღენტოდ რა შეკრება შეიძლებოდა! და აქაც ტრიბუნაზე შედგა ბესარიონი. ერთი თვალი მოავლო დარბაზს და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! სტალინი ხომ მეცხრე ცაზე კი არა, მეასე ცაზე აიყვანა, მერე ახლა ცალკე მაგალითები მოივარგა და ბოლოს დარბაზს შეუტია. ზოგიერთი დარგობრივი აკადემიკოსის დაწერილ რასმე რომ ვკითხულობ, ქაჯურ ენაზე დაწერილი მგონიაო. გვარს არ დავასახელებ, ბევრნი ამ დარბაზშიც ზიანო...

კონსტანტინე და გალაკტიონი (1971წ.)

– დაასახელეთო, ბესარიონ, დაასახელეთო, – გასძახა კონსტანტინემ, – სხვაგვარად დაბრალება გამოგივაო. თანაც კიდევ, კი არ ზიან, სხედანო...

– დიახ, დიახ, მართალი ბრძანდებით, სხედან და ზიანს აყენებენო, – ბესომ. – დასახელება უხერხულიაო...

– შენ, როგორც ჩანს, აკადემიაში ასარჩევად იკაფავო გზას, – ღიღინში ჩასწვდა კონსტანტინე.

ენის სიწმინდის დაცვასთან ერთად, იგი ძალიან ფაქიზად ეპყრობოდა ზნეობის დაცვასაც და სხვათაგანაც ამასვე მოითხოვდა. ადამიანია თუ ერი, ვისაც ზნეობის მხრივ უჭირს, ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ მოეწევაო ცხოვრებას. ზნეობა ლიბო-ბორჯიაო ადამიანისაც და ერისაც. თუ საშუალება მიეცემოდა სადმე სხდომა იყო, რამე თუ შეკრება, კონსტანტინე სწორედ ენის დასაცავად და ზნეობაზე სასაუბროდ იყენებდა... გაბედულებისა და გამხნევების მიზნით იმ სხდომა-შეკრებაზე მიმავალი ერთ სირჩა წითელ ღვინოს, ხაშმურ საფერავს ან „ენისელს“ გადაჰკრავდა, სხვა კონიაკს გემოთიც არა სინჯავდა...

დღეს, ალბათ, თითო-ოროლა, მაგრამ მაინც არიან ის ქალბატონები, 8 მარტის აღსანიშნავ საღამოზე რომ იყვნენ შეკრებილნი რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში. კონსტანტინეს არც აქ დავიწყებია თავისი სათქმელი, რახან დედანი, მარად ნეტარნი, ერთად ხართო თავმოყრილნი, ჩემს გულისტკივილს გაგიმხელთო პირუთვნელად. ჩვენს ყმაწვილ მდედრთ ნამეტანი შილიფად აცვიათო (კიდევ კარგი, დახეული ჯინსები ჯერ არ იყო მოდაში), რაიც აშკარად სისხლს უჩქეფებსო ისედაც სისხლამღვრეულ ჩვენთა ყმაწვილ მამრთ. ზნეობა, როგორც იცით, ჯერ კიდევ რუსთაველს აღელვებდა და აკი წერსო კიდეც: **„მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა, თუ დავარჩინო, ღმერთი ვგმო, მისად პატიჟად მზად ესა“**. ეს ტარიელის გულისნადებიაო ნესტან-დარეჯანის დაკარგვისას თქმული.

ბევრს ფატმანის ნათქვამიც გეხსომებათ: **„მე გლახ ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი, კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი. მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მჭლე არის და თვალად ნასი, ისი კაცი ჭაშნაგირი დარბაზს იყო მეტად ხასი“**. მამრის უგულობა თუ სიმჭლეევე და თვალად ნასობა აკარგვინებსო ყოვლის უფრორე წმიდათაწმიდა რასმეო ატროებულ მდედრს და კუროსკენ იყურება ვითარცა ნეზვიო... დარბაზს უცებ ტალღასავით გადაუარა ჩურჩულ-კურკურმა. კონსტანტინემ, რაკი დამსწრე ქალბატონებს აღელვება და უკმაყოფილება შეატყო, ამას თვით რუსთაველი ამბობსო და არა გამსახურდია, ერთი ეს კი თქვა და პრეზიდიუმში აღარ მიბრუნებულა. ბოდიშით, ჩაილაპარაკა თავადაც აღელვებულმა და ეგრევე გარეთ გავიდა, სადაც თავისი მანქანა ელოდებოდა. გზაში დარბაზიდან გამოსული, ცოტა არ იყოს, გაჯავრებულ-აღელვებული მეუღლე დაეწია, – ეჰ, კონსტანტინე, კონსტანტინე, შენსას მაინც არ იშლიო, – უთხრა ქალბატონმა მირანდამ. – მოუხდებათ, მოუხდებათ, ვისზეც ვილაპარაკე, ბევრი მანდ იჯდა, უფრო მეტი მაგათი შვილები არიანო, – ჩაილაპარაკა ნაბიჯაჩქარებულმა კონსტანტინემ.

ეს ამბავი ქალაქში მალევე სალაპარაკო გახდა. თბილისელთ ახალი საჭორაო გაუჩნდათ.

იყო ერთი ასეთი შემთხვევაც. მწერალთა კავშირში ერთი წლის სპექტაკლებს განიხილავდნენ. მომხსენებელი ბესო უღენტი იყო. ერთ ადგილას გიგა ლორთქიფანიძეც ახსენა, რომელიც ბოლო რიგში იჯდა. ბესომ გიგას რომელიღაც დადგმას კბილი გაჰკრა. ეტყობა, ვერ დაინახა თვითონ გიგა. ის წამისუმალ წამოხტა და, ბესო საერთოდ ზოილია, ამ საკითხში კი ბეციაო, ყველაფერს ძალიან ახლოდან ხედავს, არადა, სპექტაკლს, როგორც დიდ მხატვრული ტილოს დანახვას, გარკვეული მანძილი უნდა, დაშორებაო...

– ეგეთები არ იყოსო, – გასძახა შეურაცხყოფილმა ბესომ, ცოტა დაელდიანებულმაც, რადგან არ ელოდა დარბაზში გიგას ყოფნას. – მაშინ მეც პირდაპირ გეტყვი, ჩემო გიგა, რატომ არის ჩვენი თეატრალური ხელოვნება ორივე თეძოდან ამოვარდნილიო.

ერთი სიტყვით, პაექრობა აშკარად გამწვავდა. თუ არა კონსტანტინე ბატონი, დიდი ორთაბრძოლა გაიმართებოდა. კონსტანტინე მაშინვე წამოდგა, როგორც იცოდა, დინჯად, ძველდარბაისულად ჩვეულებრივ პირველი რიგის კუთხის სკამიდან და ჯერ გიგას მიუბრუნდა: პირადი შეურაცხყოფა არასაკადრისი საქციელიაო. მერე ბესოს მოუბრუნდა: ბესო, არც შენ გეკადრებაო უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდა კაცის შეურაცხყოფაო. პირადი ნაკლის ხაზგასმა არ ეგებისო, მით უმეტესო, შენგან. ამ ყოველივეს უზნეობის სუნი უდისო.

დარბაზმა, ბუნებრივია, კონსტანტინე გამსახურდიას დაუჭირა მხარი, რამეთუ ბესო ბევრს მაინცდამაინც გულზე არ ეხატა.

ამბავს, ქვემოთ რომ გავიხსენებ, ხალხში რამდენიმე ვერსიად ამბობენ. მე ჩემი ერთ-ერთი იმდროინდელი ჩანაწერის მიხედვით აღვადგენ. იყო მაშინ ერთი ბათუმელი პოეტი იაკობ მელია, რომელსაც ახალ წიგნს არ უცემდნენ იმ საბაბით, რომ სტამბებს ტყვია არა აქვსო. მელიამ დახმარებისთვის კონსტანტინე გამსახურდიასთვის მიმართვა გადაწყვიტა. ჩამოვიდა ბათუმიდან და კოლხურ კოშკს მიადგა. მაგრამ კონსტანტინე ბატონი შინ არ დახვდა. ალბათ, გაზეთის რედაქციაშია „კომუნისტშიო“. და მელიამ, როგორც იტყვიან, ფეხები მხრებზე შეიწყო, დაიტიშა და გულამოვარდნილი მოვარდა რედაქციაში. უჰ, რა კარგია, რომ მოგისწარი, ბატონო კონსტანტინეო. რა იყო ბიჭო, რა საქმეა მაგისთანა, რომ ბათუმიდან საგანგებოდ ჩამოსულხარო, კონსტანტინემ. თქვენ თუ არ დამეხმარეთ, ბატონო კონსტანტინე, ვიცი, არაფერი არ გამომივაო, ახალ წიგნს არ მიცემენო, გამომცემლობები სტამბებს აბრალებენ, ისინი კი ტყვიის უქონლობას იმიზეზებენო, მელიამ. იქნებ თქვენი ერთი სიტყვა შემაწიოთო მაღრაძესთან. ამიკრიფე ერთი, თუ კაცი ხარ, მაღრაძის ნომერი და მომაწოდე ეგ ყურმილიო, სამთავრობო ტელეფონზე მიმითითა კონსტანტინე ბატონმა.

გამარჯობა, ელგუჯა, არ იფიქრო ახლა, კონსტანტინესთვის სამთავრობო ტელეფონი დაუდგამთო. რედაქციაში ვარ, გოგიაშვილთანო. ჩვენი ცნობილი პოეტი რომ არის მელია, ალბათ, მსოფლიოში ერთადერთი და პირველი მელიაა, თვითონ თავისი პირით რომ ითხოვსო ტყვიას, უფრო სწორად, ბრპენსო. ერთი სიტყვით, ამ მიზეზით ახალ წიგნს არ უწყობენო. ყურმილში ელგუჯას რობრობნარევი სიცილი გაისმა. ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე ბატონს უარს როგორ ეტყოდა, და იმანაც, კონსტანტინემ, გაახარა მელია, მაგრამ რა გაახარა! ამა და ამ სტამბაში ახლავე მოდიო. ნეტავი ბარემ მისამართიც გეკითხაო, ახლა უკვე მეტისმეტი მოითხოვა გათამა-

იხ. 12 გვ.

ასე იქმნებოდა უკვდავი ნაწარმოებები

ბრძენ მოძღვარზე რაიც განუყრელ მოგონებად დამრჩა,

ანუ ვინაც ბევრად უფრო ქართველი გამხადა!..

(მეთერთმეტე გვერდიდან) მებულმა მელიამ. კონსტანტინე ცოტა გაჯავრდა, ისიც ხომ არ მეთქვა, მანქანით შენ თვითონ გამოუარე-მეთქი. არა, არა, ბოდიშიო, მელიამ და სიყვარულისა და მადლიერების ნიშნად თავი მკერდზე მიადო.

აი, ასე იყო ტყვიის, ანუ ბრპენისა და პოეტ იაკობ მელიას ამბავი.

როგორც ჩანს, თითო მელია, ხან კეთილად უწყინარი, ხანაც ბოროტად მაწყინარი, სუყოველ საუკუნეში ჰყავდა და ჰყავს საქართველოს!

ბოლო ხანს უცებ დაეტყო სიბერე. მოტყდა, ძველებურად ხშირად ვეღარ ამოდიოდა რედაქციაში, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც ახერხებდა. ლიფტით შენობის დაცვას ამოჰყავდა. ერთხელ, დედოფალთან ერთად ვიმგზავრეო, მომახარასავით ღიმილით, ოღონდ ინგლისის დედოფალთან კი არა, ჩვენს დედოფალთან ერთადო. შევარდნაძის მეუღლესთან ერთად ამოსულიყო ლიფტით. ლიფტში თუ ქალბატონი ნანული შევიდოდა, სხვას შესვლის უფლება არა ჰქონდა. ასე იყო ყოველდღე. ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია მეხუთე სართულზე იყო, სადაც ის მუშაოდა იმხანად.

ერთ-ერთი სტუმრობისას თავად ჩამოაგდო სიტყვა თარგმანზე. „სახელგამში“ მითხრეს, რაბლეს შესჭიდებიხარო, თუ გაასრულებ, დიდ ქართულ საქმეს მოახელკეთილებო, რამეთუ რაღა ეგ ფრანგი და რაღა იტალიელი დანტეო. რაიც ახლა „სახელგამმა“ წამოიწყოო, ვახტანგ ჭელიძის თავკაცობით, რჩეული მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის გამოცემაო, ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში მე და კონსტანტინე ჭიჭინაძემ განვიზრახეთ გერმანელი ჰესეს მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის სიისდა მიხედვითო.

კონსტანტინე ურიგო პოეტი არ ყოფილაო, რაშიც დანტეს მართლაც ღვთაებრივი „კომედიის“ ერთობლივ თარგმანზე მუშაობისას დავრწმუნდიო. თუმცა, ეს უფრო მომავლის საქმეაო. რაც შეეხებაო თვითონ კონსტანტინეს, მან უფრორე დიდ ქართულ საქმეს დაადგაო თავი – „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია შეადგინაო და თავისი უებრო სიტყვა თქვაო რუსთველოლოგიაში. იმ წლებში, მგონი, ჟურნალ „მნათობში“ უიტმენის რამდენიმე ლექსის გამსახურდიასეული თარგმანიც დაიბეჭდა. გამსახურდიასეულივე ქართული „ვერტერი“ დიდად გახმაურდა ჯერ კიდევ ოციან წლებში. იმ ხარისხისა და დონის ქართულ ტექსტს, ალბათ, თვითონ გოეთეც მოაწერდა ხელს. ისე, კონსტანტინეს ფრიად მკაცრი მიდგომა ჰქონდა განსაკუთრებით პოეტური თარგმანის მიმართ. ამ მხრივ „შაჰ ნამეს“ და მაჩაბლის შექსპირს იწონებდა, კარგი აზრისა იყო კოტეტიშვილისეულ და თოდუასეულ თარგმანებზეც, ხოლო პროზაში „ვისრამიანი“ მიაჩნდა ნიმუშად. შექსპირი თავისი მეორე მოსვლით უკვე მაჩაბლად მოევლინაო არა ინგლისს, არამედ საქართველოსო. მაჩაბლის გზა გამორჩეულად განაგრძო თაბუკაშვილმაო, რეზომ, თავის სონეტებს შექსპირი ქართულად, ალბათ, ასე დაწერდაო. 66-ე სონეტი ძალიან ესულგულებოდა კონსტანტინე ბატონს, ზეპირადაც იცოდა.

გრიგოლ აბაშიძის პოეზიაზე არა, გრიგოლის ისტორიულ რომანებზე მაინცდამაინც მაღალი აზრისა არ იყო, მაგრამ იმის პოეზიას საერთოდ და მეტადრე სხვათა გადმოქართულებულ პოეზიას დიდად აფასებდა. განსაკუთრებით უნგრელ პეტეფის ასახელებდა ნიმუშად. რახან გრიგოლ აბაშიძეზე ჩამოვარდა სიტყვა, კონსტანტინე ბატონმა ერთი ასეთი ამბავიც გაიხსენა. ჩვენი გრიგოლ აბაშიძის გარდაო, იყო კიდევ ერთი პოეტი გრიგოლ აბაშიძე, აკაკის დროსო, ის თურმე რაღაც უიშვიათესი მახსოვრობის უნარით გამოირჩეოდა. რაც არ უნდა დიდი ტექსტი ყოფილიყო, ერთი მოსმენით იზეპირებდაო. ერთხელ აკაკის შეუთვლია, მაჩაბლის ქალისთვის, დღეს დილით ისეთი ლექსი დამეწერინა, რომლის მსგავსი არც მე დამიწერია და ჩემამდე არც კიდევ ვინმე სხვასაო. ხვალ ამა და ამ დროს მოვალო და ერთად წავიკითხოთო. ტასოს, **მაჩაბლის ცოლს,** ახლობლები მიუწვევია, აკაკი მოდის, ახალი ლექსი უნდა წაგვიკითხოსო და მობრძანდითო. მოწვეულთა შორის ყოფილა პოეტი გრიგოლ აბაშიძეც. აკაკის მოსვლის ჟამს კართან ფარდას ამოჰ ფარებოდა. მოსულა აკაკი ბატონი, ეს რაოდენ რიცხვმრავლად შეკრებილხართო, უთქვამს და, ვითარცა სჩვეოდა, ავაჯით წაუკითხავსო „განთიადი“. როგორც კი აკაკის ლექსის კითხვა დაუმთავრებია, კარი შემოუღია, შემოსულაო ის გრიგოლ აბაშიძე და, ამ დილით დაწერილი, ჩემი ახალი ლექსი უნდა წაგიკითხოთო, და ზუსტად აკაკის ხმით წაუკითხავს „განთიადი“. აკაკის გული შეჰ ღონებია, ორმა პოეტმა ერთი და იგივე ლექსი როგორ დავწერეთო... ხდება, ცხოვრებაში ესევითარი ამბებიც ხდებაო, ღიმილით დასძინა კონსტანტინე ბატონმა.



ქალბატონი მირანდა და ბატონი კონსტანტინე

სხვათა შორის ტერმინი „გადმოენება“ პირველად კონსტანტინესგან გავიგონე მაშინ, მაგრამ რატომღაც დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. თუ თარგმნილი, ქართულად გადმოენებული ავტორი ქართული სულის ნაწილი ვერ გახდაო, მთარგმნელის, გინდ მგადმოენებლის თქვი, შრომა წყალში ჩაყრილიაო.

ეს ტერმინი „გადმოენება“ პირველად ჩვენმა ქართულ საქმეში ფრიად განსწავლულმა ფილოლოგმა, პროფესორმა საშა (ალექსანდრე) ღლონტმა მომაწოდაო. სინაის მთის ხელნაწერებში ყოფილაო ეს ტერმინი. ჩვენი დიდი მთარგმნელები იყენებდნენო. დიდშრომაგამოვლილზე იტყოდნენო, მოშრომდაო, კი არ მოვიდაო, მოშრომდაო. ეს სიტყვა მერჩულეშიც არისო. ანდა დიდბრძოლაგამოვლილზე ამბობდნენ, მთელი ცხოვრება მოდიოდა და მოიბრძოდაო, ესე იგი, ბრძოლით მოდიოდაო, მოიბრძოდაო... სხვა ენიდან, ამ შემთხვევაში, უმეტესად ბერძნულიდან, ტექსტის გადმოტანის, გადმოღების, გადმოქართულების ნაცვლად გადმოენებას ხმარობდნენო. საშა ისეთი დონის მეცნიერია, მაგის ნდობა შეიძლებაო. ისე, ჩვენი მთარგმნელებისგან ბევრი კარგი რამის სწავლა არ გვაწყენსო. მთავარია, ჩვენს ენას სიკამკამე და სიანკარე არ დავუკარგოთო. ნიკო მარმა უთუოდ ბრძნულად თქვა, ქართული ენით ყოველგვარი რთული აზრის მარტივად გამოხატვაა შესაძლებელი. ერთი ძველი გამოთქმით კი „ქართველთა ენაი უფსკრულ ღრმა არს...“

იყო დრო, როცა რუსული Старая дева ქართულად, როგორც **ბებერი ქალწული** ანდა **ბებერი ქალიშვილი** ისე გადმოჰქონდათო. მერე ცნობილმა ენათმეცნიერმა შოთა ძიძიგურმა ქართლურ ფოლკლორში ზუსტი შესატყვისი იპოვაო **შინაბერა**, და ქართული ლექსიკა უთუოდ გამდიდრდაო...

უცოლშვილოდ გადაგებულ კაცზეო აღმოსავლეთ საქართველოში დღესაც ამბობენო ეგ **ოჯახმწუნად** დაბერდა, **თაუშიაო.** ენას ყოველწუთიერად კი არა, ყოველწამიერად უნდაო მოვლა და დაცვა. ამ ფრიად ფაქიზ, სათუთ საქმეს ძველადაც ეტმასნებოდნენო ვიღაც-ვიღაცები, ისინი დღესაც არიანო და, ღმერთმა ნუ ქნას, რომ მომავალშიც არ გადაშენდნენო. ერთი ამ მიტმასნილთაგანს **პასტელის ფერები** გადმოაქვს როგორც **ლოგინის ფერებიო,** ხოლო მეორე, არც მეტი, არც ნაკლები, ნამეტანი „ატკბობსო“ საჰარას და **საჰარის უდაბნოს შაქრის უდაბნოდ** გვთავაზობსო. დღეს ყველგან გაიგონებთ **საჩუქარი გაუკეთაო** (сделал подарок) ანდა არჩევანი გააკეთაო (сделал выбор). ჩვენი მეცხრამეტესაუკუნელი კლასიკოსნი კი წერდნენ და ამბობდნენო, **საჩუქარი მიართვაო** ანდა **საჩუქარი გადასცაო**, მისცაო, ხოლო **არჩევანი კი არ გააკეთა,** არამედ **მიიტანაო** (პეტრემ პავლეზე მიიტანაო არჩევანი). ამჟამად არამარტო ქალაქში გაიგონებთო **ვაფიქსირებ, დავაფიქსირეო,** უკვე სოფლადაც შეაღწია ამ უცხოურმა სიტყვამ.

არადა, როგორც ენათმეცნიერნი წერენო, ამ ერთ უცხოურ სიტყვას თექვსმეტი ქართული შესატყვისი ჰქონიაო.

სიტუაციამ ხომ ფეხქვეშ გაიგდოო ქართული „ვითარება“. სახანძრო სამსახურის შენობებს ყველგან აწერიაო **„საგანგებო სიტუაციათა სამსახურიო“,** რით იქნებოდაო ცუდი **„საგანგებო ვითარებათა სამსახური**!“ რასაკვირველია, ძალიან კარგია, რომ ჩვენი მეხანძრენი ხანძარს აქრობენო, მაგრამ ნამდვილად არ ვარგა, რომ ამავე დროს ცეცხლს დედაენას უკიდებენო, ანუ ჩვენი ენის სიწმინდეს არ უფრთხილდებიანო. **ქმნა, ვიქმ, ვქენი, ვიზამ, ვშვრები,** თითქმის შერისხულია ეს უაღრესად საჭირო ზმნები, მარტო **ვაკეთებ, გავაკეთე, გავაკეთებ, კეთება** ისმის და იწერებაო... ღვთის წყალობითა და ჩვენთა წინაპართა შემწეობით, რაც ქართულად გვაქვს, უცხოური სიტყვა რაღატომ უნდა ვიხმაროთო. ეს დროზე მისახედი საქმეაო... ერთხელ და სამუდამოდ გადასაჭრელია ასომთავრულის ამბავიცო.

ქართველებს ერთი ბევრისმთქმელი ანდაზა გვაქვს: **ზღვა კოვზით დაილიაო.** ჩვენი ენა ნამდვილად ღვთისგან ნაბოძები წყალობააო, უძირო და უსაზღვრო ზღვააო, მაგრამ თუ აგრერიგად უსულგულოდ მოვექეცით და არ გავუფრთხილდით, ნუ დაგავიწყდებათ, რომ გარკვეული დროის შემდეგ ის ანდაზის პატარა კოვზი გუბის ანდა ტბორის პირას დაგვაყენებსო. მოკლედ, კონსტანტინე ბატონის ენის გამო გულისტკივილი მართლაც ზღვასაებრ უძირო და უსაზღვრო იყო... სხვათა შორის, ქართული ენის ნორმების დაცვის პალატაზეც ილაპარაკა, თითქოს გვაქვსო, ოღონდ რატომღაც მაინცდამაინც ვერ ყოჩაღობსო... ზოგიერთ ქვეყანაში, მგონი, ენის დაცვის პოლიციაც კი არსებობსო და კარგა გვარიანი ჯარიმებიც არისო ენის დამახინჯებისთვის დაწესებულიო...

არც კიდევ პარლამენტის ქართული სახელწოდება დავიწყებია. ჯერეთ კიდევ თამარ მეფის დროიდან მოყოლებულიო ქართულ პარლამენტს ყოველთვის დარბაზი ერქვაო, პარლამენტარს კი – დარბაისერიო. კი, ბატონო, მაშინ სამეფო სახლი იყო, ახლა სახელმწიფო სახლიაო...

ჩემს იმდროინდელ ძველ ჩანაწერებში კიდევ რამდენიმე ამბავი მაქვს აღნიშნული, მაგრამ შევეშვი, რამეთუ ისინი, ალბათ, ვერაფერ ახალს რასმე ვერ შეჰ მატებდნენ ჩემი საყვარელი მწერლისა და ადამიანის კარგა ხნის მანძილზე გულში თბილად ნატარებ ამ ჩემეულ რამდენიმე ეპიზოდურ სურათს.

მოგეხსენებათ, სუყოველი მწერალი რაღაცა მანამდე უქონელს გვძენს, სულ სხვა ადამიანად გვხვდის, სულ სხვა გონების თვალით გვაყურებინებს სამყაროს. რა მომცა პირადად მე ამ თვალსაზრისით კონსტანტინე გამსახურდიამ ნიშანდობლივ? რა და, ბევრად გაშინაარსიანებული გაგებით უუფრო ქართველი გამხადა, ბევრად უუფრო ქართველი! და მჯერა, არა მარტო მე! განა ეს ცოტაა?!

* * *

მართალია, მე ცოტა ადრე წამოვედი, შუაღამე გარდასული იყო, მაგრამ, დანამდვილებით ვიცი, სამზადისს შევესწარი, იქვე, კოლხური კოშკის ეზოში დაკრძალვის წინაღამეს, ზვიადმა მეგობარ მოსაგრეთა თანა თავის, მაგრამ ამავე დროს ყველა ჩვენგანის მოძღვარს, უკვე გამთენიისას, როგორც თავად დიდი მამა მოძღვარი იტყოდა, უკანბოლო კერეონ-კელაპტარი დაუნთო, ილია მეორისეული ღვთაებრივი საჩუქარი, და იდუმლივ მდუმარე ლოცვა აღუვლინა, ანუ უფალს განსვენებულის შემწედ უხმო, რაიც **„გონებითა ღვთის მიმართ აღსვლა“** და საბოლოო ნათელი იყო, უსიკვდილობამისჯილმა მოძღვარმა თავისი სამარადისო შემოქმედებით განათებული ამ უბარაქო წუთისოფლიდან იმ უსასრულოდ გრძელ, ცოდვილთაგან სინათლეწასულ, მზეგადასულთა სამარადისო სოფელში თან რომ წარიტანა გასანათებლად.

გურამ გოგიაშვილი

2020, IV.

P.S. ბოლოს მაინც კიდევ ჩავიხედე ჩემი ჩანაწერების ძველ რვეულში. კონსტანტინე ბატონს ერთხელ ასეთი რამ უთქვამს: **ყველანი სიზიფენი ვართ, ოღონდ ყველას ჩვენ-ჩვენი ლოდი გვაქვსო საზიდი.**

ბ. ბ.

კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი (მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილი)

ᲐᲠ ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲝᲗ ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲡ!

ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲜ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲚᲣᲞᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲓᲘᲓᲘ **და ძლიერი ქვეყანა — ამერიკის შეერთებული შტატები კარდინალური რეორგანიზაციის წინაშე დგას, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის შიდა დუღილის პროცესი გაგრძელდება, რასაც სრული შესაძლებელია სოციალური დაპირისპირება მოჰყვეს არა მარტო შავკანიანებსა და თეთრებს შორის (ხელისუფლების სახით), არამედ მექსიკელებს, კუბელებს, სხვა სათვისტომოებსა და მთავრობას შორის. მართალია, მათი „სიყვარული“ ერთმანეთის მიმართ ნაკლებად წარმოსადგენია, მაგრამ თემა, რომელიც მათ აერთიანებს — სოციალური უსამართლობა, რასიზმი და არასწორუფლებიანობა საყოველთაოა. საყოველთაოა არა მარტო მათთვის, არამედ თეთრკანიანი ახალგაზრდებისთვის — მარქსიზმის, ტროცკიზმის იდეებით მოხიბლულთათვის.**

2-3 წლის წინათ ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში თვალი მოვკარი სტატიას, რომელიც მარქსიზმის პოპულარობას ეხებოდა. სტატიის მიხედვით, წიგნის მაღაზიებიდან გაქრა მარქსის „კაპიტალი“. მაღაზიის მეპატრონის განცხადებით, ველარ აუდიოდა მოთხოვნებს და იძულებული იყო ახალი პარტია შეეკვეთა.

მარქსიზმით, განსაკუთრებით ტროცკიზმით გატაცება ლათინურ ამერიკაში არახალია; არა-ხალია თუნდაც აშშ-ში, მაგრამ ამ მასშტაბით?

აშშ-ის პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატს ბერნი სანდერსს ხომ მემარცხენე ახალგაზრდები უჭერდნენ მხარს, რომლებიც დღეს ფერადკანიანებთან ერთად ბუნტის მოთავეები არიან? ამბოხებული ამერიკის ბუნტის ჩახშობა ზოგიერთ აქაურს იოლი რომ ჰგონია, მწარედ ცდება. პოლიციის მიმართ დაწყებული რეფორმები, ისტებლიშმენტის პერმანენტული ბოდიში შავთა წინაშე. ქვეყნის ისტორიის განქიქება და თვითგამოსწორების მიზნით ისეთი გეგმების დასახვა მემარცხენეობისკენ რომ იხრება, რაღაც სხვის მომასწავებელია.

აშშ გზაგასაყარზეა, რასაც მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების თემაც ართულებს. დემოკრატები უდავოდ შეეცდებიან რესპუბლიკელთა მიერ დაშვებული შეცდომების რეკლამირებას და საზოგადოების დარწმუნებას, რომ ამომრჩეველმა 4 წლის წინათ დაშვებული შეცდომა — ტრამპის არჩევა, არ უნდა გაიმეოროს.

ტრამპის სისუსტედ დემოკრატებს კორონავირუსის წინააღმდეგ უსუსური ბრძოლა მოჰყავთ. და მართლაც მდიდარ და ძლიერ ამერიკას, სახელგანთქმული მედიცინით 120000 გარდაცვლილი ჰყავს, ასეულათასობით ინფიცირებული. ამ ნეგატიური მონაცემებით მას პირველობას ვერვინ ეცილება.

კორონავირუსმა მოსპო აშშ-ის ეკონომიკა — პრეზიდენტ ტრამპის სამწლიანი მუშაობის თვალსაჩინო მიღწევები. უმუშევართა რაოდენობამ 40 მილიონს გადააჭარბა. კატასტროფულად გაიზარდა მდიდართა და ღარიბთა შორის ისედაც გაზრდილი ზღვარი. სტატისტიკის მიხედვით, 40 მილიონი უმუშევრის ფონზე, კორონავირუსის კრიზისულ პერიოდში თუ ვინ იშოვნა ფული — სუპერმილიარდერები არიან.

აშშ საკუთარი პრობლემებიდან ყურადღების გადატანას უცხოეთზე ცდილობს. პრეზიდენტ ტრამპის განცხადებით, დამნაშავე ჩინეთია, რომელმაც ამერიკას კორონავირუსი აჰკიდა, ვითარცა მეძავმა ქალმა მამაკაცს ვენერიული დაავადება.

აშშ-ის ადმინისტრაციის, კონგრესის, მედიის სისტემატური ლანძღვის საგანი ჩინეთთან ერთად რუსეთია, რომელსაც, თურმე ამერიკის ბუნტის ორგანიზება შესძლებია (უშიშრობის საბჭოს ყოფილი მდივანი სუზან რაისი).

გახელებული რესპუბლიკელი კონგრესმენები დოკუმენტს ადგენენ, რომელშიც დაწვრილებითაა ჩამოთვლილი რუსული ანტიამერიკული პოლიტიკის თაობაზე, რომელსაც ხელს უწყობენ პოსტსაბჭოთა სივრცეში მოღვაწე პუტინელები. „ივანიშვილი, პუტინის უახლოესი მეგობარი, მუშაობს რუსეთის სასარგებლოდ საქართველოს დესტაბილიზაციისთვის.

კონგრესმა სანქციები უნდა დაუწესოს რუსული პროპაგანდისთვის იმ ლიდერებს, რომლებიც თავიანთი მოქმედებით დეზინფორმაციას ახორციელებენ და აფინანსებენ რუსულ სამხედრო აგრესიას“.

დოკუმენტში რუსეთი ტერორისტთა სპონსორ სახელმწიფოდაა მოხსენიებული. აღნიშნული მასალა (150-გვერდიანი) ჯერჯერობით კანონპროექტად არ არის ქცეული, მაგრამ ის რომ კანონპროექტი იქნება და მასში აღნიშნული ბევრი რამ იქ პოვებს ასახვას — წყალი არ გაუვა. თუ დავუმატებთ ამას სენატორთა არცთუ დიდიხნის წინანდელ მიმართვას სახელმწიფო მდივან პომპეოსადმი საქართველო-ირანის მჭიდრო „ნავთობური“ კავშირების შესწავლის თაობაზე, ძნელი წარმოსადგენი არ არის დღევანდელი ადმინისტრაციის დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლებისადმი.

მსოფლიოს პირველობაშერყეულ ქვეყანას, საშინაო პრობლემებით გაავებულს, ისღა დარჩენია მწვავე განცხადებები აკეთოს არა მარტო მტრების — ჩინეთისა და რუსეთის, არამედ მოკავშირეების (ევროკავშირის) მიმართაც. თავგზააბნეული აშშ-ის ადმინისტრაცია, როდესაც ჩინეთს ფაშისტურ სახელმწიფოდ მოიხსენიებს — ქვეყანას, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში 30 მილიონი ადამიანი დაკარგა იაპონური მილიტარიზმის წინააღმდეგ ომში, ცინიზმია და მეტი არაფერი.

პომპეოს ალბათ არათუ არ წაუკითხავს, არც გაუგია ნობელის პრემიის ლაურეატის, ჩინელი მო იენის ისტორიული რომანის **„დიდი ძუძუ-მკერდი, განიერი გავა“**-ს შესახებ, რომელიც ბრწყინვალედ თარგმნა ამ საქმის დიდოსტატმა გურამ გოგიაშვილმა. რომანი ომისდროინდელ ავკაცობასა და სისასტიკეზე მოგვითხრობს — ჩადენილს ფაშისტების მოკავშირე იაპონელი მილიტარისტების მიერ დაპყრობილ ჩინეთში.

არხეინად ყოფნა და იმის ძახილი — ეს კონგრესმენების წერილი არაფერიაო, კარგს ნამდვილად არ მოგვიტანს, ისე, როგორც ნატოსთან უზომო ჩახუტება, რასაც დღეს აქვს ადგილი შავ ზღვაზე. საქართველოს ხელისუფლება რახანია დაბეჯითებით მოუწოდებს ნატოს შავ ზღვაზე უსაფრთხოების განმტკიცებისკენ და ამ საქმეში საქართველოს წვლილის გათვალისწინებაზე...

არანაკლებ საყურადღებოა სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში არსებული პრობლემები ე.წ. საზღვრის გავლებასთან დაკავშირებით. ქართველმა მკითხველმა იცის ჩვენი პოლიტიკის, მედიის, საზოგადოების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საინტერესოა იქაურთა პოზიციაც, ობიექტურობის დასადგენად ან უბრალოდ იმის გასარკვევად, თუ რით ცდილობენ ისინი თავის მართლებას.

„ბოლო დროს სამხრეთ ოსეთის მესაზღვრეებმა დააფიქსირეს რიგი პროვოკაციისა ქართველი ძალოსნების მხრიდან, ევროკავშირის დამკვირვებლების წაყრუების ფონზე. ადგილი აქვს საზღვრის დარღვევას, ვერტმფრენების გადაფრენას, რაც ხელს არ უწყობს ჟენევის სამშვიდობო დისკუსიის წარმართვას. ამის მიზეზი არა მარტო შიდაპოლიტიკური დაპირისპირებაა, რასაც ადგილი აქვს საპარლამენტო არჩევნების წინ, არამედ გარე ძალების სწრაფვა, გააღვივონ დაძაბულობა რეგიონში.

აშშ და მისი დასავლელი პარტნიორები, გარდა დიპლომატიური და საინფორმაციო ღონისძიებებისა, რასაც ისინი ახორციელებენ, სხვა მხრივაც მუშაობენ, რომელიც მიმართულია ქართული პოლიტიკის რადიკალ-ნაციონალისტური ძალების პოზიციების გაძლიერებლად. ერთ-ერთ ოდიოზურ ნაბიჯად ითვლება „ქართულ ოცნებაზე“ განხორციელებული ზეწოლა ოქრუაშვილ-უგულავას ციხიდან გათავისუფლებისთვის.

2008 წლის მოვლენებში ამ ორი დამნაშავის როლის თაობაზე ყველამ კარგად იცის.

დასავლეთმა კვლავ დააფიქსირა საკუთარი თავი ქართულ პოლიტიკაში უმაღლესი არბიტრის როლში. საპარლამენტო არჩევნების ბედს არა ქართველი ამომრჩეველი, არამედ ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი გადაწყვეტს, რომელმაც წინასწარ დაგვანახა საკუთარი მხარდაჭერა ოპოზიციის მიმართ“ — ეს ოსი ექსპერტების შეფასებებია!

არჩევნები — იმ ნეგატიური სცენარის ნახევარია, რასაც საქართველოს უმზადებენ. გაცილებით სახიფათოა საგარეო პოლიტიკური სცენარი, რაც სხვასთან ერთად გულისხმობს სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან ვითარების გაუარესებას.

მკითხველმა იცის, 20 ივნისი, ანუ „გავრილოვის ღამე“ რა პროვოკაციით არის ცნობილი. მაშინ აშშ-ის გარკვეულმა ძალებმა, ქართველ „ნაცებთან“ ერთად მართალია, ვერ მოახერხეს დაგეგმილი მორიგი „ვარდების რევოლუციის“ განხორციელება, მაგრამ ის მაინც შეძლეს, დაესუსტებინათ ხელისუფლება და მძიმე პოლიტიკური ვითარება შეექმნათ ქვეყანაში.

მაშინ ვწერდი, რომ ბუნტის ორგანიზატორი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პროპაგანდისტი ეგორ კუროპტევი და მისი ფონდი „თავისუფალი რუსეთი“ იყო. ფონდის ფილიალი თბილისშია და აწარმოებს ანტირუსულ პოლიტიკას. კუროპტევი სისტემატურად იძლევა ინტერვიუებს, კომენტარებს და საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზების გახსნის ინიციატივითაც იჩენს თავს. მისი აზრით, ბაზა ქ.გორში უნდა განთავსდეს.

კუროპტევი თბილისში აშშ-ის საელჩოს ხშირი სტუმარია და დავალებებსაც იქიდან იღებს. ის ხშირად წერს „ბორდერიზაციაზეც“ — უკავშირებს რა მას ამერიკულ სამხედრო ბაზას და უსაფრთხოებას. კუროპტევისეულმა პროპაგანდამ უნდა დაარწმუნოს საქართველოს მოსახლეობა რუსეთიდან მომავალ საფრთხეში და არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო საზოგადოება და ამ საფრთხიდან თავდასახსნელად ერთადერთ სწორ ნაბიჯი, ამერიკული სამხედრო ბაზის გახსნა ყოფილა!

რუსეთის წინააღმდეგ აგორებულ პროვოკაციებში, რომელთა ავტორებიც ამერიკის გარკვეული წრეების წარმომადგენლებია, ნაციონალებთან და სხვა მისნაირ ანტისახელმწიფოებრივად გაჟღენთილ პარტიებთან ერთად, გასული წლის 20 ივნისის მსგავსი დაძაბულობის შემოტანას ცდილობენ საქართველოში. ითხზვება და საზოგადოებას მიეწოდება რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილი ტერორისტული ღონისძიებების ისტორიები. ჯერ იყო და მთელი მსოფლიო შეძრეს „უძლიერესი“ ესტონური სპეცსამსახურების მიერ „გამოვლენილი“ კიბერთავდასხმის შესახებ.

დღეს კი ახალი „მზაკვრული“ შეთქმულება გახსნეს გვარამიამ და მისნაირებმა — „ჟურნალისტ“ გაბუნიას მოსალოდნელი ლიკვიდაციის თაობაზე, გვარამიას ნაბოდვარს ბანი საკაკაშვილმა მისცა და აგორდა, მაგრამ რა აგორდა — პუტინი, მკვლელობის შემკვეთი, ბანდიტი კადიროვი, უსუსური ხელისუფლება, ვინაიდან საზღვრები ვერ დაუცავს ქილერებისგან. და ამას გაჰყვირიან ნაცები, რომლებიც სააკაშვილ-ლორთქიფანიძის — მაშინდელი შს მინისტრის მოადგილის ინიციატივით, თბილისში „ალ-ქაიდას“ ტერორისტული ორგანიზაციის თავყრილობებს აწყობდნენ (აღნიშნულის თაობაზე აშშ-ის მედია იტყობინებოდა).

რაღა მაინცდამაინც ერთი წლის შემდეგ გაახსენდა პუტინს გაბუნია? რაღა მაინცდამაინც 20 ივნისის თარიღს დაამთხვა ქილერის თბილისში გამოგზავნა? ან რას წარმოადგენს ვითომ ჟურნალისტი გაბუნია, რომ მისი მოკვლით ვიღაცამ ხელი გაისვაროს?!

მკვლელობების შეკვეთა ტოტალიტარული რეჟიმების, ანუ რუსეთისთვის არის დამახასიათებელიო — არწმუნებენ საქართველოსა და მსოფლიოს საზოგადოებას ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები. საზოგადოებაც მშვენივრად „ყლაპავს“ მორიგ ავანტიურას. გონიერ საზოგადოებას არასდროს უჩნდება ცუდი წარსულის მონატრების სურვილი. როგორც ჩანს, ჩვენ აქაც უნიკალურები ვართ. როგორც ჩანს, მოგვენატრა აშშ-ის საელჩოს კედელთან რუსი „ტერორისტის“ მიერ ბომბის დადების ისტორია, აფხაზეთის საზღვართან დამწვარი ავტობუსი, წითელსოფელთან რუსეთის მიერ „ჩამოგდებული“ ბომბი...

ეს და სხვა მრავალი პროვოკაციული აქტი უხვად იყო სააკაშვილის მმართველობის დროს. მიზანი — რუსეთის „გაშავება“.

თუ მართლაც მოგვენატრა ცეცხლთან თამაში, პროვოკაციული გამოხდომები, ტერიტორიების დაკარგვა, ახალგაზრდების ხოცვა — მხარი დავუჭიროთ მოღალატე, უვიც სააკაშვილს, ოქრუაშვილს, უგულავას, სხვებს და სხვებს...



ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲫᲘᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პოლიტოლოგი.

ᲮᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲘᲐᲠ...

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲕᲝᲚᲝᲓᲘᲛᲘᲠ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲔᲕᲜᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა კანადურ გამოცემა The Globe and Mail-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„მე არ მაინტერესებს პოროშენკო, არ მაინტერესებს პოლიტიკური დევნის საკითხები, ვინაიდან ამით დაკავებული არ ვარ“, — განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. მისივე თქმით, უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი განზრახ ცდილობს თავისი თავი მსხვერპლად წარმოაჩინოს, რათა ყველამ იფიქროს, რომ უკრაინაში პოლიტიკურ დევნას აქვს ადგილი. შეგახსენებთ, რომ 10 ივნისს უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ეჭვმიტანილის სტატუსით უკრაინის გამოძიების სახელმწიფო ბიუროში დაკითხვაზე დაიბარეს.

საქმე საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელისთვის უკანონო ბრძანების გაცემას ეხება. 1 ივლისს კი სასამართლო პოროშენკოსთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხს განიხილავს.

ჭიდაობა

თარიღები დაზუსტდა



ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების (UWW) ტექნიკური კომისიის სხდომაზე შეჯიბრებების დაწყების წინასწარ თარიღად 1 სექტემბერი დასახელდა, თუმცა, კალენდრის დამტკიცების საკითხს აგვისტოში კიდევ ერთხელ განიხილავენ.

„ხალიჩას მხოლოდ მაშინ დავუბრუნდებით, როდესაც ეს უსაფრთხო იქნება ჩვენი ათლეტებისთვის, მწვრთნელებისთვის, მსაჯებისთვის და მაყურებლებისთვის. ყველა გადაწყვეტილება მიღებული იქნება მსოფლიოში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების შესაბამისად,“ - განაცხადა UWW-ის პრეზიდენტმა ნენად ლალოვიჩმა.

მოსალოდნელია, რომ პანდემიის შემდგომი პირველი ტურნირები იქნება კონტინენტური პირველობები კადეტებში, იუნიორებში და 23-წლამდელებში (მასპინძელ ქვეყნებში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში შეჯიბრებები გაუქმდება).

იუნიორებში და 23-წლამდელებში მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარება ნოემბრის ბოლოსთვისაა დაგეგმილი, ხოლო უფროსებში სეზონის განახლება აგვისტოში გადაწყდება.

კოგა კოგახიძე

კალათბურთი

ბურჯანაძემ მაკფადენს აჯობა

ესპანეთის ლიგა ენდესას ფინალური ტურნირის B ჯგუფში ბექა ბურჯანაძის „გრან კანარიამ“ ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა და ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი გაუჩნდა.

კუნძულელებმა აქამდე წაუგებელი „სან პაბლო ბურგოსი“ ოვერტაიმში დაამარცხეს. ოთხიდან სამი პერიოდი „ბურგოსმა“ მოიგო, მაგრამ ის ერთადერთი მეოთხედი 9 ქულით დათმო (მეორე პერიოდში 10:19) და ძირითადი დრო ფრედ — 78:78 დასრულდა. შედეგად, მატჩის ბედი დამატებით ხუთწუთეულში გადაწყდა (13:9) და საბოლოოდ „გრან კანარიამ“ 91:87 იმარჯვა.

ბურჯანაძემ რესტარტის შემდეგ უდავოდ საუკეთესო თამაში ჩაატარა — 37 წუთში 12 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. ბექამ 6-დან 3 ორქულიანი (50%) და 3-დან 2 სამქულიანი (67%) ჩააგდო, ხოლო საჯარიმო ხაზზე არ დამდგარა, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი კი 14-ს გაუტოლდა.

რაც შეეხება თად მაკფადენს, რომელიც „ბურგოსში“ ირჯება, საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა კალათბურთელმა 30 წუთში 12 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. თადმა 5-დან 3 ორქულიანი, 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, მაგრამ 6 სამქულიანი ააცილა და მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი მხოლოდ 4 გამოდგა.

„გრან კანარიას“ 2 გამარჯვება და 1 მარცხი აქვს, მომდევნო შეხვედრას კი დღეს „სარაგოსასთან“ ჩაატარებს. იგივე ბალანსი გააჩნია „ბურგოსს“, რომელიც ამჯერად მასპინძელ „ვალენსიას“ დაუპირისპირდება.

ვიტალი ჯაფარიძე

რჩეულნი

მართლაც რაინდნი

სიმბოლურია, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ დღეს დაემთხვა თვალსაჩინო სპორტულ მოღვაწეთა დაჯილდოების ცერემონიალი: გუშინ სეოკ-ში სპორტის რაინდის წოდების მფლობელთა დამადასტურებელი სამკერდე ნიშნები გადაეცათ დემიკო ლოლაძეს, ზაქარია სულაშვილსა და როზა ბერიკაშვილს.

შეიძლება, ზოგიერთებმა, არცთუ უსაფუძვლოდ, ზედმეტად მიიჩნიონ მათი ნაამაგარის კიდევ ერთხელ წარმოჩინება, ჩვენ კი, პირიქით, ვთვლით, რომ ქართული სპორტის პერსპექტივისა და მის გულშემატკივართა ცნობისმოყვარეობის გათვალისწინებით, საშუალება რომ გვქონდეს, სისტემატურად უნდა ვუძღვნიდეთ დამსახურებულ თბილ სტრიქონებს რჩეულთ.

დემიკო ლოლაძე: ქართველი სპორტული ჟურნალისტი, პუბლიცისტი და ფოტომემატიანე. იგი ნახევარ საუკუნეზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნაყოფიერად ემსახურება ქართულ სპორტს. ამ პერიოდში მის მიერ გამოცემულია 70-მდე ბიოგრაფიული ხასიათის წიგნი ქართველ სპორტსმენებზე, მომზადებულია ნაშრომები „ოქროს ბიჭების“ (1964 და 1978 წლების სსრკ ჩემპიონები ფეხბურთში, 1981 წლის ევროპის თასების მფლობელთა თასის ტრიუმფატორი თბილისის „დინამო“) პრაქტიკულად ყველა წარმომადგენლის შესახებ. იგი არის ერთადერთი ქართველი ფოტორეპორტიორი, რომელმაც ფირზე აღბეჭდა 1981 წლის ისტორიული გამარჯვება. ასევე არის მრავალი ჯილდოსა და პრიზის მფლობელი ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკაში შეტანილი წვლილისათვის.

ზაქარია სულაშვილი: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და 1988 წლიდან დღემდე — ბატუტზე ხტომებში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი. 40 წლის განმავლობაში მან აღზარდა არაერთი სახელოვანი სპორტსმენი: რუსუდან ხოფერია — მსოფლიოს სამგზის და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი, ანა დოღონაძე — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი (ოლიმპიური ჩემპიონი გერმანიის სახელით), ზაქარია აბრამაშვილი — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, თენგიზ კოშკაძე — მსოფლიო ჩემპიონატისა და ევროპის თამაშების ფინალისტი, ასევე, მრავალი მსოფლიო და ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატების გამარჯვებულები და პრიზიორები, ოლიმპიური თამაშების ფინალისტები. ბატონი ზაქარია სულაშვილი მსოფლიოში ითვლება ბატუტზე ხტომებში ერთ-ერთ წამყვან მწვრთნელად. მისი მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს ჰყავდა გამორჩეული, მსოფლიო დონის სპორტსმენები, რაც უდავოდ მისი თავდაუზოგავი შრომის შედეგია.

როზა ბერიკაშვილი: არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ტანვარჯიშში, სპორტის დამსახურებული მუშაკი,ღირსების ორდენის კავალერი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ბატუტზე ხტომებში, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში, ხალხთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი იუნიორთა შორის (1967), მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი (1967), სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ც.ს. მრავალგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრი მეხიკოს ოლიმპიადის წინ (ტრავმა), ქ. ჩხოროწყუს საპატიო მოქალაქე. ქალბატონ როზა ბერიკაშვილს ა/წლის 14 ივნისს შეუსრულდა 70 წელი და მას აქვს სპორტში მოღვაწეობის 63 წლის სტაჟი. იგი 2011 წლიდან „ქ. თბილისის ტანვარჯიშულ სახეობათა ფედერაცია 2012-ის“ პრეზიდენტია. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში **ბატუტზე ხტომებში** აღიზარდნენ: მსოფლიოს ორგზის და ევროპის ჩემპიონი ახალგაზდებს შორის, სამგზის ოლიმპიური თამაშების ფინალისტი ლუბა გოლოვინა, მსოფლიო ჩემპიონი იუნიორებს შორის ანა ოდიშვილი, აგრეთვე იუნიორებს შორის ევროპის ვერცხლის მედალოსნები სინქრონულ ხტომებში ნანა გოგაშვილი და თამარ კაკაშვილი, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები გუნდურ ჩათვლაში ლუბა გოლოვინა, ნანა გოგაშვილი და თამარ კაკაშვილი, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი და „ნისანის“ თასის მფლობელი თენგიზ კოშკაძე. **მხატვრულ ტანვარჯიშში**: განათლების სამინისტროს სპორტსკოლებს შორის სსრ კავშირის ჩემპიონები ევგენია შირინკინა, ელისო ბედოშვილი, ვერა ყიფიანი, მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში ელისო ბედოშვილი, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსნები გაბრიელა ხვედელიძე და სოფო ფარულავა. **სპორტულ აკრობატიკაში**: იუნიორებს შორის მსოფლიო პირველობის ფინალისტები გიორგი შავიშვილი და გიორგი ექიზაშვილი (მე-4-5 ადგილი). ბატუტზე ხტომებში მისმა მოსწავლემ ანა ლაპიაშვილმა 2019 წლის დეკემბერში მონაწილეობა მიიღო ტოკიოშო გამართულ მსოფლიო ასაკობრივ ჩემპიონატში სინქრონულ ხტომებში, სადაც გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

ვულოცავთ ლაურეატებს!

„სრ“ რედაქცია

ფეხბურთი

შესაძლოა, გადახედონ...

ჩემპიონთა ლიგის „რვათა ფინალი“, შესაძლოა, ლისაბონში აღარ გაიმართოს. მიუხედავად იმისა, რომ უეფამ გადაწყვეტილება ოფიციალურად სულ რაღაც ერთი კვირის წინათ გამოაცხადა, არაა გამორიცხული, მისი გადახედვა მოუწიოს.

საქმე ისაა, რომ პორტუგალიაში ბოლო დღეებში კორონავირუსის შემთხვევები გაიზარდა, განსაკუთრებით კი დედაქალაქის რეგიონში, რის გამოც ხელისუფლებამ ქვეყანაში შეზღუდვები თავიდან დააწესა.

კორონავირუსის პანდემიის დაწყებიდან დღემდე პორტუგალიაში 39 ათასზე მეტი ადამიანი დაინფიცირდა და 1.534 პაციენტი დაიღუპა.

შეგახსენებთ, რომ უეფას გადაწყვეტილებით ე.წ „რვათა ფინალი“ ლისაბონში 12-23 აგვისტოს „და ლუჟისა“ და „ჟოზე ალვალადეს“ სტადიონებზეა დაგეგმილი.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

ნატალია უჟმუროს

იმის გამო, რომ საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი სხვა ევროპული ტოპ-ლიგებისგან განსხვავებით ნაადრევად დასრულდა, დედაქალაქური „პსჟ“-ს მთავარ ვარსკვლავს, ბრაზილიელ ნეიმარს მშვენიერი არდადეგები დაუდგა და მთელს თავისუფალ დროს სამშობლოში ახალ გულისსწორთან ნატალია ბარულიჩთან თანაყოფაში ატარებს.

ნეიმარის ძველი „ნაშების“ მსგავსად ნატალიაც ცნობილი და წარმატებული მოდელია, რომელიც არასოდეს მორიდებია თამამ ფოტოსესიებს და თავის საქმეში ბევრი ვერ გაეჯიბრება. ერთი ისაა, რომ მასზე იძახიან — უჟმურიაო, რადგან ლაპარაკი არ უყვარს და ბულვარულ პრესასაც მაინცდამაინც არ სწყალობს.

დაახლოებით ორი კვირის წინათ ბრაზილიაში მყოფმა ესპანელმა ჟურნალისტებმა ნატალია ბარულიჩს მხოლოდ ის დააცდენინეს, რომ ნეიმარის გულისსწორს საერთოდ არ აინტერესებს მობურთალის ყოფილი საყვარლების ვინაობა და იმითაც კი არ ინტერესდება, „ნეი“ ახლა რა ურთიერთობაშია მათთან.

ბეჭან დოლიძე

სულთათანა

ნოდარ ცინცაძე

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის პლაზმის ფიზიკის განყოფილების გამგე, პლაზმის ფიზიკის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი **ნოდარ ცინცაძე.**

იგი დაიბადა თბილისში 1930 წლის 22 თებერვალს. ოქროს მედლით დაამთავრა მე-19 საშუალო სკოლა. 1950-55 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტის ასპირანტურაში გამოჩენილი მეცნიერის ილია ახიეზერის ჯგუფში. 1958 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მუშაობა დაიწყო ხარკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში. ამავე წელს, აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილის ინიციატივით, ნ. ცინცაძე დაბრუნდა საქართველოში და ფიზიკის ინსტიტუტში სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა მკვლევართა ჯგუფს. მისი უშუალო ძალისხმევითა და მონაწილეობით ინსტიტუტში დაარსდა პლაზმის ფიზიკის განყოფილება, რომელსაც იგი სამოცი წლის განმავლობაში, გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. ბატონმა ნოდარმა შექმნა მსოფლიოში აღიარებული პლაზმის ფიზიკის ქართული სამეცნიერო სკოლა. მისი აღზრდილები წარმატებით მოღვაწეობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საქართველოს საზღვრებს გარეთ, წამყვან სამეცნიერო ცენტრებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში.

1967 წ. ნ.ცინცაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1969 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; მან დააარსა უნივერსიტეტში პლაზმის ფიზიკის კათედრა და სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მას.

დიდია აკად. ნოდარ ცინცაძის დამსახურება პლაზმის ფიზიკის განვითარების საქმეში არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც ის წლების განმავლობაში მუშაობდა როგორც მიწვეული პროფესორი ან მკვლევარი. ბატონი ნოდარი სამეცნიერო მივლინებებით იმყოფებოდა მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში. მნიშვნელოვანია მისი საქმიანობა აბდუს სალამის სახელობის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრში (ტრიესტი, იტალია), სადაც ის პლაზმის ფიზიკის სკოლის დირექტორი იყო წლების განმავლობაში. ნოდარ ცინცაძემ დიდი როლი შეასრულა პლაზმის ფიზიკის მიმართულებით კვლევების განვითარებაში ირანში, სადაც ის გასული საუკუნის 90-იან წლებში თეირანის მათემატიკისა და ფიზიკის კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა. 2004-2011 წლებში ნ. ცინცაძე მიწვეული იყო ქ. ლაჰორში ცნობილი პაკისტანელი მეცნიერის, ნობელის პრემიის ლაურეატის აბდუს სალამის კათედრაზე პროფესორად.

აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთა უმეტესობა ფართოდ არის ცნობილი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის. ბატონი ნოდარი ყოველთვის მუშაობდა პლაზმის ფიზიკის წინა ხაზზე, ყველაზე აქტუალური და რთული პრობლემების მიმართულებით. თავისი უნიკალური სამეცნიერო ინტუიციის წყალობით, ხშირად უსწრებდა კიდეც თავის დროს და პიონერული ხასიათის შრომებს აქვეყნებდა, რომელთა თემატიკა მხოლოდ წლების შემდეგ ხდებოდა ფართო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების ობიექტი. ასეთი მნიშვნელობის გამოკვლევებს მიეკუთვნება ბატონი ნოდარის შრომები, სადაც განხილულია ტალღების არაწრფივი ურთიერთქმედების საკითხები ტურბულენტურ პლაზმაში, პარამეტრული რეზონანსის მოვლენები პლაზმაში, რელატივისტური ეფექტების კვლევა პლაზმაში, სინათლის ქარის თეორია, რელატივისტური ჰიდროდინამიკის შექმნა, აკრეციის ეფექტის კვლევა პლაზმაში, ე.წ. „ჭუჭყიანი“ პლაზმის თვისებების კვლევა და მრავალი სხვა.

სოლიდური ასაკის მიუხედავად, ბატონი ნოდარი ბოლო დღემდე შესაშური ენთუზიაზმითა და გასაოცარი ნაყოფიერებით აგრძელებდა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. ბოლო წლებში იგი ინტენსიურად მუშაობდა კვანტური პლაზმის თეორიის უაღრესად რთულ და საინტერესო საკითხებზე.

1988 წლიდან ბატონი ნოდარი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრია. ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო მისი მოღვაწეობა აკადემიაში, სამაგალითო და მისაბაძი — მისი პრინციპულობა, პატიოსნება, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია.

ნოდარ ცინცაძის ღვაწლი მეცნიერების განვითარებაში ღირსეულად დაფასდა. ის იყო არჩეული ხიროსიმას სინთეზის ინსტიტუტის საპატიო წევრად, ნ. ბოგოლიუბოვის სახელობის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის (კიევი, უკრაინა) საპატიო დოქტორად, მინიჭებული ჰქონდა ხვარაზმის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია. 2015 წელს, მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, ქართული მეცნიერების საერთაშორისო არენაზე ღირსეულად წარმოჩენისათვის, აქტიური პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, ბატონ ნოდარს გადაეცა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ჯილდო — ბრწყინვალების ორდენი, შთამბეჭდავია ნუსხა ნ. ცინცაძის დანარჩენი ჯილდოების, პრემიების თუ საპატიო წოდებებისა, რომლებიც მან თავდაუზოგავი შრომითა და გამორჩეული მიღწევებით დაიმსახურა.

აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან. იგი ღირსეულად ემსახურა თავის ქვეყანას, ქართულ მეცნიერებას. ბატონმა ნოდარმა დატოვა არაჩვეულებრივი ოჯახი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აკადემიკოს ნოდარ ცინცაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს. ბატონი ნოდარის სახე სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების ხსოვნაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი-ფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის პლაზმის ფიზიკის განყოფილების გამგე, პლაზმის ფიზიკის ქართული სამეცნიერო სკოლის შემქმნელი საქართველოში, აკადემიკოსი

ნოდარ ცინცაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 24 VI , 17 სთ; გამოსვენება: 25 VI , 15 სთ.
მისამართი: კოსტავას 63, V სადარბაზო, VI სართული.

ელფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი

ნოდარ ცინცაძე

და თანადგომას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
გამოსვენება: 25 VI , 15 სთ.

ფასანაურის მოსახლეობას წყალმომარაგება მოუწესრიგდება



საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია დაბა ფასანაურის წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციას გეგმავს. კომპანიამ აღნიშნულ პროექტზე ტენდერი უკვე გამოაცხადა, — ამის შესახებ ინფორმაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.

მათივე ცნობით, სატენდერო წინადადებების მიღება მიმდინარე წლის 10 ივლისს დასრულდება. ტენდერის დასრულების შემდეგ, გამოვლენილმა გამარჯვებულმა კომპანიამ დაბა ფასანაურის წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები 6 თვეში უნდა დაასრულოს.

ამ დროისთვის ფასანაურის მოსახლეობა სტაბილური წყალმომარაგებით სარგებლობს, თუმცა, მოძველებული და ამორტიზებული ქსელის გამო ხშირია დაზიანებები, რაც წყალმომარაგების მიწოდების კუთხით მოსახლეობას დისკომფორტს უქმნის.

პროექტის ფარგლებში განახლდება არსებული სისტემა და მოეწყობა წყლის სრულიად ახალი ინფრასტრუქტურა.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 700 000 ლარამდე დაფინანსდება.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, 1 200-მდე ადამიანი 24-საათიანი, ხარისხიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

გურია ტურისტული სეზონისთვის მზადაა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკსა და შეკვეთილში, იმისათვის, რომ დამსვენებელს დახვდეს გაუმჯობესებული გარემო, სხვადასხვა ტიპის სამუშაო მიმდინარეობს. დასუფთავდა როგორც სანაპირო ზოლი, ასევე, მიმდებარე ტერიტორია და ფიჭვნარი.

საკურორტო ზონაში არსებულ ვითარებას, გურიის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე აკაკი შენგელია ოზურგეთის მერთან კონსტანტინე შარაშენიძესთან ერთად გაეცნო.

ფოთში აზიურ ფაროსანას ებრძვიან

სამეგრელოს რეგიონში აზიური ფაროსანის საწინააღმდეგო ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს საკოორდინაციო მართვის ცენტრის სამეგრელოს რეგიონულმა ჯგუფმა ფოთში, მორიგი წამლობა ჩაატარა. მობილიზებული იყო რამდენიმე ერთეული სპეცტექნიკა და შესაბამისი აღჭურვილობა. სპეციალისტებმა ქალაქის შიდა პერიმეტრი თერმული ნისლით დაამუშავეს.

ღონისძიებები უსაფრთხოების წესების დაცვით, საღამოს საათებში მიმდინარეობს, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები დაგეგმილი წამლობის შესახებ მოსახლეობას წინასწარ აფრთხილებენ.

საკოორდინაციო მართვის ცენტრის სამეგრელოს რეგიონული ჯგუფის უფროსის შალვა მეტრეველის განმარტებით, მონიტორინგის შედეგად ფოთში სხვა ლოკაციებთან შედარებით, მავნებლის მეტი რაოდენობა დადასტურდა, ამიტომ წამლობის მორიგი ეტაპი, პირველ რიგში, ფოთში ჩატარდა.

თერმული ნისლით წამლობა სამეგრელოს რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად განხორციელდება.

პოლონეთში ქვევრის ღვინის წარდგენა გაიმართა

პოლონეთში ღონისძიება სახელწოდებით „დამზადებულია ქვევრში“ გაიმართა, რომელსაც პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ილია დარჩიაშვილი დაესწრო. ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

„დამზადებულია ქვევრში“ – კორონავირუსის მსოფლიო პანდემიის შემდეგ ქართული ღვინის პირველი ოფიციალური წარდგენაა პოლონეთში. ღონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „ვინისფერას“ ორგანიზებით გაიმართა. მის ფარგლებში, ქალაქ კრაკოვთან მდებარე ისტორიულ დასახლებაში Srebrna Gora, ერთ-ერთ მარანში ორი ქვევრი „ჩარგეს“; გაიმართა დოკუმენტური ფილმის – „დამზადებულია ქვევრში“ ახალი ეპიზოდის პრემიერა, რომელშიც მოთხრობილია ქართული ღვინის კულტურისა და ქვევრის დამზადების ტექნოლოგიის შესახებ; მოეწყო როგორც კლასიკური, ისე ტრადიციული ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგიით დამზადებული ქართული ღვინოების დეგუსტაცია. აქვე, ორმა პოლონელმა მეღვინემ საქართველოდან ჩატანილ ქვევრში დაყენებული საკუთარი ღვინოებიც წარადგინა.

ღონისძიებაში ადგილობრივი იმპორტიორები, მეღვინეები, მედიის, სარესტორნო და სასტუმრო ბიზნესის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ორგანიზატორების განცხადებით, ქვევრის ღვინის წარდგენას მოწვეული 60-ის ნაცვლად, 100-მდე სტუმარი დაესწრო.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით, პოლონეთი ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული საექსპორტო ბაზარია. მიმდინარე წლის ხუთი თვის მონაცემებით ექსპორტირებულია ორ მლნ-ზე მეტი ბოთლი ღვინო და ზრდა 33%-ს აღწევს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

თელავის ისტორიული მუზეუმი ვიზიტორებს ელის

პანდემიის გამო რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ თელავის ისტორიული მუზეუმი ვიზიტორებს 25 ივნისიდან უმასპინძლებს. პირველ ეტაპზე მათ ერეკლე მეფის სასახლის დათვალიერების შესაძლებლობა ექნებათ.

ადმინისტრაციამ გაითვალისწინა ჯანდაცვის უწყებების რეკომენდაციები და მიმდებარე ტერიტორია სადეზინფექციო საშუალებებით უკვე დაამუშავა. ცნობილია, რომ ადგილზე მისული სტუმარი ჯერ თერმოსკრინინგს გაივლის, ამის შემდეგ კი დეზობარიერს, სადაც მუზეუმის თანამშრომლები ხელებს სპეციალური ხსნარებით დაუმუშავებენ.

უახლოეს პერიოდში გაიხსნება ფონდსაცავიც, თუმცა კონკრეტული თარიღი ამ ეტაპზე უცნობია.

ქართული სამზარეულოს გაცნობა - „აჭარულით“

„ბათუმი – არომატების სუფრა“ – ამ სათაურით სტატიას პოპულარული ბეჭდური გამოცემა National Geographic Traveller Food-ი აქვეყნებს. სტატიის ავტორი ბრიტანელ მკითხველს ურჩევს მრავალფეროვანი ქართული სამზარეულოს გაცნობა აჭარული ხაჭაპურის დაგემოვნებით ბათუმიდან დაიწყოს.

„საქართველოს კულინარიულ რუკაზე გაგნებისათვის, დაიწყეთ ბათუმით – სახასიათო, საპორტო ქალაქით, სადაც მნახველებს შეუძლიათ დაისვენონ შავი ზღვის პლაჟებზე, აღმოაჩინონ თანამედროვე ხელოვნების სივრცეები და დატკბნენ ძველი ქალაქის არქიტექტურული სილამაზით. ასევე, არ დაგავიწყდეთ ბათუმის კაფეებსა თუ რესტორნებში სტუმრობა და არ გამოტოვოთ აჭარულ სამზარეულოზე სპეციალიზირებული რესტორნები. აჭარის რეგიონის სამზარეულოს გამორჩეული მაგალითია აჭარული ხაჭაპური – ყველითა და ზედწამოსკუპებული კარაქით გაჯერებული ნავის ფორმის პური, რომელსაც გვერდები უნდა მოატეხოთ, გულში ჩააწოთ და ისე მიირთვათ ცხლად“, – წერს სტატიის ავტორი.

ბრიტანეთში წამყვანი ბეჭდური გამოცემა National Geographic Traveller Food-ი კულინარიული გიდის ფუნქციას ითავსებს. სრული სიცხადით აღწერს გემოებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეკუნჭულიდან, რასაც თან ურთავს ულამაზეს, მადის აღმძვრელ ფოტოებსა და რეცეპტებს.

ქართულ სამზარეულოზე გამოცემა წერს, რომ ის პოპულარობის ზენიტშია და მისი აღმოჩენისთვის საუკეთესო ადგილი სწორედ საქართველოა.

სევდიანი ისტორია

ბრიტანეთში მოზარდებმა გედს აგურით დაუმტვრიეს კვერცხები, რასაც დედა გედი გადაჰყვა.

შემთხვევა მანჩესტერში მოხდა. გამვლელებმა დაინახეს, რომ მოზარდების ჯგუფი ხიდიდან აგურებს ესროდა გედის ბუდეს. დედა იმ მომენტისთვის ადგილზე არ იყო. როდესაც ის ბუდესთან მივიდა და დამტვრეული კვერცხები ნახა, თვითმხილველების თქმით, „გული გაუსკდა“ და მოკვდა, ხოლო მამა გედი უგზოუკვლოდ გადაიკარგა. გამოცემა წერს, რომ შემთხვევის შემდეგ აქტივისტებმა ბუდეში ექვსი კვერცხი ნახეს, რომელთაგან დამტვრეული მხოლოდ სამი იყო, ორი – დაზიანებული, ერთი კი – უვნებელი. აქტივისტები, რომლებმაც იპოვეს კიდეც ბუდესთან მკვდარი დედა გედი, ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ მას გული გაუსკდა.

სპეციალისტები ამბობენ, რომ ზოგადად გედები ვერ უძლებენ სერიოზულ სტრესებს და იღუპებიან. ეს საოცარი ფრინველები თავადაც სიკვდილს არჩევენ, როდესაც პარტნიორი უკვდებათ.

გედიც ამას ჰქვია

ამერიკაში მიჩიგანის შტატში მამაკაცმა ლატარიაში 4 მილიონი დოლარი ბოლო სამი წლის განმავლობაში მეორედ მოიგო. ინფორმაციას ამის შესახებ ამერიკული მედია ავრცელებს. ლატარიის გათამაშების ვებ-გვერდზე ნათქვამია, რომ მარკ კლარკი, სავარაუდოდ, მონროს ოლქის ყველაზე იღბლიანი ბინადარია, რადგან მან ბოლო სამი წლის განმავლობაში მეორედ მოიგო ჯეკპოტი.

„არ ფიქრობ, რომ რამდენიმე მილიონს თუნდაც ერთხელ მოიგებ, არაფერს ვამბობ იმაზე, რომ არც კი გაიფიქრებ, რომ ეს ორჯერ შეიძლება მოხდეს. რთულია სიტყვებით იმის გამოხატვა, თუ რას ვგრძნობ“, – განაცხადა მარკ კლარკმა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 3.0442; ევრო - 3.4153;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7742;
100 რუბლი - 4.3844; თურქული ლირა - 0.4440;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7907;
1000 სომხური დრამი - 6.3272.

ამინდი 24 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+36
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+33
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+19,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+33
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+36

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge